გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
პარასკევი, 11 ნოემბერი, 2005 წელი.
№262 (5295)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## წინანდლის გასხვისება: ზღაპარი თუ სინამდვილე?



ამ დღეებში, კერძოდ, ჩვენი გაზეთის 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — **„ახლა წინანდლის ჯერია?!“**, — ვწერდით:

**„ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულის 49 წლით იჯარით გაცემის პერიოდში მინიმუმ ათი განსხვავებული შეხედულების თაობა მაინც მოვა საქართველოს ხელისუფლებაში. ამ ხნის განმავლობაში ცხრაჯერ მოკვდება ან ვირი ან ვირის პატრონი. ამ ფულიანი ინვესტორის შთამომავლობა კი, „იურიდიული ნორმების დაცვით“, ნაწილ-ნაწილ გაყიდის ერის საერთო სიმდიდრეს — წინანდლის ღვინის ქარხანას, ბაღს, მის უძრავ-მოძრავ ქონებას და მოგებას ამ ახირებული პრივატიზების ავტორის შთამომავლებს გაუნაწილებს.**

**თუ ეს არა აქვს გუმანში, რატომ გაიღებს მომავალი მეპატრონე 5 მილიონ დოლარს ჭავჭავაძიანთ მამულის განახლებაში ან წლიურ საიჯარო ქირაში 70 ათას დოლარს? განა ასეთი რა ბიზნესის გაჩაღებას აპირებს მოიჯარე, რომ ეს თანხებიც დაფაროს და მოგებაც გარანტირებული ჰქონდეს?**

**ასეთ დროს თავად ხელისუფლება ხომ უნდა აყენებდეს პირობებს, რომლის მიხედვითაც ინვესტორმა უნდა იმუშაოს? თუ ეს არ იქნა, ხომ შეიძლება მან, ვთქვათ, ღვინის ქარხნის ადგილზე ხალიჩების საწარმო წამოჭიმოს, უნიკალური პარკი გაკაფოს და შიგ რესტორნები, სამიკიტნოები და საუნები გახსნას. რატომ არ უნდა ხდებოდეს ამ პირობების ღიად და საჯაროდ, მთელი საზოგადოების თვალწინ განხილვა?“**

იხ. მე-2 გვ.



იხ. მე-3 გვ.

## „უპატრონო“ ავანტიურა,

ანუ „აშოცკ-ნინოწმინდა“

## ვის „სისხლს დალევს“ კობა ბექაური?

იხ. მე-2 გვ.

## „ჩვეულებრივი კაპიტალიზმი“ – „კაპიტალიზმი ჩვეულებრივად“

ქართველ მკითხველთა გამოხმაურება და ექსპერტის კომენტარი რუსულ პრესაში წამოჭრილ კითხვაზე: რომელი სჯობს – კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი?

იხ. მე-3-6 გვ.

## პირველი „ნაცმენი“ პრეზიდენტი...

ფილმი სახელოვან ხელოვანზე

იხ. მე-4 გვ.



## ვანო მერაბიშვილი:

## მე არა მაქვს დანაშაულის გახსნის გამოცდილება

იხ. მე-2 გვ.

## მაღალჩინოსნები თავიანთ ნათქვამს უფრო მეტად უნდა უფიქრდებოდნენ

ღია წერილი კოტე გაბაშვილს

იხ. მე-2 გვ.

### ინფორმაცია

#### ზურაბ ნოღაიდელი უკრაინაში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს დილით, ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით მიემგზავრება უკრაინაში, სადაც უმაღლეს დონეზე შეხვედრებს გამართავს.

დაგეგმილია ზურაბ ნოღაიდელის დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკება უკრაინის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და „ვერხოვნა რადას“ (პარლამენტის) თავმჯდომარესთან.

მოლაპარაკებათა თემა იქნება უკრაინა-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობისა და რეგიონული უშიშროების საკითხები.

#### შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, აშშ-ს კონგრესის წევრს ელს ჰესტინგსს შეხვდა.



შეხვედრაზე განიხილეს ეუთო-ს როლი საქართველოში, ასევე ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირების საკითხები.

შეხვედრას აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტიც დაესწრო.

ჰესტინგსი უკვე შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს.

იგი დღეს სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდება.

#### პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს იმედი აქვს, რომ დეკემბერში ლუბლიანაში დაგეგმილ მინისტრიალზე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების გეგმა, რომელიც ქართულმა მხარემ შეიმუშავა, მიღებული და მოწონებული იქნება.

ნოღაიდელის განცხადებით, ამერიკელ კონგრესმენთან და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ელს ჰესტინგსთან შეხვედრაზე უფრო დეტალურად განიხილეს გეგმა, რომელსაც ქართული მხარე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით სთავაზობს საერთაშორისო საზოგადოებას და, ფაქტობრივად, ეს გეგმა კიდევ ერთხელ იქნა მოწონებული.

ნოღაიდელის თქმით, შეხვედრაზე განხილულ იქნა, ასევე ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები.

ეუთო და ამრიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების გამოსწორებას და ამ მიზნით აღნიშნული რეგიონის დემილიტარიაზაციას.

ნოღაიდელის თქმით, ბოლო წლებში ეს რეგიონი ზედმეტად მილიტარიზებული გახდა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მშვიდობიან მაცხოვრებლებს.

ინტერპრესნიუსი

### პანორამა

**გერმანიის** ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრედერი დაწერს წიგნს და კვლავ ადვოკატად დაიწყებს მუშაობას. სავარაუდოდ, ამ წიგნში აღწერილი იქნება შრედერის ცხოვრების ის პერიოდი, რომლის დროსაც მას ეკავა კანცლერის პოსტი. წიგნის ავტორი აპირებს გაამხილოს „საიდუმლო“, კერძოდ, მკითხველს აცნობოს, თუ რატომ გადაწყვიტა მაისში ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა ისიც, რომ შრედერი ნამდვილად არ დაიწყებს მუშაობას რუსეთის კომპანია „გაზპრომში“.



* * *

**დიდი ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის და მისი რეფორმების პროგრამის მომავალს სერიოზული საფრთხე დაემუქრა, როცა პარლამენტარებმა უარყვეს პრემიერის მიერ შეთავაზებული კანონები ტერორიზმის შესახებ, რამაც სერიოზული დარტყმა აგემა ბლერის რეპუტაციას. როგორც ბრიტანული „ტაიმსი“ წერს, ახლა ბლერი „თანამდებობიდან გადადგომაზეც კი ფიქრობს“.



## საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

„მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 10 ნოემბერი.

**ასეთი გზით ქართველმა დეპუტატებმა კანონმდებლობის წესით დაამკვიდრეს ცნება „კანონიერი ქურდი“, რომელიც აქამდე მხოლოდ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების და მილიციელთა ჟარგონში თუ გამოიყენებოდა, მაგრამ როგორც იურიდიული ტერმინი, არ არსებობდა.**

უფრო მეტიც, ქართველმა კანონმდებლებმა მსოფლიო იურისპრუდენციაში კიდევ ერთი სიახლე შეიტანეს: კანონის თანახმად, ადამიანის 10 წლის ვადით დაპატიმრება შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ჩაუდენია არანაირი კონკრეტული დანაშაული, მაგრამ მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ „კანონიერ ქურდებს“. ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა დაემუქრება ყველა იმ პირს, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მაინც აქვთ კონტაქტი „კანონიერ ქურდებთან“. რუსი ოპერატიული მუშაკები სკეპტიკურად მოეკიდნენ ამ კანონს. ჩვენთან საუბრისას მათ განაცხადეს, რომ პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი სასამართლო პრაქტიკაში, რთულია ეს დავუკავშიროთ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლს, თანაც, ალბათ, კოდექსის შეცვლაც გახდება საჭირო. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ კრიმინალურ-ქურდული ელიტის უმრავლესობა წარმოშობით ქართველია. „ამ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა კანონიერი მეთოდებით“, — დაასკვნეს ჩვენმა თანამოსაუბრეებმა.



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

თბილისი, 2005 წლის 11 ნოემბერი

განცხადება

**სს „საქართველოს ბანკის“ მმართველთა საბჭო აცხადებს, რომ განსაზღვრულია სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.**

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საარიცხვო თარიღად განისაზღვრა **2005 წლის 22 ნოემბერი, 17 სთ-ის** მდგომარეობით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი და რეკომენდაციები გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

**სს „საქართველოს ბანკის“ მმართველთა საბჭო**

◎ პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილმა ლექსო თორაძე ღირსების ორდენით დააჯილდოვა



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ცნობილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე ღირსების ორდენით დააჯილდოვა.**

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა თორაძეს საქართველოში ჩამობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ის მისი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელია.

თავის მხრივ, ლექსო თორაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ღირსების ორდენით დაჯილდოებისთვის და განაცხადა, რომ ახლო მომავალში ის კვლავ დაბრუნდება საქართველოში და კონცერტებს გამართავს უშუალოდ თავის ისტორიულ სამშობლოში — რაჭაში.

**ინტერპრესნიუსი**

◎ სიმართლე კი ასეთია...

# მაღალჩინოსნები თავიანთ ნათქვამს უფრო მეტად უნდა უფიქრდებოდნენ

## ღია წერილი კოტე გაბაშვილს

**ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო, ნათქვამია.**

ჩვენ, ადამიანები, მით უფრო არ ვიქნებით მართალი ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშეც, რომ არ დავინახოთ და დავაფასოთ ის სასიკეთო ძვრები და სიახლეები, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე მოხდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ კვლავაც უამრავი პრობლემა და გაჭირვება რომ გვხრავს, ესეც ხომ ფაქტია?

სწორედ ამიტომ, ასეთი ვითარების ფონზე, არავინ, მით უფრო ხელისუფლების მაღალჩინოსანნი, თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ და არც დაუზუსტებელი (მცდარზე რომ არაფერი ვთქვათ) ციფრ-ინფორმაციებით არ გავაღიზიანოთ ისედაც შეჭირვებული მოსახლეობა.

მხედველობაში მაქვს თქვენი, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ინტერვიუ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტთან, რომელიც ამ გაზეთის 9 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სათაურით **„უმუშევარმა კაცმა საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს" (ეს თავად თქვენი სიტყვებია).**

ამჯერად ამ ინტერვიუს მხოლოდ ერთ მონაკვეთზე გავამახვილებ ყურადღებას:

> კორესპონდენტი ამბობს, რომ ქვეყანაში გაჭირვება და უმუშევრობაა, საოცრად გაძვირდა პირველადი მოხმარების საქონელი, გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც პურისა და წამლის ფულიც არა აქვთ...
>
> **„ეს ტყუილია,** — უპასუხებთ თქვენ. **— მთავრობამ, ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ ცხრა წლის გაუცემელი ხელფასები თავიდან ბოლომდე გაიცა..."**

**მაპატიეთ, მაგრამ ტყუილი ის კი არ არის, რაც კორესპონდენტმა აღნიშნა, არამედ ის, რაც თქვენ თქვით, ბატონო კოტე!**

არ გჯერათ?

ამის დასამტკიცებლად, თანაც მეტი თვალსაჩინოებისთვის, დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს:

| ხარჯების ფუნქციონალური კოდები | | ათასი ლარი |
|---|---|---|
| 1601 | საშინაო ვალის მომსახურება | 166,270.4 |
| 160101 | საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებულ სესხებზე პროცენტის გადახდა | 72,000.0 |
| 160102 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა | 86,300.1 |
| 160103 | რეაბილიტირებულ მოქალაქეთათვის ზარალის ანაზღაურება | 70.0 |

როგორც ხედავთ, წინა წლების დავალიანების დასაფარავად (რომლის უდიდესი ნაწილი სახელფასო დავალიანებაზე მოდის) გამიზნულია 86 მილიონ ლარზე მეტი.

მე, ისევე როგორც ჩემს კოლეგებს, აგრეთვე ძალიან ბევრს, ვინც უკვე აღარ მუშაობს სახელმწიფო სექტორებში, გასული წლების სახელფასო დავალიანება არ მიგვიღია.

არ მიგვიღია თუნდაც იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ, როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ამხელა თანხის გაცემა თურმე ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის.

ისე, კაცმა რომ თქვას, „რაღა დარჩა" 2006 წლამდე?

როგორც ერთი პარლამენტარი (თუ არ იცით, შეგახსენებთ — ბესო ჯუღელი) **„გვმოძღვრავდა"** ამას წინათ კვლავ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებიდან, **„ხალხმა ცოტა კიდევ უნდა მოითმინოს".**

ხომ არ გახსენებთ, ბატონო კოტე, თქვენი კოლეგის ეს **„მარგალიტი"** ერთ ქართულ ანდაზას **გაზაფხულისა** და **იონჯას** კავშირზე?

აი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტისა და მისი მკითხველებისადმი დამოკიდებულებას კი, თქვენივე ინტერვიუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეორე ანდაზას მივუსადაგებდი: **„მე ვარ და ჩემი ნაბადი".**

**თუმცა ამ ინტერვიუსთან და მასში გაცხადებულ თქვენს პოზიციასთან დაკავშირებით იმდენი ანდაზის მოტანა შეიძლება, მათი ერთად გამოცემისთვის თქვენსავე მინისტრ შვილს გრანტი რომ გამოეყო, მშვენიერი კრებული გამოვიდოდა.**

**დავით ვარდოსანიძე,**
ეკონომისტი

◎ ინფორმაცია

## „ლეიბორისტები" პრეზიდენტის ბრძანებულებას ასაჩივრებენ

**„საქართველოს** ლეიბორისტული პარტია" აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირების ხელფასების 2000-4000 ლარით განსაზღვრის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს.

„ლეიბორისტთა" სარჩელის არსებითი განხილვა საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ დაიწყო. პროცესს პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილიც დაესწრო.

მოსარჩელეების განცხადებით, პრეზიდენტის ეს ბრძანებულება საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, რადგან კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ვალდებულია, რომ მოქალაქეებს მინიმალური სოციალური გარანტიები შეუქმნას.

გარდა ამისა, „ლეიბორისტების" აზრით, პრეზიდენტის ამ ბრძანებულებით მოქალაქეთა დისკრიმინაცია ხდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო მოხელეების ხელფასები და ყოფილი ჩინოვნიკების პენსიები 2000 აშშ დოლარს აღწევს, ხოლო უბრალო მოქალაქეების პენსიები 28 ლარს არ აღემატება. „ლეიბორისტების" აზრით, მოქალაქეები კანონის წინაშე არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, ქვეყანაში კი სოციალური აფეთქების საფუძველი იქმნება.

„ლეიბორისტები" საარსებო მინიმუმის და მინიმალური პენსიის 150 ლარის ოდენობით განსაზღვრას მოითხოვენ.

აღნიშნულ დავაზე მოპასუხე მხარედ პრეზიდენტია დასახელებული. მოწმის სტატუსით დაბარებულია ასევე პრემიერ-მინისტრი. ამასთან, მოსარჩელეები სასამართლოზე სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის მოწვევასაც ითხოვენ, რომელიც ქვეყანაში არსებულ სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ოფიციალურ მონაცემებს წარმოადგენს.

## იგორ გიორგაძე — აფხაზეთში

**ინტერპოლის** მიერ ძებნილი, საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძე რამდენიმე დღით აფხაზეთში იმყოფებოდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა.

იმავე წყაროს მტკიცებით, აფხაზეთში ინკოგნიტოდ მყოფი იგორ გიორგაძე აფხაზეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები განიხილა.

იგორ გიორგაძის ვიზიტი აფხაზეთში რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანთა პატრონაჟით ჩატარდა და მან აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დღე დაჰყო.

## მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

**ორი** დღის წინათ ერაყში დაჭრილი ქართველი სამშვიდობოების, თელავის მეორე ბატალიონის ჯარისკაცების — მიხეილ ჭკუასელის, გელა ჩარბაძის, დანიელ ბენდელიანის, ნოდარ ბოცვაძის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ინციდენტი ქალაქ ბაკუბაში მოხდა. ქართველი სამხედროები იდგნენ ავტომობილ „ჰამერის" გვერდით, რომელიც ნაღმზე აფეთქდა. სამი მშვიდობისმყოფელი მსუბუქად დაშავდა — მათ ადგილობრივ საავადმყოფოში მკურნალობენ, ხოლო ერთი ჯარისკაცი, რომელიც თავში დაიჭრა, გერმანიის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ხელისუფლება შეშფოთებულია

**საქართველოს** ხელისუფლება შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, კერძოდ, სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონებში, ადამიანთა გატაცებისა და შეიარაღებულ ბანდფორმირებათა დაუსჯელი თარეშის გამო.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კონფლიქტურ რეგიონებში არ წყდება ადამიანთა უფლებების დარღვევისა და ძალადობის ფაქტები.

**მედიანიუსი**

◎ მინისტრი კანონმდებლებთან

# ვანო მერაბიშვილი: „მე არა მაქვს დანაშაულის გახსნის გამოცდილება"

**შეიძლება თქმა, რომ დავით ზურაბიშვილის წინასწარმეტყველება — ვანო მერაბიშვილი კახა თარგამაძის მეთოდს მიმართავსო, ციფრებზე ლაპარაკით ისე დაგვღლის, კითხვების დასმის თავიც არ გვექნებაო — ახდა. არა, შეკითხვები ვერ დასვეს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებამ დარბაზს თვლემა ნამდვილად მოჰგვარა.**



ვანო მერაბიშვილი პარლამენტში მომზადებული მოვიდა. პასუხები დეპუტატების შეკითხვებზე, რომლებიც წინასწარ იყო მისთვის გაგზავნილი, თემების მიხედვით ჰქონდა დახარისხებული და სხვადასხვა საქაღალდეში მოთავსებული. თუმცა, ზოგიერთი პასუხი ძალიან მოკლე იყო. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტის გამოძიების შესახებ მხოლოდ ის თქვა, გამოძიების პროცესში არ ვარ ჩართული,თანაც, ინფორმაცია გენერალურმა პროკურორმა უკვე მოგაწოდათ წერილობითო. ოპოზიციის წარმომადგენლები იმ ინფორმაციით რომ დაკმაყოფილებულიყვნენ, მინისტრს არაფერს ჰკითხავდნენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ოპოზიცია ვერასდროს მიიღებს იმ პასუხს, რომელსაც ელოდება.

ვანო მერაბიშვილმა ძალიან დიდხანს ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმაზე, სპეცოპერაციებზე, საკადრო წმენდაზე. მისი თქმით, ბოლო პერიოდში ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 21 წარმომადგენელი, ნარკოტიკების შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე — 11, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო — 3, გამოძალვის ფაქტზე — 1 და ა. შ. მინისტრს ეს რეკორდულ მაჩვენებლებად მიაჩნია, თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ მსგავსი ფაქტები მომავალშიც განმეორდება. 22 ათასი თანამშრომლის შერჩევა და გაკონტროლება ძნელია, — თქვა მინისტრმა.

ვანო მერაბიშვილმა კონკრეტული პასუხი ვერ გასცა დეპუტატებისთვის საინტერესო ბევრ შეკითხვას (გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ამბობენ ხოლმე). თუმცა, პირობა დადო, რომ მომავალში აუცილებლად უპასუხებს. მაგალითად, იმედს გამოთქვამს, რომ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტი გამოუძიებელი არ დარჩება, ყველა დეტალი გაირკვევა და კითხვებიც უპასუხოდ არ დარჩება.

მოხსენების დროს ბევრი მადლობა გამოითქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისადმი. მაგალითად, გმირად შეირაცხა დათა ახალაია, რომელიც თურმე საოცარი პროფესიონალიზმით გამოირჩევა და რომელსაც, შეგახსენებთ, ხშირად ძალზე არასასიამოვნო კონტექსტში ახსენებს ოპოზიცია.

სამინისტროს წარმატებებზე საუბრისას შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთი კურიოზული წინადადებაც წარმოვთქვა. ბატონი ვანო გაოცებული დარჩენილა გორში მომხდარი ტერაქტის ფაქტის გამოძიებით. გაკვირვების მიზეზი ერთი მხრივ, საქმის სირთულე იყო, მეორე მხრივ, გამოუცდელობა.

— მე არა მაქვს საქმეების გახსნის გამოცდილება, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ოპოზიციის წარმომადგენლები აღფრთოვანებულები არც მოსმენილი პასუხებით დარჩენილან, არც იმ კადრებით, მოხსენების კვალდაკვალ მონიტორზე რომ გადიოდა და სამინისტროს წარმატებულ საქმიანობას ასახავდა. ისინი ამომწურავ პასუხებს მომავალ სამთავრობო საათზე დაელოდებიან.

**რუსუდან გოგუა**

◎ კომისია

# ვის „სისხლს დალევს" კობა ბექაური?

**საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან" დეპუტატთა კავშირის შემსწავლელი კომისიის სხდომის დღის წესრიგში სამუშაო გეგმის დამტკიცება და მოქალაქეთა კოლექტიური წერილების განხილვა შედიოდა. კომისიის თავმჯდომარემ საჭიროდ არ ცნო, საჯაროდ გახმაურებულიყო სამუშაო გეგმა. სხდომა დაიხურა, თუმცა, მანამდე კახა კუკავამ მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით განცხადებით მიმართა ფრიდონ რუხაიას.**



ერთ-ერთ ინტერვიუში საგამოძიებო კომისიის წევრმა კუკავამ აღნიშნა, რომ ე. წ. ბექაურის საქმესთან დაკავშირებით უნდა დაიკითხონ მერაბ ფიჩხაძე (ბიზნესმენი, რომელმაც უპროცენტოდ ასესხა დიდი თანხა კობა ბექაურს) და გოგი თოფაძე. ამის შემდეგ თურმე კახა კუკავას ბექაურმა დაურეკა და დაემუქრა, თუ მათ დაკითხვას მოითხოვ, შენს სისხლს დავლევო.

დამეთანხმებით, საყურადღებო განცხადებაა. ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე ჟურნალისტებმა რომ თქვეს, ბექაური გვემუქრებოდაო, არ დაუჯერეს. ხელისუფლებისთვის არც ოპოზიციონერის სიტყვას ადევს დიდი ფასი. მაგრამ კახა კუკავა ითხოვს, სამართალდამცავებმა შეისწავლონ ეს საკითხი, სატელეფონო საუბარიც შეამოწმონ და სიმართლე დაამტკიცონ. კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერი შესაბამისი ორგანოებისგან მოითხოვს, მიმართონ საჭირო ზომებს, მათ შორის, ბექაურზე მეთვალყურეობის დაწესებას.

— პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება, კობა ბექაურის ქმედებებს მოჰყვეს, საქართველოს ხელისუფლებასა და მის ძალოვან სტრუქტურებს ვაკისრებ. მე, რა თქმა უნდა, არ ვარ „უშიში, ვითარცა უხორცო", მაგრამ ბექაურის ნამდვილად არ მეშინია. მინდა, დავარწმუნო იგი, მუქარის მიუხედავად, გამოძიებას ბოლომდე მივიყვანთ და ვფიქრობ, ქვეყანას კარგ საქმეს გავუკეთებთ, თუ ამ კაცს საქართველოს პარლამენტს მოვაშორებთ, — განაცხადა კახა კუკავამ.

ალბათ, მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ კომისიის თავმჯდომარეს და იმ წევრებს, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, განცხადების შესაბამისი რეაქცია არ გამოუმჟღავნებიათ. კი თქვეს, შევისწავლითო, მაგრამ გუშინვე ეტყობოდათ, რომ ბექაურის დადანაშაულება არ სურდათ. მეტიც, ფრიდონ რუხაიასა და ნინო კალანდაძის ნათქვამს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ კუკავაა დამნაშავე — არ დაესახელებინა ფიჩხაძისა და თოფაძის გვარები და არ დაემუქრებოდნენ. დამეთანხმებით, ეს ყველაფერი ირონიული ღიმილის მომგვრელია. სხვათა შორის, კობა ბექაურს ბევრი მეგობარი ჰყავს დროებით საგამოძიებო კომისიაში, ამდენად, მას კახა კუკავას გარეშეც არ გაუჭირდებოდა გაეგო, ვის დაკითხვას აპირებდნენ დეპუტატები.

**რუსუდან გახარია**

◎ ვითარება

# წინანდლის გასხვისება: ზღაპარი თუ სინამდვილე?

(პირველი გვერდიდან)

**ეს ვრცელი ამონაწერი იმ წერილიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ კიდევ ერთხელ დავსვათ საჭოჭმანო კითხვა: რა უნდა აინტერესებდეს ინვესტორს, თანაც ყაზახ ინვესტორს ისეთი (თუ ეს საეჭვო გარიგება არ არის), რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული პარკის განახლებაში 5 მილიონი დოლარი დააბანდოს და თანაც ყოველწლიურად საიჯარო ქირაში 70 ათასი დოლარი გადაიხადოს?**

არადა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილი „რუსთავი-2"-ისთვის გუშინ მოცემულ ინტერვალში დაბეჯითებით აცხადებდა: **„წინანდლის ჭავჭავაძისეული მამული არ სხვისდება, მხოლოდ იჯარით გაიცემა, მუზეუმს სტატუსი არ ეცვლება, პირიქით, ინფრასტრუქტურაც გაუმჯობესდება და მეტი ხალხიც დასაქმდებაო".**

ისემც ცხვირი დაგიმშვენდებათო, აცხადებდა პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი და ხელისუფლებას და საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდებდა „ზღაპრების მოყოლისგან თავი შეიკავონ". მისი, და არა მარტო მისი აზრით, წინანდლის სახლ-მუზეუმი და პარკი უკანონო ტენდერის საფუძველზე გასხვისდა.





როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბერძენიშვილმა განაცხადა, მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ სატენდერო პირობებს შეცვლიან. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ვერავინ შეცვლის იმ პირობებს, რომლითაც ტენდერში მონაწილეობა ხელოვნურად შეთითხნილმა კომპანია „ამბრელა კონსალტინგმა" მიიღო. ვერ შეიცვლება ის ხელშეკრულება, რომელიც მასთან უნდა გაფორმდეს, რადგან არ არსებობს კანონი, რომელიც ამის შესაძლებლობას მოგვცემს.

ფაქტია, წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ქვეითდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სტატუსი. ამ სტატუსით მუზეუმი აღარ არის, ამიტომ იქ დაცულ ექსპონატებზე ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულებას ვერ აიღებს. თუ სახლ-მუზეუმის ექსპონატები აღიარებული არ არის ექსპონატებად, მათი გასხვისებისთვისაც ვერავინ დაისჯება. დღემდე არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეიჯარეებისთვის ან კერძო მესაკუთრეებისთვის ექსპონატები არ გადაუცია.



ნიშანდობლივია, რომ მუზეუმების საერთაშორისო ორგანიზაცია და იუნესკოს ექსპერტები ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემას უარყოფით შეფასებას აძლევენ.

აი, ეს გახლავთ სიმართლე, ბატონებო, და არა ის ზღაპრები, რომლითაც ეკონომიკისა და კულტურის მინისტრები საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანას აპირებენ.

აპირებენ, მაგრამ განა მოტყუვდება კი ვინმე? კარგია, რომ წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემის საკითხს მომავალ კვირას პარლამენტის განათლების, კულტურის და მეცნიერების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე განხილვას აპირებენ. იქაც ზღაპრებს დაუჯერებენ და სიმართლეს თვალებში არ შეხედავენ?!

გუშინდელ სხდომაზე ამ კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის მიერ გამოტანილი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია იმედს გვაძლევს, რომ ასე არ მოხდება.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ საკუთარი აზრი

# ვარდებისას კაქტუსისა რომ მოჰყვეს?..

**მოულოდნელობები ხელისუფლებისგან ნამდვილად არ გვაკლია, თანაც ყველაფერს ისე უცბად მოგახლიან, შენს ჯანმრთელობაზე არავინ დაფიქრდება. სულ ახლახან დავით მეფის ძეგლი აიღეს, აურზაური თითქოს ჩაცხრა, მაგრამ სიახლესთან შეგუება ვინ გვაცალა, უმალ მეორე სიურპრიზი მოგვაყოლეს. რესპუბლიკის მოედანს შესაძლოა „ვარდების რევოლუციის" მოედანი ეწოდოს, დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას კი სავარაუდოდ ვარდის ქანდაკება დაიდგმება.**

ამგვარი იდეა საკრებულოს უმრავლესობას (თურმე ხალხის მოთხოვნით) გაუჩნდა, იდეის განსახორციელებლად ისინი ქალაქის მერს და მთავრობას მიმართავენ, მათი მხრიდან კი თანხმობა, ალბათ, არ დააყოვნებს. დღემდე ხალხი ყვირის, ჩვენ არაფერს გვეკითხებიანო, და ახლა ამ ხალხს მაინცდამაინც ეს იდეა გაუჩნდა? ისე, თუ ამ სიახლეს ოდნავ მაინც დავუკვირდებით, ბევრ წინააღმდეგობასაც წავაწყდებით.

თვითონ ვარდთან, ცოტას რომ არ იჩხვლიტებოდეს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იმას, რასაც დღევანდელი ხელისუფლება „ვარდების რევოლუციას" უწოდებს, რევოლუციას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. ამ ცნებაში ცოტა სხვა რამ მოიაზრება. არსებობს რევოლუციის, ასე ვთქვათ, კლასიკური განმარტებაც: „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება"; ანდა „ძველი, დრომოჭმული წყობილების ძალით დამხობა და ახალი, პროგრესული წყობილების დამყარება". პირველი ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან მხოლოდ შევარდნაძის წასვლა ძირფესვიან გადატრიალებას არ ნიშნავს, სახელმწიფოს სტრუქტურებში ძველი სახეები ჯერაც ბლომად მოღვაწეობენ: ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, მიხეილ მაჭავარიანი, გია ბარამიძე, კოტე კემულარია და ა. შ. თვით ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი კი „მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთ ყოფილი ლიდერი, პრეზიდენტ შევარდნაძის ასევე ერთ-ერთი ყოფილი მარჯვენა ხელი გახლდათ. ასევე უნდა გამოვრიცხოთ მეორე ვარიანტიც, რადგან დღევანდელი ხელისუფლება ძალას ახლა უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე რევოლუციისას, ხოლო პროგრესულ ნაბიჯებად თუ ის მოიაზრება, რომ გაიზარდა სოციალურად დაუცველ ოჯახთა, უმუშევართა, იმედგაცრებულ ადამიანთა რაოდენობა, მაშინ აფერუმ საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას, „ვარდების რევოლუცია" ძეგლს ნამდვილად იმსახურებს.

მაგრამ რატომ გახდა აუცილებელი მისი დადგმა მაინცდამაინც რესპუბლიკის მოედანზე? მით უმეტეს, რომ რევოლუცია ამ ტერიტორიაზე სულაც არ მომხდარა. გვახსოვს, როცა დავითის ძეგლის დიღომში გადატანაზე დაიწყეს ლაპარაკი, ქალაქის მერმა გვისაყვედურა, რატომ არ გსურთ ძეგლის დიღომში,ი გადატანა, იმ უბანს შეურაცხყოფას რატომ აყენებთო; ჰოდა, თბილისის სხვა რაიონებს გული რომ არ დაწყდეთ, მშვენიერი მოედნებია გლდანში, მუხიანში, ვაზის უბანში, ვარკეთილში, დვარქვათ რომელიმე მათგანს „ვარდების რევოლუციის" მოედანი და ძეგლიც იქ დავდგათ. მით უმეტეს რომ ქანდაკება კარგა ხანია უკვე გვაქვს.

საკრებულოს წევრმა გიორგი მოსიძემ განაცხადა: „რაღას აწვალებენ თბილისელებს, პირდაპირ იყოს სააკაშვილის მოედანი, მაია ნადირაძის გამზირი, გიგა ბოკერიას ქუჩა (თუმცა მას ძეგლის დადგმას უკვე შეპირდნენ), ბექაურის შესახვევი და ა. შ". თუ შორიდან გვივლიან და მართლა ამას აპირებენ, მაშინ ხელისუფლებასთან ერთი თხოვნა მექნება, — იმისათვის, რომ მომავალ თაობას ოპოზიციური პარტიების ლიდერების სახელებიც შემორჩეს, იქნებ მათთვის ჩიხები მაინც შემოვინახოთ.

დაბოლოს, ჩემი აზრით, რესპუბლიკის მოედანზე ვარდის ქანდაკების დღესავე დადგმა მიზანშეწონილი არ იქნება. ყველამ იცის, რომ ამ ადგილას იდგა ძეგლი მეფე დავითისა, საქართველოს აღმაშენებლისა, წლების შემდეგ რა სახელით შევა „ვარდების რევოლუცია" ისტორიაში ეს კი ჯერ გაუჭვრეტადია. ქართველების ამბავი რომ ვიცით, ვინ უწყის მას იქნებ კაქტუსის რევოლუცია მოაყოლონ?! ჰოდა, ხვალ კაქტუსაც დავუდგათ ძეგლი?

**ლელა ხვადაგიანი**

# სოფელი ბედიანი გარესამყაროს მოსწყდა



**თბილისი-წალკის** მაგისტრალის ბედიანის მონაკვეთზე მეწყერი ჩამოწვა და გზა ჩაკეტა. მეორე დღეა მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელიც 10-15 დღემდე გაგრძელდება. გზაზე ჩამოშლილმა ლოდებმა ბედიანის ოთხმოცამდე მოსახლე და ფსიქიატრიული საავადმყოფო გარესამყაროს მოწყვიტა. ანალოგიურად, ტრანსპორტი არ მოძრაობს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჩათახისა და დმანისის რაიონის სოფელ გომარეთისკენ.

**ნაზი მეშველიანი**

№ 262, პარასკევი, 11 ნოემბერი, 2005 წელი.

ჟურნალისტური გამოძიება



# „უპატრონო" ავანტიურა, ანუ „აშოცკ-ნინოწმინდა"

## სახელმწიფო კომისია

ურბანიზაციის და მშენებლობის ყოფილმა მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა უხელმძღვანელა საქართველოს სახელმწიფო კომისიას, რომელსაც უნდა მოეხდინა ზემოთ აღნიშნული ობიექტის საექსპლუატაციო შეფასება. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ცნობები იმის თაობაზე, თუ ვისი განკარგულებით და ხელმოწერით შეიქმნა აღნიშნული კომისია. ცნობილია, რომ კომისიამ დადებითად შეაფასა ხაზის ტექნიკური მდგომარეობა და მოამზადა სათანადო დასკვნა.

ირკვევა, რომ სახელმწიფო კომისიას, ბატონ ჩხენკელის თავმჯდომარეობით, თავის დასკვნაში გამორჩა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება: საქმე ის არის, რომ კომისიამ ხაზის ტექნიკური მდგომარეობა შეაფასა ხაზის ჩამბარებლის და მისი მიმღების გარეშე, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია და დანაშაულის ტოლფასია. დავიჯეროთ, რომ კომისიის თავმჯდომარე და მისი წევრები ამის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი? ცხადია, იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, მ. ჩხენკელი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მსგავსი დასკვნები, არაერთხელ მოუმზადებია. ამდენად, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ბატონ ჩხენკელს და კომისიის დანარჩენ წევრებს შეგნებულად ჩაედინათ დანაშაული, მათ წინასწარ რომ ჰქონოდათ მიღებული ხელისუფლების თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ შექმნილ სიტუაციაში სომხეთის მხარეს, საქართველოს და სომხეთის კანონმდებლობის მიხედვით, უფლება არ აქვს, გამოაცხადოს „აშოცკ-ნინოწმინდის" საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მონაკვეთი თავის მფლობელობაში.

გამოდის, რომ დღევანდელ პერიოდში, ხაზი არსებობს და ამავე დროს არ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას, როგორც იმჟამინდელს, ასევე ახლანდელს, და უპირველეს ყოვლისა მისი უმაღლესი ეშელონის მოხელეებს, შექმნილი მდგომარეობა სავსებით ხელს აძლევთ.

## საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე

ბატონ ჩხენკელს და კომისიის ყველა წევრს დაავალეს, უფრო სწორად, უბრძანეს უკანონობაზე ხელი მოეწერათ. ბრძანება შესრულდა უსიტყვოდ. ვინ იყო მათი მბრძანებელი? ლოგიკურია, რომ მბრძანებლის როლში უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმჟამინდელი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მნიშვნელობა არა აქვს, მან პირადად გასცა ასეთი ბრძანება თუ თავისი რომელიმე ხელქვეითის მეშვეობით.

რა ამოძრავებდა ბატონ შევარდნაძეს — მატერიალური დაინტერესება? ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების მცხოვრებლებზე ზრუნვა? იქნებ რომელიმე „რკინის კაცი" იყო დაინტერესებული ამ ხაზის უკანონო მშენებლობითა და ექსპლუატაციით, ბატონმა ედუარდ (გიორგი) ამბროსოვიჩმა კი მას არ აწყენინა და სარფიანი საქმე უფეშქაშა? ჩვენთვის არსებითია არა ბატონი შევარდნაძის მოტივაცია, არამედ მისი ქმედებით მიღებული შედეგი. ის კი, სამწუხაროდ, სავალალოა — ფინანსურ წარუმატებლობასთან ერთად, ფაქტია პოლიტიკური მარცხიც — ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონების არაქართველ მოსახლეობაში კიდევ უფრო განმტკიცდა რწმენა, რომ მათი საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაზე „ზრუნავს" არა საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება. ეს კი ნიშნავს, რომ ედუარდ შევარდნაძეს და მის ყურმოჭრილ ხელქვეითებსა თუ ფავორიტებს ჩადენილი აქვთ აშკარა დანაშაული საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

## შპს „ენერგოტრანსი"

2003 წლის 11 სექტემბერს შპს „ენერგოტრანსის" გენერალურმა დირექტორმა მიხეილ გოცირიძემ წერილობით მიმართ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარეს ვაჟა კაპანაძეს. წერილში ბატონი მიხეილი აღნიშნავდა, რომ შპს 2002 წლის 4 სექტემბერს 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით იყო შექმნილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ.

ორგანიზაციის ბალანსზე, პირველი დღიდანვე, ირიცხებოდა მშენებარე, დაუმთავრებელი, 500 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი — „თბილსრესი-სამხრეთ საქართველო-ზესტაფონი". პერსპექტივაში, ხაზი უნდა დაუკავშირდეს თურქეთის ენერგოსისტემას. „ენერგოტრანსს არა აქვს არავითარი დაფინანსება, რის გამოც საშუალება არა აქვს, რომ ჩაატაროს შემოვლითი სამუშაოები, რათა დროულად ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, რა ხდება „თბილსრესი-სამხრეთ საქართველო-ზესტაფონის" ხაზზე, იძარცვება თუ არა ის.

ბატონმა მიხეილმა თავის წერილში აღნიშნა, რომ საჭიროა შპს გაუჩნდეს შემოსავლის წყარო და ასეთ წყაროდ მას ესახება „აშოცკ-ნინოწმინდის" მონაკვეთი, განლაგებული საქართველოს ტერიტორიაზე. აქვე მ. გოცირიძემ შეახსენა ბატონ ვ. კაპანაძეს, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის" საქართველოს მონაკვეთი არ ირიცხება არცერთი ორგანიზაციის ბალანსზე. აქედან გამომდინარე, მ. გოცირიძე ითხოვდა ვ. კაპანაძისგან აღნიშნული ხაზის საქართველოს მონაკვეთის „ენერგოტრანსის" ბალანსზე აყვანას.

## საწარმოთა მართვის სააგენტო

2003 წლის 30 სექტემბერს „საწარმოთა მართვის სააგენტომ" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს (მინისტრი მ. ნიკოლაიშვილი) და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (თავმჯდომარე დ. მირცხულავა) მიმართა თხოვნით, რათა მათ გამოეთქვათ მოსაზრებები „ენერგოტრანსის" გენერალური დირექტორის, ბატონ მ. გოცირიძის წერილთან დაკავშირებით; 2003 წლის 11 ოქტომბერს კი შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალურ დირექტორს ბატონ ბრაიან ქრონლის დაავალა უმოკლეს ვადაში უზრუნველეყო „აშოცკ-ნინოწმინდის" 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის — „ქვესადგური აშოცკი-ქვესადგური ნინოწმინდა" ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოში".

ეს ხდება მაშინ, როცა „აშოცკ-ნინოწმინდა", სამი წლის განმავლობაში, უკანონოდ არის ჩართული „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ელექტროქვესადგურში „ნინოწმინდა". უცხოელ მართველ ჯგუფს (გენერალური დირექტორი — ჯოზეფ კორბეტი) აზრადაც არ მოუვიდა გარკვეულიყო — ვინ, როდის და რა უფლებით მოახდინა ეს ჩართვა.

საბოლოოდ, 2003 წლის 1 დეკემბერს, „საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ფრუიძემ წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას. თავის წერილში ბატონი ფრუიძე აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის და ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროებმა გამოთქვეს თანხმობა „აშოცკ-ნინოწმინდის" 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის შპს „ენერგოტრანსის" საწესდებო კაპიტალში შეტანის შესახებ, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო" მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს აღნიშნული ქმედება, სანამ არ მოწესრიგდება ელექტროგადამცემი ხაზის ლეგალიზაციის საკითხი". ეს კი ნიშნავდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და გადაბარებას.

**თენგიზ ჩხიკვაძე, მალხაზ ხოშტარია,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო — „დრო და სივრცე".**
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 260, 261.

რეზონანსი

# „რევოლუციური გარდაქმნიდან" — „გარდაქმნილ რევოლუციამდე"

## ქართველ მკითხველთა გამოხმაურება და ექსპერტის კომენტარი რუსულ პრესაში წამოჭრილ კითხვაზე: რომელი სჯობს — კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი?

**საკითხის ამგვარად დაყენებაც კი დღეს, ცხადია, აბსურდია, მაგრამ სწორედ ამ ჭრილში განიხილა იგი „კომსომოლსკაია პრავდამ", რომელმაც ამ თემაზე სამსჯელოდ ეგორ ლიგაჩოვი და არკადი გაიდარი დაუპირისპირა ერთმანეთს, ხოლო იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უფრო მეტი იყო რუსეთში 1985 წელს, შარშანდელთან შედარებით, მასალას სათანადო დიაგრამაც დაურთო.**

**ჩვენმა გაზეთმა ეს პუბლიკაცია თავის 29 ოქტომბრის ნომერში გადმობეჭდა და დროის ამავე მონაკვეთში (1985-2004 წ.წ.) საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველი დიაგრამაც დაურთო.**

**1985 წლიდან წლევანდლამდე — „რევოლუციური გარდაქმნიდან" — „გარდაქმნილ რევოლუციამდე" — განვლილი ოცი წელიწადი ზემოქმედებით და შედეგებით ისტორიისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია, თითოეული ჩვენგანის მდგომარეობაზეც რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომ სხვადასხვა ასპექტით, მათ შორის, სტატისტიკის კუთხითაც, დაუსრულებლად შეიძლება...**

**სწორედ ამის გამოც მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციამ მკითხველთა რამდენიმე წერილი და შეკითხვა, რომელთაგან ზოგიერთის კომენტარი ვთხოვეთ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს იოსებ არჩვაძეს.**

**— რამდენად სანდოა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაიზარდა? რა გამოდის? — ამდენი ხალხი დაიღუპა — ზოგი ომში, ზოგი გაჭირვებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი გაიზარდა? ამგვარი მონაცემებით, რედაქცია ხომ არ ცდილობის, რბილად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანას?**

*— უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" თქვენთვის საინტერესო მასალის ცხრილში მოტანილი მონაცემები ახასიათებენ სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას მოცემული წლების მიხედვით ქვეყნის ფაქტობრივი მოსახლეობისთვის და არა ამ წლებში გარდაცვლილთა საშუალო ასაკს მათი გარდაცვალების მომენტისთვის. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ნებისმიერი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ინდიკატორთა რიგს მიეკუთვნება. მისი სიდიდე ზოგადად უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე — სხვა თანაბარ პირობებში კი, რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკურად ქვეყანა, რაც უფრო მაღალია მისი მოქალაქეების კეთილდღეობა, მით უფრო მაღალია სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობაც. მაგრამ ამ „სხვა თანაბარ პირობებში" რეალურ ცხოვრებას ყოველთვის შეაქვს თავისი არსებითი კორექტივები.*

ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის




ზრდა ნამდვილად არ ყოფილა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგი. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ორმა ფაქტორმა: **შობადობის მკვეთრმა შემცირებამ (თითქმის ორჯერ) და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.** ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში საქართველოდან გასულთა ძირითადი მასა — 85 პროცენტი — ყველაზე შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იყო, რაც 2,2-ჯერ აღემატებოდა ამავე ასაკის მოსახლეობის წილს მთელი ქვეყნის მოსახლეობაში.

შობადობის მკვეთრი შემცირება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ და რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის მასობრივმა გადინებამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიგ ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა თანხვედრის გამო დემოგრაფიულ ასპექტში **ხდება საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესის ინტენსიფიკაცია.** მარტო მოსახლეობის ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში (1989-2002წწ.) 0-15 წლიანების წილი შემცირდა თითქმის ერთი მეოთხედით, ხოლო 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა პირიქით — იმავე პროპორციით გაიზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესი 1990-იანი წლებიდან არ დაწყებულა — მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდობის წილის შემცირება და ასაკოვანი მოსახლეობის წილის მატება წინა პერიოდებშიც აღინიშნებოდა, თუმცა ბოლო დროს ეს პროცესი აშკარად დაჩქარდა.

მთლიანობაში, მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის მომდევნო პერიოდში (1926-2002 წლები), **მოსახლეობაში 16 წლამდე ასაკის მოქალაქეთა წილი განახევრდა, 60 წელს გადაცილებულთა კი, პირიქით, გაორმაგდა. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკმა თითქმის 7 წლით მოიმატა, მათ შორის ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში — თითქმის სამი წლით და დღეისათვის 37 წელს უახლოვდება.** თანაც, ეს არის საქართველოს მოსახლეობისა და არა მხოლოდ ქართველების საშუალო ასაკი. საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ სხვა ერს ბუნებრივი აღწარმოების, მატების მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი აქვს ავტოქტონურ ერთან შედარებით.

მთლიანობაში, სადღეისოდ **საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი თითქმის 6 წლით მაღალია, ვიდრე აზერბაიჯანში და 3,5 წლით მაღალი — ვიდრე სომხეთში.** სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ტიტულოვან ერთა შორის ქართველები ყველაზე ხანდაზმულად გამოიყურებიან. განსაკუთრებით კატასტროფულია ამ მხრივ მდგომარეობა ისეთ რეგიონებში, როგორიცაა თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა... მაგალითად, მოსახლეობის საშუალო ასაკი ონის რაიონში 46,4 წელია, ამბროლაურში — 47,4 წელი... შედეგი — დღეისათვის რაჭაში 2,5-ჯერ ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ამ ორი საუკუნის წინათ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

ამიტომ, მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ მომენტად მიჩნევა არასწორია. აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებიც. ამასთან, დემოგრაფიული კუთხით იგი პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუკი მოსახლეობის საშუალო ასაკი არ იზრდება, ან უკეთეს შემთხვევაში, მცირდება კიდეც....

**— გამოქვეყნებული ცხრილის მიხედვით, ერთ სულზე საშუალო ფულადი შემოსავალი 2004 წელს, 1985 წელთან შედარებით, განახევრებულია, პურის და ზოგიერთი სახის სხვა პირველადი მოხმარების საქონლის ფასი კი 2-3-ჯერ და მეტადაც არის გაზრდილი. გამოდის, რომ ჩვენი კეთილდღეობა, სულ ცოტა, 4-6-ჯერ შემცირებულა?**

— სხვადასხვა პერიოდის, მით უფრო სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შესატყვისი მონაცემების შედარებას ხშირად იყენებენ ეკონომისტები, სოციოლოგები, პოლიტიკოსები... ყველაზე ხშირად ამ დროს უდარებენ **საშუალო ხელფასით პირველადი მოთხოვნილების საგნების** (პური, ხორცი, კარაქი, კარტოფილი....) **შეძენის შესაძლებლობას.**

იხ. მე-6 გვ.

გლობუსი

# ნავთობი ცეცხლისკენ არ უნდა მივუშვათ

## კასპიის ზღვის რეგიონი და აზერბაიჯანის არჩევნები

**მეზობელ აზერბაიჯანში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები დიდხანს იქნება კავკასიით, კასპიის ზღვის ქვეყნებით და ნავთობით დაინტერესებულ პირთა, პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა განსჯის საგანი. აზერბაიჯანის ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოჭარბებული ძალისხმევით აზერბაიჯანის თანამედროვე ისტორიაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაიდგა ნაბიჯი, რომელმაც გარკვეულწილად შეანელა, თუ საერთოდ არ შეაჩერა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ოკეანისგაღმა დაგეგმილი ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების ტრიუმფალური სვლა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანამდე იმპორტულმა რევოლუციამ სერიოზულად წაიბორძიკა შუა აზიაში, კერძოდ ყირგიზეთში.**

არაზუსტი გამოდგა აზერბაიჯანის მთავარი ოპოზიციონერის, აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის (პარლამენტის) ყოფილი სპიკერის, 1997 წლიდან აშშ-ში ემიგრაციაში მყოფი რასულ გულიევის ეჭვნარევი იმედით ნათქვამი სიტყვები: „ილჰამ ალიევს არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება" (ეტყობა გულიევი ალიევისგან პოლიტიკურ ლმობიერებას მოელოდა) და „დღევანდელ პრეზიდენტს შანსი ეძლევა ანტიდემოკრატიული აზერბაიჯანი დემოკრატიულად გადააქციოს, თუ დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებს".

ალიევმა გაითვალისწინა გულიევის ნათქვამი, შეზღუდა ოპოზიციის აქტიურობა და მოიგო საპარლამენტო არჩევნები. ქვეყნის 125-კაციან პარლამენტში 64 ადგილი სახელისუფლებო პარტიას ერგო. ოპოზიციას ვერ უშველა ნარინჯისფერი ჰალსტუხების გაკეთებამ.

აზერბაიჯანში, სადაც საკმაოდ ძლიერია ოპოზიცია, ანტისამთავრობო გამოსვლები 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაიწყო, რასაც ხელისუფლების მხრიდან მკაცრი ზომების გატარება მოჰყვა. ცემა-ტყეპა, დაპატიმრებები, სხვა დამსჯელი ქმედებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ა.წ. ოქტომბერში ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მიტინგის დარბევამ თავისი სისასტიკით ყველაფერს გადააჭარბა. დარბევის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა, 200-ზე მეტი დაჭერილ იქნა. საპატრულო სამსახურისა და პოლიციის სწრაფი რეაგირების ძალების მოქმედება ნათლად ასახავდა მათთვის 5-6-ჯერ მომატებული ხელფასებისათვის ხელისუფლებისადმი მადლიერებას და თავდადებულ სამსახურს. აშშ-ს სენატმა აღნიშნულ ფაქტს სერიოზული შეფასება მისცა და სპეციალური რეზოლუციაც კი მიიღო აზერბაიჯანში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. არც ეუთო დარჩა ინდიფერენტული მაყურებლის როლში. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას მწვავე საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრისკენ.

მითითებებმა თითქოს შედეგი გამოიღეს. საპარლამენტო არჩევნებამდე ოპოზიციის მიმართ, ხელისუფლების მხრიდან, ოდნავ შერბილდა მოქმედება, რითაც ისარგებლა ოპოზიციამ და შეძლო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ხელახლა დარაზმვა, მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობა. ოპოზიციის ახალ გამოხდომას ხელისუფლებამ ძველებური სიმკაცრით უპასუხა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის ინიციატივით ჩატარდა მთავრობის წმენდა. ფართო საზოგადოებრიობის წინაშე „ალსარებით" — სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების თაობაზე წარსდგნენ ყოფილი მინისტრები.

ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებებმა დაგვანახეს, რომ პრეზიდენტი ილჰამ ალიევი სიმკაცრით, შეუპოვრობითა და მიზანდასახულობით არ ჩამოუვარდება მის მამას და მასწავლებელს ჰეიდარ ალიევს.

აზერბაიჯანის არჩევნებმა შეგვახსენა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში ისევ მყარად აქვს ფეხი მოკიდებული დიდი ბელადის გამონათქვამს — არჩევნებს იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის. საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, ადგილი ჰქონდა დარღვევებს, მაგრამ მათ ნეგატიურად არ უმოქმედიათ არჩევნების შედეგზე.

მსგავსი განცხადებები არაერთხელ გვსმენია საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა დონის არჩევნების შემდეგ. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასების დროს ეუთო თავის მოხსენებაში, თითო გვერდზე საშუალოდ 3 უხეშ დარღვევას აღნიშნავდა, რასაც უსიტყვოდ უნდა მოჰყოლოდა ჩატარებული არჩევნების გაბათილება, მაგრამ ევროპასა და ამერიკას აწყობდათ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება და ამიტომაც უმნიშვნელოდ მიიჩნიეს დაგეგმილი ფალსიფიკაცია.

არ გამართლდა რასულ გულიევის სხვა წინასწარმეტყველებაც, რომ არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები, საკუთარი ხმების დასაცავად ზღვა ხალხს გამოიყვანდა ქუჩებში. პოსტსაბჭოური სივრცის გაკვეთილებიდან გამომდინარე, ვიცით, რომ ქუჩაში ხალხის გამოსვლას მაშინ აქვს შედეგი, როდესაც რევოლუციები წინასწარ არის შეთანხმებული ოკეანისგაღმელებთან. აზერბაიჯანთან მიმართებაში ევროპა-ამერიკას ნაკლებად ხიბლავდა დესტაბილიზაცია.

აზერბაიჯანისადმი დასავლეთის ინტერესი არა მარტო გეოსტრატეგიული მდებარეობით არის გამოწვეული, არამედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებით და ეკონომიკური ინტერესებითაც. საბჭოთა კავშირის დაშლამდე კასპიის ზღვა საბჭოთა და ირანის ზღვად ითვლებოდა. 1921-1940 წლების სამართლებრივი სახის ხელშეკრულებები ითვალისწინებდა ორი ქვეყნის მიერ კასპიის ზღვის ექსპლუატაციას. საბჭოეთის დაშლის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. დაიწყო კასპიის ზღვის ხუთ ნაწილად დაყოფის მტკივნეული პროცესი. დასაწყისიდანვე რუსეთსა და კასპიისპირა ახალ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება საკმაოდ რთულად წარიმართა. კრემლი ძველებური ინერციით ხშირად მიმართავდა საბჭოეთისათვის დამახასიათებელ დირექტიულ ტონს, რითაც ხელს ჰკრავდა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს უცხოეთში მოეძებნათ პარტნიორები. ცნობილმა გამოთქმამ — ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობს, აშკარად გაამართლა. დღეს აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვების საქმეში მონაწილეობას ღებულობენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი. ყაზახეთში აქტიურად მუშაობენ აშშ-ის და ჩინეთის ეკონომიკური ჯგუფები. თურქმენეთით დაინტერესებულია აშშ, ირანი და უკრაინა. თვით ირანში ერთმანეთშია გადახლართული რუსეთის, ჩინეთის და ისლამური სამყაროს ინტერესები.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო კასპიის ზღვის რეგიონი, გარკვეული თვალსაზრისით, სპარსეთის ყურის ალტერნატივადაც გადაიქცა. ყაზახეთს განზრახული აქვს წლიურად ნავთობის მოპოვების 30-დან 100-120 მილიონ ტონამდე გაზრდა, აზერბაიჯანს 30 პროცენტით, თურქმენეთსა და ირანს — 10 მილიონ ტონამდე. რუსეთი საკუთარ შელფში გეგმავს წლიურად 50 მილიონი ტონის ამოღებას.

კასპიის ზღვის ქვეყნების მიერ სამომავლოდ დაგეგმილი ნავთობის მოპოვების საერთო რაოდენობა ნავთობის მარაგის მხოლოდ 3 პროცენტია. სწორედ ამის გამო კასპიის ზღვის რეგიონში მრავალი ქვეყნის ინტერესი იკვეთება, რაც მას პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთი დინამიური აქტიურობის ცენტრად ხდის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა ერთ ნაწილს კასპიის ზღვის ნავთობის რეზერვების სიდიდე ერთობ გადაჭარბებულად მიაჩნიათ, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

რუსეთი, რომელიც მსოფლიოში უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ ქვეყნად არის ცნობილი, ნავთობსადენი ქსელებითაც ცნობილია. მისი ინტერესები მარტივია — კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მოპოვება, გარდა ამისა, კასპიის ზღვის სხვა ქვეყნების მიერ მოპოვებული ნავთობისა და გაზის საკუთარი მილსადენებით ტრანსპორტირება. ნავთობის ტრანსპორტირებით მოპოვებული თანხა 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბებდა.

აშშ-ს და ევროპის გეოსტრატეგთა მეცადინეობით რუსეთს არ მიეცა საშუალება საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია კასპიის ზღვის აუზიდან წამოსული ნავთობისა და გაზის მთლიანი ნაკადი.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ნავთობის ჭაბურღილები, ვალდებულია პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით უზრუნველყოს მათი დაცვა. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება — იგივე კუვეიტი. ერაყის მიერ ამ ქვეყნის მიმართ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას მოჰყვა ამერიკელთა წარმატებული სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით — „ქარიშხალი უდაბნოში". ერაყში ამერიკელთა ინტერესში ნავთობი სულაც არ არის ბოლო ადგილზე. აშშ-ს სურვილია კასპიის ზღვის ახლო აღმოსავლეთის ალტერნატივად გადაქცევა და ორივე რეგიონთან თავისუფალი ლაპარაკის უფლების მოპოვება, რისთვისაც საჭიროა სამხედრო პლაცდარმის შექმნა. ასეთი პოლიტიკა გაღიზიანებას იწვევს რუსეთში.

ერთის მხრივ ციმბირის ნავთობის უმდიდრესი საბადოების მქონე რუსეთს ნაკლებად უნდა აინტერესებდეს კასპიის ნავთობი, მაგრამ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიიდან გამომდინარე, მისი დამოკიდებულება საწინააღმდეგოა. კასპიის ზღვის რეგიონში რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებასთან ერთად, აზრთა თანხვედრაც აღინიშნება. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც კასპიის ზღვის აუზით დაინტერესებას ჩინეთი ან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. „ეკონომიკური ვეფხვები" გამოთქვამენ. ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ საკუთარი ნავთობი. ჩინეთი, რომელსაც სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება აქვს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, აქტიურობას არ იშურებს კასპიის რეგიონში სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. ჩინეთის ეროვნული კომპანია აწარმოებს ნავთობმომპოვებელ სამუშაოებს ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ფართოვდება ჩინეთ-ირანის ეკონომიკური თანამშრომლობა ავტომშენებლობასა და სხვა დარგებში. კასპიის ზღვის რეგიონში სხვა სახელმწიფოების აქტიურობის შესაჩერებლად კრემლი ცდილობს კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შემოღებას, რომლის მიხედვით მხოლოდ კასპიის ზღვის ქვეყნებს ექნებათ შესაძლებლობა გადაწყვიტონ ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საკითხები.

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

## ელექტროენერგია იმდენი გვაქვს, აზერბაიჯანშიც ვაგზავნით

**საქართველოდან** აზერბაიჯანში ელექტროენერგიის ექსპორტი ზამთრის პერიოდში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში პირველად ხორციელდება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განუცხადეს.

როგორც ბაზარში აღნიშნავენ, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის პრეცედენტი უკანასკნელი წლების განმავლობაში წელს პირველად დაფიქსირდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ენერგოსისტემა ამ დროისათვის ამ წარმატებული ნაბიჯის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოდან აზერბაიჯანში დღე-ღამეში 0,9 მლნ. კილოვატსაათის ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება. ამით კომპანია „თელასი" „აზერენერგოს" 13-26 ოქტომბერს თბილისისათვის მოწოდებულ ელექტროენერგიას უკან უბრუნებს.

საქართველოდან აზერბაიჯანში ელექტროენერგიის ექსპორტი გრაფიკის მიხედვით ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

## ეს შეხვედრა სტამბოლში გაიმართება

**ქართველი** და აფხაზი ბიზნესმენების შეხვედრა სტამბოლში 10-15 ნოემბრისათვის დაგეგმილ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში გაიმართება.

აფხაზეთის 5-კაციან დელეგაციას აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა უხელმძღვანელებს.

## რიკოთის გვირაბში მოძრაობა აიკრძალა

**რიკოთის** საავტომობილო გვირაბში გუშინ ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, რიკოთზე მიმავალი 35-კილოვატიანი ხაზის შეკეთების გამო თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143 კმ-ზე არსებული საუღელტეხილო გვირაბს გუშინ დილიდან საღამოს 18 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა, რის გამოც რიკოთის საუღელტეხილო გვირაბში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.

მოძრაობა შესაძლებელია რიკოთის გვირაბის შემოვლით გზაზე.

ინტერპრესნიუსი

# გამოვყოფდი სამ ტენდენციას: ნეოკლასიციზმს, ყურბანიზმს და რთვლის პოეზიას

მესაუბრება ირაკლი კაკაბაძე

**დიბადა თბილისში. დაამთავრა № 1 საშუალო სკოლა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, შემდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში. მუშაობდა მრავალ ადგილას, როგორც საქართველოში, ასევე ამერიკაში. 1998 წლიდან 2004 წლამდე გამოსცა ოთხი წიგნი: „ტაიმ სკვერი დროთა მოედანი“, „ალეგრო ანუ ერთი წლის ქრონიკა“, „თანაგრძნობის სიმღერა“, „კანდიდატი ჯოყოლა“.**



1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ესელება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოში?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგიძლიათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● **გამოვყოფდი** სამ ტენდენციას: ნეოკლასიციზმს, ყურბანიზმს და რთვლის პოეზიას.

ნეოკლასიციზმს წარმოადგენს ლაშა ბუღაძე, ძალიან კარგად წარმოადგენს დათო მაღრაძე, ძალიან ღრმად წარმოადგენს გაგა ნახუცრიშვილი და რატი ამაღლობელი.

ნეოყურბანიზმის მიმდევარია კოტე ყუბანეიშვილი. ეს ახალი ყურბანული ტიპის პოეზია, იმავდროულად, ფუტურისტულ-ყურბანულ ელემენტებსაც შეიცავს.

ხოლო რთვლის პოეზიას ქმნიან ზურაბ რთველიაშვილი და მისი მიმდევრები, მათ შორის შოთა იათაშვილი. „რთველი“ უკავშირდება ვენახს. იგი უაღრესად ქართულია, თან შეიცავს ფუტურისტულ-დადაისტურ ელემენტებსაც.

● **ზედმეტი** კომერციალიზაცია, რა თქმა უნდა, კარგი არ არის. უნდა ვიზრუნოთ, რომ წიგნები უფრო მეტად ხელმისაწვდომი და იაფი გახდეს, თანაც ბიბლიოთეკებშიც მოიპოვებოდეს.

დღეს ბევრს არ შეუძლია ძვირად ღირებული წიგნების შეძენა. საერთოდ, წიგნების კონსუმერიზმი, ანუ ორგანიზებული მოძრაობა მომხმარებელთა უფლებებისა და გავლენისათვის დადებით პროცესად არ მიმაჩნია. სოციალური დარვინიზმის შემოსვლა განათლების სისტემაში დამღუპველია ყველა ერისთვის და მათ შორის საქართველოსთვის. ამაზე ხელისუფლებას სერიოზული დაფიქრება მართებს. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ რაიმე ანტიკონსუმერისტულ ტენდენციებს იმ განათლების რეფორმაში, რომელსაც დიდ იმედებს ვამყარებდით.

აუცილებელია მოთხოვნილების მიხედვით ბაზრების პასპორტიზაცია შედგეს, რომ დადგინდეს, რა სახის ლიტერატურა აინტერესებთ. ამას თანხები ესაჭიროება. სახელმწიფოს შეუძლია, სამხედრო რეკლამებში არ დახარჯოს დიდძალი ფული და ეს თანხა ბაზრებს მოახმაროს.

● **სულიერების** ნაკლებობა ჩვენი მთავარი პრობლემაა. ამის გამო დაჩაჩანაკებულია მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი, აქედან მოდის ისიც, რომ დაკარგულია ტერიტორიები და გადავიმტერეთ ჩვენი მოძმე ერები — აფხაზები და ოსები. იმავდროულად, ქართველები ერთმანეთსაც არ ვინდობთ.

საზოგადოება დაქუცმაცებულია, რადგან მატერიალიზმი სჭარბობს სულიერებას. სამწუხაროდ, ჯერ ისევ არტეკის მენტალიტეტი არსებობს. დასავლური და აღმოსავლური ტიპის მატერიალიზმი ზეობს სულიერებაზე.

სანამ სულიერების ზეიმი არ იქნება, მანამ საქართველოს კარგად ყოფნა არ უწერია.

● **ძალიან** ბევრი საყვარელი წიგნი მაქვს: „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“, რომელიც დღევანდელობას ეხმიანება.

ყველა ეს ნაწარმოები დღესაც ძალზე აქტუალურია. დავასახელებ ცოცხალ კლასიკოსებსაც: გურამ დოჩანაშვილს, ჭაბუა ამირეჯიბს... ჩვენ მათ ლიტერატურაზე დავიზარდეთ.

● **ენა** მუდმივად ცვალებადი ფენომენია. ქართულ ენას მუდმივად განახლება სჭირდება, იმავდროულად, აუცილებელია დიალექტების შენარჩუნებაც. ქართული ენის სიმდიდრე ხომ მისი დიალექტებია.

● **ამჟამად** ვმუშაობ „სიყვარულის ეპილოგზე და სიუხვის რესპუბლიკაზე“. ეს არის მულტიმედია, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები. ვნახოთ, რა გამოვა.

ჩაიწერა
**თამარ შაიშმელაშვილმა**

# ჩემი მეგობარი ნუცა

ირაკლი კაკაბაძე

შემოდგომა ფეხს იდგამდა. იმ დროს პირველად შემცივდა და გადავწყვიტე, თბილი ჟაკეტი ჩამეცვა. თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ ქუჩაში გავედი საზორიალოდ. ქარის შრიალი საოცრად მსიამოვნებდა. ბუნება თითქოს თვითონ მაყენებდა სევდიან განწყობაზე და მიმაქანებდა იქით, სადაც ჯერ არასდროს ვყოფილვარ.

წყნარ ქუჩებში სიარული საღამო ხანს ყოველთვის მიყვარდა. იყო პერიოდები, როცა არაფერს ვაკეთებდი ასე უაზროდ ხეტიალის გარდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა მუშაობა არ შემეძლო და გარეთ ვეძებდი საზრისს. იმ საზრისს, რომელიც ამავსებდა და სიცოცხლის ხალისს დამიბრუნებდა.

ახლა კი რას ვხედავდი. სევდას და უსაზღვრო მოწყენილობას. თვითონ შემოდგომაც ხომ ასეთია. ადამიანური ვნებები ცხრება. ყველაფერი ვიწრო კალაპოტში დგება. ერთფეროვანი ცხოვრება ისევ ბატონდება მანამდე, სანამ გაზაფხული არ შეანჯღრევს ჩვენს მიძინებულ სულებს.

მივდიოდი ქუჩაში და ძველი სახლების სილამაზე მაიძულებდა, ერთი წუთით მოვმწყდარიყავი სამყაროს, პირი დამეღო და მშვენიერებისათვის პირდაპირ თვალებში შემეხედა. ფიქრში დრო ისე სწრაფად მიდიოდა, რომ ვერც ვასწრებდი ერთი აზრის ხეირიანად დამთავრებას. მეჩვენებოდა, რომ ცხოვრება უაზროდ გარბოდა. მე კი აღარ შემეძლო უკან მოხედვა.

ამ დროს ერთი ჩემი მეგობრის ფანჯარასთან შევჩერდი. რატომღაც მომინდა ასვლა. კარგა დიდ ხანს არ ვიყავი მასთან ნამყოფი. ადრე მეგონა, ამ ლამაზ გოგოსთან ისე დავდიოდი ტყუილად, დროის მოსაკლავად. მაგრამ იმ წუთას მომეჩვენა, თითქოს მე და ის მთელი ცხოვრება რაღაცას ველით ერთმანეთისგან. რაღაც დახმარებას გაჭირვებული სულისათვის, თბილ სიტყვას თუ ერთ ნაზ ღიმილს, რომელიც სიცოცხლეს სჯობს.

ხშირად მომჩვენებია ჩემი თავი სასაცილოდ, როცა ასეთი სენტიმენტალური აზრები მომაწვებოდა ხოლმე. ახლა კი არც ეს მიგრძვნია. ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა. ის გაორება, რომელიც მთელი სიცოცხლე თან მსდევს, სადღაც გაქრა და სილამაზეს დაუთმო ადგილი. იმ სილამაზეს, რომლის გახსენებაზეც თვალებს ხუჭავ და ცდილობ, არ იფიქრო, რომ სხვა აზრებმა არ შეგირყიონ ეს ღვთაებრივი წარმოდგენა. ხანდახან მგონია, რომ ცხოვრება მარტო ამის გულისთვის ღირს.

ძველებურ ზარს ხელი ჩამოვკარი. ცოტა ხანში კარი გაიღო და ჩემთვის ნაცნობმა ქალმა შინ შემიპატიჟა. ეს იყო მოსამსახურე, რომელიც მათთან ცხოვრობდა ოჯახში. მოხუცებული ქალი, რომელსაც თავისი სიჭარმაგე საოცრად უხდებოდა.

კიბეებს ავუყევი. თან ზემოთ ვიყურებოდი. კედლებზე სხვადასხვა მხატვრის ტილოების რეპროდუქციები ეკიდა. ამ სურათს როცა ვუყურებდი, რატომღაც ჩემი მასწავლებლის ნათქვამი გამახსენდა: „ყველა ხელოვანი ცდილობს თქვას, ღირს თუ არა ცხოვრება“.

მახსოვს, მაშინ საშინლად გამიკვირდა და ერთი კითხვა დამებადა. ხომ შეიძლება კაცმა ცხოვრების ბოლომდე ვერ გადაწყვიტოს ეს საკითხი, ბოლომდე ღია დარჩეს კითხვა.

ძალიან გავერთე ამ ფიქრებში და ვერ შევამჩნიე, რომ ზემოთ ვიღაც იდგა. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი მოვაშორე ნახატებს და იქითკენ გავიხედე.

თავიდან თვალებში დამიბნელდა. ეს იყო ღვთაებრივი სურათი, რომელსაც თითქოს ნაკლი არც ჰქონდა. ულამაზესი, უმშვენიერესი ყველაფერ იმაზე, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს.

იმ წუთას ვიფიქრე, რომ მისი დანახვა ყველას უცებ გააცემინებდა პასუხს ყველაზე რთულ კითხვაზე.

„ღირს, ღირს ცხოვრება, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არის სილამაზე“.

არაფერი იყო მის ტან-ფეხზე ლამაზი. მისი თვალები კი არაჩვეულებრივ სიწყნარეს ასხივებდა. მისი დანახვა დიდ ძალას მმატებდა მეც. ეს იყო თვითონ სიცოცხლე, მისი დიდი ძალა და სუნთქვა, რომელიც აქამდე ჩემთვის უხილავი რჩებოდა. მთელს მის არსებაში ამ დროს მისი სული სჩანდა. ის რაღაც უხილავი სიხარული, ის ღიმილი, ის სევდაც. ყველაფერი გადმოსცემდა მისი საოცრად ლამაზი ბუნების მოძრაობას. მისი მიხვრა-მოხვრა მხოლოდ ღმერთს შეეძლო ჩაედო ადამიანში. და თუკი ჩვენ ცხოველები ვართ, როგორც ამას ვილაცეები ამტკიცებენ, მაშინ არც ამ ღვთაებრივი სილამაზის შეგრძნობა უნდა შეგვეძლოს.

— როგორ ხარ? — მითხრა იმან და გამიცინა.

ხმას ვერ ვიღებდი. ისე შევედი ოთახში და დავჯექი.

ის მიყურებდა და თავისი ლამაზი თვალებით მამშვიდებდა. ხშირად ჩვენ ლაპარაკს სხვადასხვა სიტყვებით ვავსებდით, მაგრამ ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ თვალებით ბევრად მეტს მეუბნებოდა, ვიდრე ბაგეებით, თუმცა ორივე ერთნაირად ლამაზი ჰქონდა.

მაგრამ იმ დღეს ყველაფერი ისე აეწყო, რომ ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ. და ეს ლაპარაკი არც ისე უაზრო იყო. ეს თითქოს შემთხვევით მოხდა. არც კი ვიცი.

იმან ერთი პატარა სურათი ამოიღო და გამომიწოდა.

— აი, ჩემი საქმრო, — მითხრა სიცილით ნუცამ.

— მე მშურს იმის, — გულწრფელად ვთქვი მე. შეუძლებელი იყო არ შეგშურებოდა.

იმან ნაზად გამიცინა. მერე გამომართვა სურათი და ნაღვლიანად დახედა.

— მაგრამ ყველაფერი მორჩა.

— რატომ? — ვთქვი მე გაკვირვებულმა.

მან ისევ გაიღიმა და მერე მოყოლა დაიწყო.

— თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად იყო. გვიყვარდა ერთმანეთი. არ შეგვეძლო ცალკე ცხოვრება. ყოველ დღე ვხვდებოდით. ყველაფერი გვაინტერესებდა ერთმანეთის შესახებ. საათობით ვსეირნობდით ქუჩებში. ვერც სიცივეს ვგრძნობდით და ვერც სიცხეს. ოღონდ ერთად ვყოფილიყავით.

იცი, რას ვგრძნობდი იმ დროს? მეგონა, რომ იმის გარეშე ჩემს ადგილს ვერ ვპოულობდი ქვეყანაზე. ის მამშვიდებდა და ძალას მმატებდა. როცა მას ვნახავდი, ყველაფერი უცბად იცვლებოდა. სინაცრისფრე იმწუთსვე წყვეტდა არსებობას. თავი სამოთხეში მეგონა.

ასე გავიდა ერთი წელი. ისე, რომ ერთხელაც არ გვიჩხუბია, ერთხელაც არ გვითქვამს ცუდი რამ ერთმანეთისათვის. იმისგან ძალიან ბევრს ვსწავლობდი. მოკლედ, ყველაფერი ისე კარგად მიდიოდა, მეტი რომ არ შეიძლება. ასეთი ცხოვრება აღარ მეორდება.

მე ყურადღებით ვუსმენდი ნუცას.

— მერე რა გიშლით ხელს? — ვკითხე ამის მერე.

— არაფერი, — თქვა მან.

— აბა?

ნუცას სევდაც საშინლად უხდებოდა. მის სახეზე ნაღვლიანი გამომეტყველება მშვენიერებით სუნთქავდა.

— იცი რა, ყველაფერი ისეთი უბრალო არ არის, როგორც ხანდახან გვგონია. ერთ წელიწადში რაღაც შეიცვალა. ჩვენს შორის რაღაც მოხდა.

— როგორ? — გამიკვირდა მე.

— ჩვეულებრივად. აღარ ვენდობოდით ერთმანეთს. უიმისოდ მეც მიჭირდა და ისიც გიჟდებოდა უჩემოდ. მაგრამ, ეს არ იყო მონატრება. შეიძლება ამას ეჭვიც დაარქვა. მაგრამ, რაღაც საზიზღარი ეჭვი, რომელიც ტვინს გიღრღნის და მოსვენებას არ გაძლევს. მე არც ვიცი რა არის ეს. ერთმანეთი არ მოგვბეზრებია. ალბათ ახლაც გაგიჟებით გვიყვარს. მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოვა.

— რატომ?

— შეიძლება იმიტომ, რომ ორივენი ვფიქრობთ ერთმანეთის შეცვლაზე და ეს არასდროს ხდება. ორივეს გვინდა, რომ ვფლობდეთ ერთმანეთს და ამავე დროს თავისუფლები ვიყოთ და ეს არასდროს გამოდის.

— არაფერი არ მესმის, — ვთქვი მე.

— ჩვენ არ გვეყო ძალა, ბოლომდე ლამაზად გვეცხოვრა, თუმცა გვეგონა, რომ ამ სიყვარულს ბოლო არ ექნებოდა. და ერთი წლის განმავლობაში ეს, მართლაც, ასე იყო. მაგრამ მერე, ეტყობა, გათავდა ყველაფერი.

ერთ მშვენიერ დღეს მე დავინახე, რომ ის სულ ღიზიანდებოდა. არ სიამოვნებდა ჩემი ლაპარაკის მოსმენა. გამუდმებით ცუდ ხასიათზე იყო. ვერ ვხვდებოდი რა აბრაზებდა ასე. თავიდან გადავწყვიტე არ შემემჩნია ეს ყველაფერი და მომეთმინა ცოტა ხანს. მეგონა, რომ დრო ყველაფერს წაიღებდა და წამიერი წყენაც ორივეს დაგვავიწყდებოდა. მაგრამ ხანი გადიოდა და ეს გრძელდებოდა. თან უფრო და უფრო მწვავედ. უკვე თითქმის აღარც მელაპარაკებოდა. მარტო „ჰო“-ს ან „არა“-ს თუ გადმომიგდებდა ხანდახან. მე ვცდილობდი, რომ წყნარად დამეთმო ყველაფერი. ის კი სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ჩემი დამონება და დამორჩილება უნდოდა და ეს საშინლად არ მსიამოვნებდა.

ბოლოს ვეღარ გავძელი. ავდექი და ვუპასუხე უხეშ სიტყვებზე. მივედი იმასთან და ვუთხარი:

— აღარ გიყვარვარ?

— რა მოხდა? — კითხვითვე მიპასუხა იმან.

— არაფერი. თუ აღარ გიყვარვარ, დავშორდეთ. მე ყველაფერზე მზად ვარ.

— მიყვარხარ, — თქვა იმან.

— მაშინ რა მოხდა, რა გაბრაზებს?

იმან გაბრაზებული სახით ამომხედა და დიდხანს მიყურა. სანამ არ მიპასუხებდა.

— ის, რომ უჩემოდ გიხარია ყოფნა.

მე გაკვირვებული ვიდექი.

— ეჭვიანობ?

— არა, — გააგრძელა წყნარი ტონით, — უბრალოდ არ მინდა სხვა რამე გიხაროდეს, გარდა ჩემი ნახვისა. არ მინდა მხიარულად იცინოდე, როცა მე იქ არა ვარ. შენ ხარ ჩემი, ჩემი საკუთრება. გაიგე?!

ვერაფრით ვხვდებოდი, რისი თქმა უნდოდა. ის კი გამხეცებული თვალებით მიყურებდა.

— ესე იგი მე არა მაქვს უფლება მიხაროდეს ლამაზი მთების ნახვა, მსიამოვნებდეს ყვავილის მოწყვეტა, ვგიჟდებოდე ცის მშვენიერებით თუ შენ იქ არა ხარ. არა?! სწორად გავიგე?

ის დაჟინებულად მიყურებდა. თვალებში საშინელი ბოღმა აწვებოდა. ასე მგონია, მზად იყო იმ წუთას დავეხრჩვე.

— მითხარი, არა მაქვს უფლება გამიხარდეს სხვა ადამიანის ნახვა?

— არა, შენ ხარ მარტო ჩემი, — იყვირა იმან საშინელი ხმით. მერე რამდენჯერმე გაიმეორა და მაგიდას ხელი დაარტყა.

ეს იყო პირველი შემთხვევა ჩვენს შორის, როდესაც ასე პირდაპირ ვილაპარაკეთ ჩვენ გრძნობებზე. მე სრულიად გაოცებული სახით ვუყურებდი მას.

— რატომ მეუბნები ამას?

— შენ გგონია მე მინდა, რომ ასე მყავდე?! უბრალოდ ყველა ასე ელის ჩემგან, ყველა. ჩვენ ერთმანეთს უნდა ვეკუთვნოდეთ, — სხვა ვარიანტი არ არსებობს.

— კი, მაგრამ არ შეიძლება უბრალოდ გვიყვარდეს ერთმანეთი და არ ვეკუთვნოდეთ?

— არა, ეგ არ გამოვა. არა, არა, არა!

ის ამას გამწარებული სახით ყვიროდა. იმ წუთას შემეცოდა კიდევაც. იმ დროს დავინახე, რომ თვითონ შეიძლება არც უნდოდა ასეთი კანონებით ცხოვრება, მაგრამ საოცრად ეშინოდა დაპირისპირებისა ამ ყველაფერთან. ის დასტიროდა თავის უძლურებას და თან საშინელი ბრაზი აწვებოდა.

— არა, არა, არა!..

ის წამოდგა და გავარდა ოთახიდან.

ამის მერე ღამ-ღამობით არ მეძინებოდა. ჩემთვის სამყარო გადატრიალდა. ყველაფერი, რაც ადრე თეთრი იყო, შავი გახდა. ცხოვრების ხალისი დამეკარგა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ვერაფრით ვხვდებოდი, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს. ჩემს საქმროს თან ვუყვარდი და თან საშინლად ვუშლიდი ნერვებს. და თანაც ეს ყველაფერი გარშემო მყოფებს ბრალდებოდათ. საზოგადოება გახდა ჩემი უბედურების მიზეზი. ამ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა გამხარებოდა სხვა ადამიანების ნახვა. თვითონ ისიც ხვდებოდა, რომ ეს არასწორი იყო, მაგრამ არაფერს აკეთებდა, რომ ეს შეეცვალა. ან შეიძლება ვერაფერს.

ამ დღიდან საბოლოოდ დაიწყო ჩვენი დაშორება. უკვე სულ ცოტა გვქონდა საერთო. სალაპარაკო თითქმის აღარაფერი იყო. ერთ ხანს ვცადე კიდევაც ისე მოქცევა, როგორც იმას უნდოდა. სულ მინდოდა მოწყენილი ვყოფილიყავი უიმისოდ. მაგრამ ეს იმდენად ხელოვნური იყო, რომ ყველაფერს ფასი ეკარგებოდა. მინდოდა არ გამეცინა მის გარეშე. მაგრამ, იცი რა. ეს მე არ შემიძლია. იმიტომ რომ არ ვარ ასეთი. და თუ ვინმემ შემიყვარა — ისეთი უნდა შემიყვაროს, როგორიც ვარ სინამდვილეში.

მე არ შემიძლია არ მიხაროდეს ცხოვრება, არ ვიცინოდე, არ ვიყო ლამაზი. ეს ყველაფერი ჩემში ზის, და თუ რამე შეიცვალა, მეც სხვა გავხდები. ძალიან მინდა იმასთან ერთად ყოფნა. იმიტომ რომ გაგიჟებით მიყვარს. უიმისობა მტანჯავს. მაგრამ მე არ შემიძლია უარი ვთქვა თავისუფლებაზე. ყველაზე დიდ რამეზე, რაც გვაქვს ცხოვრებაში. რატომ არ შეიძლება სიყვარულში თავისუფლებაც იყოს. ვინ მოიგონა სიყვარული როგორც მონობა?!

სიყვარული ხომ თანასწორობაცაა. როცა შენ შენი ნებით დაყვები მას, როცა თვალებში უყურებ და ცდილობ არ აწყენინო. როცა იმისი სიხარული შენი სიხარულიცაა. აი, მაშინ იქნები ბედნიერი.

ნუცამ დაამთავრა მოყოლა. სახეზე ენით აუწერელი სევდა ეწერა. ეს სევდა იმდენად ალამაზებდა მის ნაკვთებს, რომ იმ წუთას იმაზე მშვენიერი არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

თვალებიდან ცრემლები მომდიოდა. ძალიან მინდოდა თავის შეკავება, მაგრამ არ გამომდიოდა. თავს მეც დამნაშავედ ვგრძნობდი. მეც ხომ ამ საზოგადოებაში ვცხოვრობდი. მაგრამ იმ წუთას ჩემს თავს შევებრძოლე და ვეცადე, ჩემი ფიქრები სხვაგან გადამეტანა. ვიფიქრე, რომ ათასობით ადამიანს ასეთი უკუღმართი ბედი აქვს და ამიტომ არის ცხოვრება ასეთი. რა მოხდებოდა, ეს ყველაფერი რომ ერთ მშვენიერ დღეს გადმოტრიალებულიყო და ყველაფერი პირიქით მომხდარიყო. მაშინ შეიძლება ნუცა ბედნიერი ყოფილიყო. მაშინ ალბათ ყველანი ერთად ვიტირებდით და ვიმღერებდით, განვიცდიდით და გაგვიხარდებოდა. აი, ეს გავიფიქრე იმ დროს. თუმცა, ცოტა ხანში თვითონვე გამეცინა ჩემს გულუბრყვილობაზე.

კიდევ პატარა ხანს დავრჩი იქ. რაღაცაზე ვლაპარაკობდით. აღარც კი მახსოვს რიგიანად. იმაზე ფიქრმა ჩაახშო ჩემში ყველა დანარჩენი ემოცია.

მერე მახსოვს, რომ წამოვედი.

გზაში ვფიქრობდი, რომ სილამაზეს არავინ უნდა შეეხოს. რაც არ უნდა ძლიერი იყოს. არავის აქვს უფლება ჩაქოლოს ყველაზე მშვენიერი, რაც ქვეყნად არსებობს. და ჩვენ ყოველ დღე ვუყურებთ ამას და ვერაფერს ვაკეთებთ. იმ წუთას მივხვდი, რომ საშინლად სუსტი ვიყავი. და ჩემი ნებით ვიყავი ასეთი სუსტი. არ მინდოდა საზოგადოებასთან დაპირისპირება. მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც ნუცას უბედურებას ხელს უწყობდა.

მოვედი თუ არა სახლში, მაშინვე დავწექი ლოგინში და დავიძინე.

საოცარია, მაგრამ ნუცას სახე ძილშიაც ჩამყვა. ასეთი უცნაური და ლამაზი სიზმარი არასდროს მინახავს.

მე მივდიოდი ქუჩაში. ირგვლივ უამრავი ხალხი იყო. ყველა მესალმებოდა დასაწყისში. დავიღალე ამდენი მოსალმებებისაგან. მაგრამ ცოტა ხანში ყველა უცნობი გახდა და ჩქარა დაიწყო სიარული გულცივი სახეებით. აი, ისე როგორც მეხუთე ავენიუზე დადის ხალხი სამუშაოს შემდეგ. ხალხს თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. თითქოს ერთი წუთით თბილისიდან ნიუ-იორკში გადავედი. მიკვირდა, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

ამ დროს დავინახე ნუცა. მას თეთრი, გრძელი კაბა ეცვა. ის ქუჩის ბოლოში იდგა. სახე მთლიანად განათებული ჰქონდა. მიკვირდა, რომ ასე შორს შემეძლო მისი ნაკვთების კარგად გარჩევა. ის ნელა მიახლოვდებოდა. ტუჩებზე ნაზი ღიმილი უთამაშებდა. მე გაკვირვებული სახით მისკენ მივდიოდი. ბოლოს, როგორც იქნა, ერთმანეთის პირისპირ დავდექით.

ის საოცრად ლამაზი იყო. თან ძალიან უხდებოდა სიცილი. წყნარად ლაპარაკობდა, ისე რომ ანგელოზი გეგონებოდა.

— სად ვართ ჩვენ? — მკითხა იმან.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

— მე ჩემი გზით უნდა წავიდე ამ უცნობ ქალაქში.

მე გაკვირვებულმა შევხედე.

— სად?

— აი, იქ, — თქვა ნუცამ და ხელი გაიშვირა.

მე გავიხედე მისი ხელის მიმართულებით და დავინახე მზის სხივი. ეს სხივი ისე ძლიერად ანათებდა, რომ თვალს მჭრიდა.

— იქ თავისუფლება და სიყვარული ერთად არიან. იქ სილამაზე ცოდვა არ არის. მე უნდა წავიდე, ნახვამდის.

მეტი აღარაფერი უთქვამს. ჩვენ ორივემ განვაგრძეთ ჩვენი გზა. უკან აღარც მომიხედია. ასე დამამახსოვრდა ეს უცნაური სიზმარი. ის დღეები საშინლად ვიყავი დათრგუნული. დაბნეული დავდიოდი აქეთ-იქით და ჩემს თავს ვერსად ვპოულობდი.

მაგრამ ამ დღეებმაც უცბად ჩაიარეს. ცხოვრება გაგრძელდა. ნელ-ნელა ამომეშალა მეხსიერებიდან ეს ლაპარაკი. ჩემი მეგობარი ნუცა მე მეტი აღარ მინახავს. ერთ დღეს გავიგე, რომ ის გათხოვდა. ვხედავდი ყველას, ვისი ნახვაც არ მსიამოვნებდა, ვისგანაც არაფერს ვიღებდი. მაგრამ ის აღარ მინახავს.

ასე გავიდა რამდენიმე თვე და წელიწადი.

ერთი შემოდგომის დილით ლექციაზე ვიჯექი მოწყენილი და ფანჯარაში ვიყურებოდი. ლექტორი ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ მას თითქმის არავინ უსმენდა. ყველა თავისი საქმეებით იყო გართული.

ამ დროს მე ერთ-ერთი ჩემი კურსელი ბიჭი მომიჯდა გვერდზე. ჩვენ არასდროს ვმეგობრობდით და ამიტომ ჯერ გამიკვირდა კიდევაც.

— ამას იცნობ? — ჩამჩურჩულა იმან. მერე სურათი ამოიღო და მომცა.

სურათს დავხედე. ეს იყო ნუცას სურათი თავის ქმართან ერთად. ჩემი მეგობარი ქმარზე უთითებდა.

— არა, მაგრამ ცოლს ვიცნობ.

ჩემმა კურსელმა სურათი გამომართვა. მერე ჩემსკენ ახლოს მოიწია და ისევ ყურში ჩამჩურჩულა:

— ჰოდა გუშინწინ ამ ბიჭმა თავისი ცოლი მოკლა. ხალხში თავის შერცხვენას არ შეგარჩენო. არავინ იცის რა იყო ამის მიზეზი.

მე გავშეშდი. მისკენ გახედვაც ვერ შევძელი. ისე ვიყურებოდი ჩემს წინ ერთ წერტილში. უცებ ყველაფერმა ჩემს თვალწინ გაირბინა. გამახსენდა მთელი ჩვენი საუბარი. ნუცას სახე სულ თვალწინ მედგა. ვცდილობდი როგორმე ამომეგდო თავიდან, მაგრამ არ გამომდიოდა.

რაღაც საოცრად დიდი ბოღმა მომაწვა გულზე, რომელსაც ძლივს ვაკავებდი. იმის გამო, რომ ხანდახან ცხოვრება ასეთი საშინელია და ჩვენ არ შეგვიძლია შევცვალოთ. უფრო სწორად არ გვინდა, იმიტომ, რომ წყნარად ვიყოთ.

მინდოდა, მეც მოვმკვდარიყავი იმ წუთას იმასთან ერთად და აღარ მეცხოვრა.

ჩემს წინ მსხდომი სტუდენტები უაზროდ სწევდნენ ხელებს მაღლა და იცინოდნენ. ვუყურებდი და მიკვირდა. მიკვირდა ის, რომ ყველაფერი შეიძლება ასე მწარედ დამთავრდეს.

რატომ ვქოლავთ სილამაზეს და მშვენიერებას ყოველ დღე? რატომ ვიგონებთ ათასნაირ კანონებსა და დოგმებს, რომ შევზღუდოთ სილამაზე? ნუთუ არ შეგვიძლია თავისუფლებისა და სიყვარულის შეთავსება.

ნუცას ცხოვრება ლამაზი იყო და ჩვენ კი სულ ვიტანჯებით უსახურობით. იმიტომ, რომ ჩვენ ჯუჯის ცხოვრებას ვირჩევთ. ვირჩევთ ცხოვრებას გაურკვეველი წესებით და მერე ამ წესების დაცვას ვეწირებით ყველანი. და თუ ვინმე კითხვას დაუსვამს ამ წესებს, ჩვენივე ხელით ვკლავთ.

ნუცა მეუბნებოდა, რომ სადღაც სიყვარული და თავისუფლება ერთად არიან. მე ახლა უფრო მჯერა, რომ სიყვარული თანასწორობაა და რომ ჩვენ ერთმანეთი ადამიანურად შეგვიძლია გვიყვარდეს. მე დღეს უარს ვამბობ იმაზე, რომ დავისაკუთრო ჩემი საყვარელი ქალი. მე მინდა პატივი ვცე და ვეთაყვანო მის სილამაზეს, და არ ვფლობდე მას როგორც ნივთს.

ამას ვფიქრობდი და თვალებიდან ღაპაღუპით მომდიოდა ცრემლები.

ეს მოხდა შემოდგომაზე. მას მერე შეიძლება ბევრი შემოდგომაც გავიდა, მაგრამ მე არასდროს დამვიწყებია ჩემი მეგობარი ნუცა და ის ადგილი ამ ქვეყანაზე, სადაც სიყვარული და თავისუფლება ერთად არიან.

⊙ მეათე მუზა

# პირველი „ნაცმენი“ პრეზიდენტი...

## ფილმი სახელოვან ხელოვანზე

**ახლახან თბილისელებმა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფართო ეკრანზე ნახეს დოკუმენტური ფილმი „მხატვარი“ და „წერეთლის ხელოვნების გალერეა“, რომლის ჩვენება მოაწყო საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციამ.**

მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფილმისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზში ხალხი ფეხზეც იდგა. დამსწრენი თვალს არ აცილებდნენ ეკრანს.

მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, საშვილიშვილო საქმე გააკეთა ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა მურმან ასიტაშვილმა, რომელიც აღნიშნული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ავტორიც არის და რეჟისორიც. იგი ოც წელიწადზე მეტია, მოღვაწეობს ზურაბ წერეთლის გვერდით და მემატიანის მახვილი თვალით დანახულს უჩვენებს დიდი მხატვრის თანამედროვეებს და ბუნებრივია, უტოვებს შთამომავლობას.



საათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი დინამიკურად ვითარდება, მასში დამაჯერებლადაა ასახული მხატვრის მიერ განვლილი ყოველი მნიშვნელოვანი ეტაპი და შემდგომ განუწყვეტლად ახლის დაწყების პერსპექტივები.

ფილმში ამ დიდი მხატვრის კოლორიტული შემოქმედების დასაწყისიცაა ნაჩვენები, როცა ახლებურად მოაზროვნე კურსდამთავრებულის სადიპლომო ნამუშევარი ავანგარდისტული სულისკვეთების გამო არ იქნა მიღებული, სასწრაფოდ გადაკეთებულმა სადიპლომო თემამ კი მაინც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ნიჭიერი და მეტად საინტერესო ყოფილი სტუდენტის სადიპლომოს დამწუნებელი, როგორც ამ შესანიშნავი ფილმიდან კიდევ ერთხელ ვიგებთ, იყო რუსეთის უძველესი საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, მაშინდელი ყოველგვარი უმაღლესი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, აკადემიკოსი სეროვი.

გაივლის წლები და უჩვეულო ტალანტისა თუ განგების ძალით რუსეთის სამხატვრო აკადემიის დიდი სამხატვრო საბჭო — მხატვართა ეს ცნობილი ელიტა, ერთხმად, ტაშის გრიალით აირჩევს ზურაბ წერეთელს რუსეთის სახელგანთქმული აკადემიის ისტორიაში პირველ არარუს, ანუ რუსებისვე გამოთქმით „ნაცმენ“ პრეზიდენტად, რაც ნამდვილ მოვლენას უდრიდა.

ახალი პრეზიდენტი სწორედ იმ სავარძელში ჩაჯდება, სადაც ათეული წლების წინ იჯდა საყოველთაოდ აღიარებული გოროზი ვლადიმერ სეროვი.

მურმან ასიტაშვილის საუცხოო დოკუმენტურ ფილმში დამაჯერებლად, მხატვრული ძალითა და შემოქმედებით სიღრმეებში წვდომითაა ნაჩვენები, როგორი ახლებური მიდგომით ააღორძინა ხელოვანმა მოზაიკის, ჭედურობის, ტიხრული მინანქრის უსაზღვრო შესაძლებლობები, როგორი თავდადებული შრომით მიემართებოდა ვრცელი გზა უმაღლესი დონის მხატვრობისა და მსოფლიოში აღიარებული მონუმენტური ხელოვნებისაკენ, რასაც ჯერ კიდევ გზის დასაწყისში უწინასწარმეტყველებდა ზურაბ წერეთელს მონუმენტალიზმის ცნობილი მეტრი დავით ალფარო სიკეიროსი. მთელი სიზუსტით ახდა ის, რასაც ზურაბ წერეთლის შესახებ აღნიშნავდნენ მსოფლიო მასშტაბის ხელოვანები: პაბლო პიკასო, მარკ შაგალი, სალვადორ დალი...

სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებთან ერთად ზურაბ წერეთლის დიდ საქველმოქმედო საქმიანობაზეც იყო ლაპარაკი, ითქვა, რომ იშვიათია ადამიანი, ვისაც მხატვრის გულის სითბო არ ეგრძნოს. ისიც გარკვევით ჩანდა, რომ სამშობლოდან დროებითი წასვლის მიუხედავად, ზურაბ წერეთელი რჩება სამაგალითო, ღირსეულზე ღირსეულ ქართველად, ვისაც ძალზე შორს გააქვს საქართველოს სახელი. აქვე ვიღაცის დაუკვირებელ ნათქვამთან დაკავშირებით ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მხატვარი სამშობლოდან დროებით წავიდა 1975 წელს და არა მაშინ, როცა სამშობლოს უჭირდა, თუმცა, საქართველოს ყველა ეტაპზე უჭირდა და მხატვარიც მის დასახმარებლად არასოდეს არაფერს ზოგავდა, ახლაც ძალზე ძვირადღირებული მონუმენტის აღსამართავად ერთი თეთრიც კი არ მოუთხოვია.

აქვე მცირე სურვილიც გვინდა გამოვთქვათ: რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გვჯერა, რომ ამ თხოვნას ქართული მასმედიის ყველა წარმომადგენელი წაიკითხავს და შეისმენს. დღეს რუსული პრესა ათასჯერ უფრო ყვითელია და ფინანსურად კონიუნქტურული, ვიდრე ქართული. იქ მრავალი წერილი იბეჭდება დაკვეთით ან ურჩი ქართველებისადმი ზოგიერთების სიძულვილით. ასე ხდება ხანდახან ზურაბ წერეთლის მიმართაც, ამდენად, სულაც არ მიგვაჩნია საჭიროდ და მართებულად, რომ რუსული პრესის სიყვითლეში მოვძებნოთ ხოლმე რაიმე მიკერძოებული წერილი და უეჭველად გადმოვბეჭდოთ ქართული პრესის ფურცლებზე, ამით კი შეცდომაში შევიყვანოთ ქართველი მკითხველი.

დოკუმენტური ფილმით მაყურებელი იგებს, რომ ზურაბ წერეთლის სკულპტურულ-მონუმენტური ქმნილებები მსოფლიოს ოც ქვეყანაშია აღმართული. შემოქმედებითი პროცესების მხარდამხარ საზოგადოებრიობა ეპოქალური ძეგლების დადგმასაც ვიზუალურად ადევნებდა თვალს, იმასაც ნათლად ხედავდა, როგორი პატივისცემით, სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ ზურაბ წერეთელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ესპანეთის მეფე თუ ინფანტა, ხელისუფლების თუ კულტურის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი.

ამგვარ ფონზე ბევრისთვის, რბილად რომ ითქვას, გაუგებარი იყო დიდი მხატვრის სამშობლოში, თბილისში, თავისუფლების მოედანზე მისი ცნობილი თავისუფლების მონუმენტის დადგმისა და ქალაქის თავზე საქართველოს მფარველი წმინდანის აღმართვისადმი ერთი მცირე ნაწილის მიერ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. ზოგიერთი ადამიანი იმასაც ამბობდა, რომ ახსენდებოდათ გასული საუკუნის 20-30-იანი წლების სიტუაცია, როცა პროლეტარიატის ახალგაზრდა შვილები ებრძოდნენ ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ყველა დიდ წინაპარს, რაც სრული კრახით დამთავრდა. შეცდომების განმეორება, სწრაფი ავტორიტეტის მოსაპოვებლად ნამდვილ ავტორიტეტებთან დაპირისპირება კი კარგს არაფერს მოგვიტანს.

ამ მცირე წერილის დასასრულს მრავალი ადამიანის სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ დოკუმენტალისტ მურმან ასიტაშვილს გაწეული მრავალმხრივი შრომისა და მაღალი დონის დოკუმენტური ფილმის შექმნისთვის. ძალიან კარგი იქნება, თუ მას ყველა ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებელი გაეცნობა.

**ნუგზარ წერეთელი,**
**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

***— ვმუშაობ ერთ-ერთ განყოფილებაში, რომელიც შედის გამგეობაში, გთხოვთ, განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა საჯარო მოსამსახურედ და რა შემთხვევაში მეკუთვნის 45-დღიანი შვებულება?***
**მარინა ჯანიშვილი**

— თუ თქვენი სამსახური შედის რაიონის გამგეობაში, მიეკუთვნებით საჯარო მოსამსახურეთა კატეგორიას და უფლება გაქვთ შვებულებითაც ისარგებლოთ საჯარო მოსამსახურეებისათვის დადგენილი პირობებით.

უფრო კონკრეტულად: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო (იგივე სახელმწიფო), მოსამსახურეთათვის დადგენილია ყოველთვიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. იმ საჯარო მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ არანაკლებ 3 წლის სტაჟი, მესამე და სახელმწიფო სამსახურში მუშაობის ყოველ შემდგომ წელზე ეძლევა თითოდღიანი დამატებითი შვებულება, მაგრამ საერთო ჯამში არა უმეტეს 10 დღისა. მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ საჯარო სამსახურში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, ეძლევათ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება, 15 კალენდარული დღის ოდენობით.

**ირინე ღლონტი**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

№ 262. პარასკევი. 11 ნოემბერი. 2005 წელი.

დიდი ომის ნახმევი

# აღსრულება მამაშვილობის ვალისა

**ᲓᲐᲘᲠᲗᲝ, როგორ მებრალებოდნენ ეს ნადვილანი, ეს მომლოდინე ბიჭები — ჩემი თანატოლები, ომში დაკარგულ მამებს მოთმინებით რომ ელოდნენ... თითქოს მეუხერხულებოდა კიდეც მათი — მე ხომ მამა მყავდა იმ ქარცეცხლს ბედად გადარჩენილი და ომიდან სალაღამოთად დაბრუნებული, მე ხომ უფრო ლაღად ვიზრდებოდი, ვიდრე ჩემი შოთიაი, ჩემი რეზოიე, ჩემი ასიკო...**

ჩამივედი თბილისში სასწავლებლად და უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვისაც ყველაზე უფრო დავუახლოვდი, ისიც მამის მომლოდინე გამოდგა, — სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერიდან ჩამოსული თორნიკე კოპალეიშვილი — მაღალი, ლამაზი, როგორც უნივერსიტეტელი გოგონები ამბობდნენ, „ევროპული ტიპი", უცებ რომ შეეგუა თბილისურ გარემოს...

ხაზღაბ ჰყავდა თორნიკეს გადაქცეული მამა, რომელიც არ ენახა, მამა, რომელსაც დედის — სოფლის კაპაბაძის ქალის — სოფლის სკოლის პედაგოგის საუბრებით იცნობდა, ხოლო,



მერე და მერე, როდესაც წამოიზარდა, ფრონტიდან გამოგზავნილი, დედის მიერ სასოებით შენახული სამკუთხა ბარათების ნაჭრულობდა მამას... [illegible]

... როგორ „დაიკარგა" და სად „დაიკარგა" მამა, ამას ოთვულ წლების შემდეგ იგებს თორნიკე, [illegible] ავქსენტი კოპალეიშვილისა:

ცხოვრობდა ახალგაზრდა, ჯანსაღი [illegible] სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, [illegible] ჰყავდა ახალგაზრდა მეუღლე, [illegible] რომელმაც წლისთავზე ვაჟიშვილი აჩუქა და ცხოვრება ხალისით და იმედით აავსო.

ეს იყო დრო, უკვე ჰაერში [illegible] ავქსენტი [illegible] თუმცა, როგორც სოფლის [illegible] ეგრეთ წოდებული „ჯავშანი" არმიაში სამსახურისაგან ათავისუფლებდა. [illegible] რაიონის სამხედრო კომისარიატში მიდის და დაჟინე-

ბით მოითხოვს სამხედრო სამსახურში გაეგზავნათ. არაფერი ჭრის, არც ნათესავების და ახლობლების ხვეწნა, არც [illegible] — თორნიკეს სითბო...

კაცი იყო, ვაჟკაცი, თავმოყვარე... და, თანაც, რა გასაკვირია: იმ დროს ყველა ახალგაზრდას, ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობდა — უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა არმიაში სამსახური.

1941 წლის თებერვალში რიგითი ავქსენტი კოპალეიშვილი ჩაირიცხა ერთ-ერთ საარტილერიო ნაწილში, რომელიც უკრაინის ქალაქ ჩერკასში იყო დისლოცირებული. [illegible]

ტურ გერმანიასთან... [illegible] „უგზო-უკვალოდ დაიკარგა"... [illegible]

[illegible]

ტკიცეს და გმირობას. მაგრამ ძალები აშკარად უთანასწორო იყო... [illegible] რდა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სარდლობის წარმომადგენლებს და უკვე საომარი მოქმედების დაწყებისთვის იგი უფროსი სერჟანტი გახდა, მეთაურობდა ავქსენტი 342-ე ჰაუბიცის პოლკის საარტილერიო ქვემეხს. ეს პოლკი შედიოდა როგაჩოვის წითელდროშოვანი 169-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში, რომელსაც გენერალი ტურუნოვი მეთაურობდა. მისი საბრძოლო გზა გმირული და ტრაგიკული იყო. ორი თვის განმავლობაში მიმდინარე თავდაცვითი ბრძოლების დროს იგი, პრაქტიკულად, განადგურდა.

პერვომაისკ-ვრადიევსკის სარაიონთაშორისო სამხედრო კომისარიატის საარქივო მასალებში ვკითხულობთ: 342-ე ჰაუბიცის პოლკი უკან იხევდა მდინარე სინიუხას მარცხენა ნაპირზე. მებრძოლებს დაევალათ გაემაგრებინათ პერვომაისის დაცვა სამხრეთი მხრიდან. იქვე, ქალაქის დასავლეთ გარეუბანში მოქმედებდა დივიზიის მეთაურის ტურუნოვის სამეთაურო პუნქტი, რომელიც ერთ-ერთი ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს...

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის ცნობაში კი ასეთ ჩანაწერს წაწყდნენ: **342-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკის ქვემეხის მეთაური, უფროსი სერჟანტი ავქსენტი ილარიონის ძე კოპალეიშვილი, დაბადებული 1915 წელს საქართველოს სსრ, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, სკპ(ბ) წევრი, დაიღუპა 1941 წლის 3 აგვისტოს. დაკრძალულია პერვომაისკში...**

უნდა ითქვას, რომ იმავე პოლკში ავქსენტის მხარდამხარ იბრძოდა მრავალი კავკასიელი, მრავალი ქართველი... ისინი იცავდნენ სარკინიგზო ხიდს. ყველა დაიღუპა, ფაშისტებმა სისხლის კალო გალეწეს, გენერალ ტურუნოვის წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 15 ათასი მებრძოლიდან იმ ტრაგიკულ დღეებში ცოცხალი მხოლოდ ...900 (!) კაცი დარჩა. მრავალი მათგანი დაიღუპა სამხრეთ ბუგზე მდებარე ქალაქის დაცვისას, მაგრამ იმ დროის- [illegible]



ბაგამჭრიახი ახალგაზრდა კაცი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, მოსკოვში გადავიდა და თავის „მთავარ საქმეს" მიხედა — მამის კვალის ძიება განაგრძო, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მაღალი ინსტანციები, რომლებსაც თორნიკე მიმართავდა, უბრალოდ, დუმდნენ. არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამხედრო არქივში შეღწევა გამოდგა ადვილი. და, ბოლო ხანს, მაინც იმედი ჩაესახა, როცა საძიებო ცენტრ „პოდვიგს" დაუკავშირდა.

აქ აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, და ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარის, გენერალ სტეპან კაშურკოს ინიციატივით ძებნაში აქტიურად ჩაებნენ პერვომაისკ-ვრადიევსკის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებიც.

და აი, შარშან, დიდი სამამულო ომის 60 წლისთავზე თორნიკე იღებს წერილს უკრაინიდან, იქიდან, სადაც მისი მამა დაიღუპა.

ზაფხულზე, აგვისტოში ჩავიდა პერვომაისკში თორნიკე კოპალეიშვილი თავის მეგობარ თამაზ მგალობლიშვილთან ერთად, ინახულა ძმათა სასაფლაო, სადაც მამამისი — ავქსენტი კოპალეიშვილი თანამებრძოლებთან ერთად განისვენებს, დიდი მადლობა გადაუხადა იქაურებს ყველაფრისთვის... ადგილობრივმა გაზეთმა „ვისტნიკ პერვომაისკამ" თითქმის მთელი გვერდი დაუთმო სამამულო ომის დროს ამ მხარეში დატრიალებულ ტრაგიკულ ისტორიას.

* * *

„ᲕᲘᲜᲐ ვარ მე... რითი ვჯობივარ მამაჩემს?.. არცრითი!.. რასაც თანასოფ- [illegible]

**ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: 26 წლის ავქსენტი კოპალეიშვილი — მომავალი საბჭოთა ჯარისკაცი, „დასაკარგავად" განწირული; შვილის ყვავილები მამის სამძიმო საფლავზე.**

გლობუსი

# ნავთობი ცეცხლისკენ არ უნდა მივუშვათ

## კასპიის ზღვის რეგიონი და აზერბაიჯანის არჩევნები

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

თანახმად დაპირებისა თვალი გადავავლოთ კასპიის ზღვის ამოუწურავი რესურსების მოწინააღმდეგე ამერიკელ ექსპერტთა მოსაზრებასაც. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დღიური გამტარუნარიანობა მილიონ ბარელს შეადგენს. წლის განმავლობაში — 50 მილიონ ტონას, მაგრამ ამ სიმძლავრეებს ნავთობსადენი მხოლოდ 2010 წელს მიაღწევს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის შელფის ძირითად მონაკვეთებზე „აზერზე", „ჩირაგსა" და „გიუნეშლზე" გაიზრდება ნავთობის მოპოვება. სპეციალისტთა აზრით ნავთობის მოპოვების გაზრდითაც კი, ნაკლებად შესაძლებელი იქნება ნავთობსადენის სრული შევსება. ყაზახეთის ნავთობის საბადო „კაშაგანიდან" ნედლეულის მიწოდების გარეშე ნავთობსადენის მარშრუტის ეფექტურობა შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს. „კაშაგანიდან" ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში გადმოქაჩვისათვის საჭიროა ყაზახეთის საზღვაო პორტ აქტაუდან ბაქომდე, კასპიის ზღვის ფსკერზე, ნავთობსადენი მილების ჩალაგება, რაც სამი მილიარდი დოლარი დაჯდება. გარდა ამისა ექსპერტები იმასაც გვახსენებენ, რომ სათანადო ნავთობის ნაკადი იქნება საჭირო უკვე მოქმედი ნავთობსადენის ბაქო-ნოვოროსიისკის და სუფსის შესავსებად.

ექსპერტების აზრით, დღიური მილიონი დოლარი, მსოფლიო მასშტაბით ზღვაში წვეთია. ნავთობზე მოთხოვნილება და ფასები კატასტროფულად იზრდება. წელს საშუალოდ ნავთობის დღიური მოხმარება 84 მილიონ ბარელს გადააჭარბებს. ეს მაჩვენებელი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და 2010 წლისათვის დღიურად მოპოვებული მილიონი ბარელი მსოფლიო ნავთობის მოხმარების მხოლოდ ერთი პროცენტი იქნება. შედარებისათვის — საუდის არაბეთის ყოველდღიური მოპოვება 9,5 მილიონ ბარელს შეადგენს. ეს ქვეყანა 2009 წლისათვის აპირებს 12,5 მილიონი ბარელის მოპოვებას.

ხშირად იბადება კითხვა, გააჩნია თუ არა ნავთობის რეზერვები კასპიის ზღვას ამ ნედლეულის მოპოვების გასაზრდელად? სპეციალისტების ვარაუდით, გააჩნია, მაგრამ დაზუსტებისათვის საჭიროა კვლევითი სამუშაოების გაგრძელება. ამერიკელი ექსპერტები 10 წლის წინათ ვარაუდობდნენ, რომ კასპიის ზღვის ნავთობის მარაგი 200 მილიარდ ბარელს აჭარბებდა. დღეს აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს მიხედვით, რეზერვები 17-დან 33 მილიარდ ბარელს შეადგენს, რაც მსოფლიო ნავთობის რეზერვების 3 პროცენტია.

ამერიკელთა პროგნოზით, კასპიის ზღვის ნავთობის მოპოვების პიკი 2015-2017 წლებში იქნება, რის შემდეგ დაიწყება მოპოვებული ნავთობის რაოდენობის შემცირება. 2014 წლის შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აზერბაიჯანის საკუთრება გახდება. საერთაშორისო კონსორციუმს „ბრიტიშ პეტროლეუმს", რომელიც აწარმოებს „აზერი"-„ჩირაგი"-„გიუნეშლის" საბადოების და ნავთობსადენის ექსპლუატაციას, ნავთობსადენი აღარ დასჭირდება. მომავალი 20 წლის განმავლობაში აზერბაიჯანში ნავთობიდან შემოსული თანხა 200 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს. ნავთობის გატარებით საქართველოს ბიუჯეტიც გაიზრდება. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, საქართველო ნავთობსადენის ექსპლუატაციის პირველ წლებში 20-25 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს, ხოლო სრულიად ამოქმედების შემდეგ (2015-2017 წწ.) — 50 მილიონს.

ნავთობდოლარებით ბიუჯეტის შევსება არცთუ დიდხანს გაგრძელდება. ამიტომ ბაქომ და თბილისმა შემოსული თანხები ყაირათიანად უნდა გამოიყენონ და შექმნან გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამა.

ნავთობსადენი პროექტის რეალიზაციის დროს აშშ უეჭველად გააგრძელებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთისადმი დახმარებას, გაწვრთნის მათ სამხედროებს ნავთობსადენის ტერორისტებისაგან დაცვაში. ამერიკელთა დახმარების დამადასტურებელია აშშ-ს თეთრი სახლის წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადებაც: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" ხელს შეუწყობს აზერბაიჯანისა და საქართველოს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში ინტეგრაციას და დაეხმარება მათ განვითარებას".

რაც შეეხება რუსეთს. იბადება კითხვა, შეძლებს თუ არა რუსეთი დაიცვას კასპიის ზღვაზე თავისი ინტერესები? ექსპერტების აზრით, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კონსტრუქციულად წარმართავს კრემლი თავის ურთიერთობებს უცხოელ პარტნიორებთან და რამდენად თანამიმდევრული იქნება ის, საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაცვაში კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობისას.

აშშ მომავალშიაც გააგრძელებს კასპიის ზღვის რეგიონში საკუთარი პლაცდარმის გაფართოება-განმტკიცებას. ამის დამადასტურებელია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ორი მოძრავი რადიოლოკაციური სადგურის — TRML-„3D განლაგება. მათი მოქმედების რადიუსი 200-300 კილომეტრია. ერთი დაიდგა ასტარაში, აზერბაიჯან-ირანის საზღვარზე, მეორე კი — ხიზის რაიონში, დიდი კავკასიონის სამხრეთის ქედზე. რადიოლოკაციური სადგურების დადგმის შესახებ განაცხადა აზერბაიჯანში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რინო ჰარნიშმა. ამერიკული დანადგარების განთავსებამ ვნებათაღელვა გამოიწვია ირანსა და რუსეთში. ირანმა განაცხადა, რომ თუ ჩრდილოეთიდან ირანს დაემუქრება საფრთხე, ის საპასუხო ზომებს მიიღებს. ექსპერტთა აზრით, რუსეთიც გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ რუსეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს პრობლემები გაუჩნდეთ, რაც ქართველებისთვისაც უცხო არ არის.

**აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა. ისე, როგორც 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ხელისუფლება არ აპირებს პოზიციების დათმობას. დასავლეთს, რომელსაც ორივე არჩევნებთან დაკავშირებით არცთუ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს, უფრო მეტად ესაჭიროება ნავთობი და სტაბილურობა. დასავლელი ექსპერტების აზრით, აზერბაიჯანის ოპოზიცია მიუხედავად სიძლიერისა, ჯერ მზად არ არის რევოლუციის განხორციელებისთვის.**

**ᲯᲐᲛᲚᲔᲢ ᲭᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**პოლიტოლოგი.**

# რუსეთი არ ააგებს კედელს ჩეჩნეთის ირგვლივ

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ხელისუფლება არ აპირებს ააშენოს კედელი ჩეჩნეთის ირგვლივ — პალესტინის ავტონომიისა და ისრაელის საზღვარზე არსებული გამყოფი ბარიერის მსგავსი.**

ეს განაცხადა ისრაელში ვიზიტის დროს რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სამხრეთის ფედერალურ ოლქში დიმიტრი კოზაკმა.

„მე გაოცებული ვარ. ეს არის არნახული სიცრუე, რომელიც ნამდვილად არ ვიცი, ვინ გაავრცელა", — აღნიშნა მან „ენ-ტე-ვე" ტელეარხის ეთერით გამოსვლისას.

ისრაელში ვიზიტის დროს რუსეთის დელეგაცია ეცნობოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეძენილ გამოცდილებას.

ისრაელის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ვიზიტის დროს, კოზაკი, თითქოს დაინტერესდა ბარიერის აღმართვის ტექნოლოგიით და მხარიც კი დაუჭირა ჩეჩნეთის ადმინისტრაციული საზღვრის მთელ რიგ მონაკვეთებზე მსგავსი კედლის მშენებლობის იდეას.

რუსეთში კი ამავე დროს, გამოთქვეს სულ სხვა იდეა, რომელიც ეხება ჩეჩნეთის დაყოფას ეგრეთ წოდებულ „მშვიდობიან" და „ვაჰაბიტურ" ნაწილებად, რომლებიც ერთმანეთისგან მტკიცედ გამაგრებული საზღვრით იქნება გამოყოფილი.

# ისრაელის შრომის პარტიას ამირ პერეცი ჩაუდგება სათავეში

**ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ პოლიტიკოსი შიმონ პერესი მოულოდნელად დამარცხდა ისრაელის შრომის პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში.**

პროფკავშირულმა ლიდერმა ამირ პერეცმა ამომრჩეველთა ხმების 41,5 პროცენტი მოაგროვა და ნახევარ პროცენტზე ოდნავ ნაკლებით გაუსწრო ისრაელის პოლიტიკური სცენის 82 წლის ვეტერანს.

ხმის დამთვლელმა კომისიამ უარყო შიმონ პერესის პრეტენზიები, რომელმაც თავისი მეტოქე თაღლითობაში დაადანაშაულა.

პერეცის გამარჯვებას შეიძლება მოჰყვეს ისრაელში ვადამდელი არჩევნები, რადგან მან განაცხადა, რომ გამოვა სამთავრობო კოალიციიდან.

ლეიბორისტებმა, რომლებიც მთავრობაში იანვარში შევიდნენ, მხარი დაუჭირეს ღაზის სექტორიდან დასახლებების გამოტანის და ჯარების გაყვანის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის გეგმას.

ამ წინადადებებმა შეიტანეს განხეთქილება არიელ შარონის „ლიკუდის" პარტიის რიგებში, და პრემიერ-მინისტრი, ალბათ, ვერ მიაღწევდა თავისი წინადადებების გატანას ისრაელის პარლამენტში — ქნესეთში, კოალიციაში გაერთიანებული პარტნიორების მხარდაჭერა რომ არ მოეპოვებინა.



მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი შიმონ პერესი, რომელსაც ეკავა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი, აპირებდა სამთავრობო კოალიციაში დარჩენას 2006 წლის ნოემბრისთვის დანიშნულ მომავალ არჩევნებამდე.

შრომის პარტიის ხელმძღვანელის პოსტის პრეტენდენტთა შორის მესამე ადგილზე გავიდა ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბინიამინ ბენელიეზერი.

# საფრანგეთის 30 ქალაქში კომენდანტის საათი მოქმედებს

**ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ შეტაკებები ახალგაზრდების ჯგუფებთან მოხდა ტულუზში. გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაციები საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც მსგავსი შეტაკებების შესახებ.**

მაგრამ პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, იკლო ძალადობის დონემ და მასობრივი გამოსვლებიც, რომლებიც უკვე ორ კვირაზე მეტია გრძელდება, ნელნელა ცხრება.

როგორც იტყობინებიან, ვითარება პარიზის გარეუბნებში, სადაც დაიწყო უწესრიგობა, ამჟამად მშვიდია.

ეკრძალებათ ქუჩაში გამოსვლა ღამის 22 საათიდან დილის 6 საათამდე. გარდა ამისა, აკრძალულია ამ ასაკის მოქალაქეებისთვის ბენზინის მიყიდვა.

ოთხშაბათს ღამით, ადგილობრივი დროით 23 საათისთვის, გადაწვეს 40 ავტომობილი — პოლიციელთა განცხადებით, ეს მონაცემები გაცილებით ნაკლებია წინა დღეებთან შედარებით.

როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები მოწმობს, საფრანგეთის მოსახლეობის თითქ-



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ქვეყნიდან უნდა გაასახლონ ყველა ის უცხოელი, რომლებიც გაასამართლეს ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მიმდინარე უწესრიგობებში მონაწილეობის გამო.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად, კომენდანტის საათი შემოიღეს მთელ რიგ ქალაქებში, რომელთა შორის არის რუანი, ჰავრი, ლივი, ნიცა და მარსელი.

16 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს

მის სამი მეოთხედი იწონებს ქვეყნის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს.

თუმცა, ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელთა ასოციაცია მიიჩნევენ, რომ მთავრობის ასეთი ინიციატივა მოუტანს საფრთხეს სამოქალაქო თავისუფლებას.

ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის ულტრა-მემარჯვენე ნაციონალური ფრონტის თავმჯდომარემ ჟან-მარი ლე პენმა განაცხადა, რომ უწესრიგობათა მონაწილეებს უნდა ჩამოართვან საფრანგეთის მოქალაქეობა.

# მოკლედ

**ᲛᲝᲝᲥᲠᲝᲡᲤᲠᲝ რეტვირერს გაუჩნდა მომწვანო ფერის ლეკვი. ძაღლის პატრონია კალიფორნიის შტატში მცხოვრები ერთ-ერთი კინოლოგი. ტელევიზიით გადაცემულ კადრებზე ნათლად ჩანდა, რომ ლეკვს აშკარად აქვს მომწვანო შეფერილობის ბეწვი.**



**ახალშობილი 5 დღისაა და თავს კარგად გრძნობს.**

* * *

**ᲠᲣᲡᲘ დიპლომატი ვლადიმერ კუზნეცოვი, რომელიც შეერთებულ შტატებში დააპატიმრეს, შეიძლება გაათავისუფლონ, თუ საწინდრის სახით გადაიხდის 1,5 მილიონ დოლარს. გაეროში მომუშავე ამ რუსი დიპლომატის მიმართ ამერიკის პროკურატურის მიერ მომზადებული საქმე დაახლოებით 700 გვერდს შეადგენს. კუზნეცოვს ბრალად ედება ეგრეთ წოდებული „ფულის გათეთ-**



**რება". სასამართლოს ახალი სხდომა დანიშნულია 12 დეკემბრისთვის. ამ დრომდე კუზნეცოვს შეუძლია გამოვიდეს საპყრობილიდან, თუ გადაიხდის ზემოაღნიშნულ თანხას.**

* * *

**ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ „ფრინველის გრიპის" ეპიდემიას შეიძლება ემსხვერპლოს 200 კაცი, ქვეყნის ეკონომიკისთვის მიყენებულმა ზარალმა კი, სავარაუ-**



**დოდ, 166,5 მილიარდი დოლარი შეადგინოს. „ფრინველის გრიპის" ეპიდემიის საშუალო დონის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ეს პროგნოზი გამართლდეს, აღინიშნა სენატში გამართულ მოსმენაზე.**

* * *



**ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲡ მცხოვრებლები ნებაყოფლობით „აბარებენ იარაღს". კალიფორნიის ამ ქალაქის მცხოვრებლებმა ხმათა დიდი უმრავლესობით დაუჭირეს მხარი წინადადებას ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის აკრძალვისა და მომავალი წლის 1 აპრილამდე მოსახლეობაში არსებული იარაღის პოლიციაში ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ. სადღეისოდ ასეთი აკრძალვა მოქმედებს შეერთებული შტატების მხოლოდ ორ ქალაქში — ვაშინგტონსა და ჩიკაგოში.**

* * *

**„ᲐᲚ-ᲧᲐᲘᲓᲐᲛ" იკისრა პასუხისმგებლობა იორდანიის დედაქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში მომხდარი აფეთქებების გამო, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 67 და დაიჭრა 150 კაცი. სამი აფეთქება მოხდა ამანის სამ პოპულარულ საერთაშორისო სასტუმროში, რომლებიც ჯებელის სავაჭრო რაიონში მდებარეობენ.**



# ტერაქტი ბაღდადში

**ᲔᲠᲐᲧᲘᲡ დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში კამიკაძის მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად დაიღუპა ათობით ადამიანი. ზოგიერთი მონაცემებით, მსხვერპლთა რიცხვი ოცდაათს აღემატება, გარდა ამისა, კიდევ 20 კაცი დაჭრილია.**

თვითმხილველთა თქმით, აფეთქება მოხდა ერაყის დედაქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რესტორანში, რომლის ხშირი სტუმრები იყვნენ ბაღდადელი პოლიციელები. აფეთქება ადგილობრივი დროით დილის 9 საათსა და 30 წუთისთვის მოხდა.

წინა დღით კი სულ ცოტა ექვსი ადამიანი დაიღუპა და 25 დაიჭრა ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ორი ავტომობილის აფეთქების შედეგად. ქალაქის ამ უბანში ძირითადად, შიიტები სახლობენ.

გარდა ამისა, სულ ცოტა ხუთი ერაყელი პოლიციელი მოკლეს და ცხრა დაჭრეს ბაღდადიდან ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბაქუბაში კამიკაძის მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად.

◎ გენერალისიმუსის გზა

კოჩკენ საქტანოვი

# სტალინის შემდეგ

პირველი ნაწილი



სტალინმა ბოდიში მოუხადა კრუპსკაიას, მაგრამ მას შემდეგ ლენინი გარდაცვალებამდე არასდროს უნახავს.

აი, რატომ არ უყვარდა სტალინს, როდესაც ქალები მამაკაცებთან თანაბარ უფლებებში პოლიტიკურ საკითხებს წყვეტდნენ. მაშინ, რატომ მოითხოვს თავისი გოგონასაგან გახდეს ისეთივე პოლიტიკოსი, როგორიც თვითონ არის? ეს უბრალოდ შემოწმებაა. სწორია, რომ გოგონას პოლიტიკა არ აინტერესებს.

მეორე დილით კრემლის კაბინეტში მის მოსვლასთან ერთად გაჩნდა ეჟოვისაგან გამოგზავნილი ქაღალდები დასამტკიცებლად:

„ამხანაგ სტალინს.

გიგზავნით დასამტკიცებლად ოთხ სიას, რომლებიც სამხედრო კოლეგიის სასამართლოს ექვემდებარება.

1. სია № 1 (საერთო)

2. სია № 2 (ყოფილი სამხედრო სპეციალისტები)

3. სია № 3 (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოფილი თანამშრომლები)

4. სია № 4 (ხალხის მტრების ცოლები)

გთხოვთ, მოგვცეთ სანქცია პირველ კატეგორიამდე.

ეჟოვი.“

„პირველი კატეგორია“ ნიშნავდა დახვრეტას. სია რომ წაიკითხა, სტალინი ჩაფიქრდა. უკვე რამდენი იყო ასეთი სია. ღრმად დააფიქრა იმანაც, რომ მესამე სიაში ისეთი ადამიანის გვარს მოჰკრა თვალი, შარშან რომ ასეთ სიებს უდგენდა — ჰენრიჰ იაგოდა. ახლა სტალინი აღარავის ენდობოდა — მოლოტოვის, კაგანოვიჩის და საკუთარი თავის გარდა. რა ადამიანები იყვნენ ძერჟინსკი, მენჟინსკი! უეცრად, მოულოდნელად დააკლდა ეს ერთგული ადამიანები, რომლებიც მის მარჯვენა ხელს წარმოადგენდნენ. რა ეშმაკი ეტაკა ჰენრიჰ იაგოდას? პარტიის წევრი ცხრაას შვიდი წლიდან. მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ნიჟნი ნოვგოროდსა და პეტროგრადში. მენჟინსკის სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, 1935 წლიდან — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ახლა თვით ამ იაგოდამ დაკითხვებზე მთლიანად აღიარა, რომ შევიდა ანტისაბჭოურ მემარჯვენე ტროცკისტულ ბლოკში, რომ იყო ახლახან დაპატიმრებული ბუხარინისა და რიკოვის პოლიტიკური თანამოძმე, რომელიც არის პოლონეთის ჯაშუში და მონაწილეობდა კიროვის, გორკის, მენჟინსკის, კუიბიშევის მოსპობაში. „საოცარია... კიროვი, მენჟინსკი — ესენი ჩემი პოლიტიკური მტრები არიან. რა გამიკეთა ცუდი, ვთქვათ გორკიმ? ეს ჩემს წინააღმდეგ ტროცკისტების მიერ წინდაწინ დაწერილი სცენარია. მათ დაგეგმეს სხვისი ხელებით საიდუმლოდ დაეხოცათ გამოჩენილი ადამიანები, ხოლო მთელი მკვლელობანი სტალინისთვის დაებრალებინათ. მათ ჩაიფიქრეს ჩემი წაჩხუბება საუკეთესო მეგობრებთან და შემდეგ პირფერ შემრიგებლებად გამოსულიყვნენ. არ გინდა ამის მოფიქრება? და ვის უპირებენ ასეთი რამის გაკეთებას — სტალინს!.. ყველა კარგი ადამიანის განადგურება, ყველაფრის ჩემზე დაბრალება, შემდეგ კი თვით ჩემი თავიდან მოშორება“. როდესაც სიუჟეტმა იწყო ამ სცენარით განვითარება, დახვრიტეს კამენევი და ზინოვიევი, დაიჭირეს ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი. ახლა — იაგოდა... სხვათა შორის, ტროცკიმ საზღვარგარეთ გამოცემულ წიგნში დაწერა, რომ თითქოს სტალინის გარემოცვაში გაიზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი, დადგა დრო, წამოვაყენოთ ლოზუნგი: „ძირს სტალინი!“ ეს სიტყვები თავზე ურროსავით ეცემა მის მაჩანჩალებს — ბუხარინს, რიკოვს, ტომსკის და ქედმაღალ იაგოდასაც კი. საჭიროა დაუყოვნებლივ ფესვებიანად ამოიგლიჯოს ყველა ყოფილი მენშევიკისა და ოპოზიციონერის ძირი, სანამ ამ ლოზუნგს წამოაყენებდნენ. ამბობენ, სტალინი მეტისმეტად ეჭვიანი და ფრთხილია. როგორ არ უნდა იყო ეჭვიანი, როდესაც მტრები ყოველი მხრიდან გერტყმიან.

სწორედ ამიტომ თავის მოხსენებაში 1937 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინმა აშკარად განაცხადა: „ტროცკისტები მთელი მასით შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ამიტომ უკვე დროა ხალხის მტრების მიმართ მასობრივი რეპრესიები გამოვიყენოთ. და ახლა ეს მასობრივი რეპრესიები გაჩაღებულია.

ხალხის ამ მტრებმა, რომლებიც ეშმაკი მელიის — ტროცკის კალთას ჩასჭიდებიან, ჩაიფიქრეს მოსპონ სტალინი და ააშენონ სოციალიზმი არა რუსებისათვის, არამედ ჟიდებისათვის! ჰე...

* * *

ბუხარინის დაპატიმრებამ დიდი გაოცება გამოიწვია არა მარტო საბჭოეთში, არამედ საზღვარგარეთაც. როგორ, რანაირად აღმოჩნდა ტროცკისტად და ხალხის მტრად პარტიის საყვარელი ადამიანი, ბრწყინვალე თეორეტიკოსი, ლენინიზმის უსაზღვროდ ერთგული ბუხარინი? ბუხარინს თავდაპირველად ტროცკი არ უყვარდა. ტროცკისტებიც ადეკვატურად მიაგებდნენ პატივს. ვინ არ იცის ტროცკის ცნობილი სიტყვები: „მზად ვარ გავერთიანდე სტალინთან ერთად ბუხარინის წინააღმდეგ, მაგრამ სტალინის საპირისპიროდ არასოდეს ვიქნები ბუხარინთან ერთად“. ნიკოლოზ ივანოვიჩი ბუხარინი არა მარტო პასპორტის მიხედვით, არამედ ნამდვილად იყო ძირძველი რუსი, ჭკვიანი, ენაწყლიანი ორატორი, მეცნიერი. სტალინს იგი ეგონა ებრაელი, რუსულ გვარს ამოფარებული. „მხოლოდ ზოგიერთი, ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის მსგავსნი, აშკარად ამბობს, ებრაელი ვარო, ხოლო უმრავლესობა, ბუხარინის მეთაურობით, მალავს ამას და რუსულ გვარებს არიან ამოფარებულნი“, — ფიქრობდა იგი. ყოველ ჭკვიან, განათლებულ ადამიანში, თითოეულ ორატორში ებრაელს ეჭვიანობდა. სწორედ იმის გამო, რომ იგი იყო ჭკვიანიც, განათლებულიც, ორატორიც, და ისიც, რომ სტალინს პირდაპირ ახლიდა ნაკლოვანებებს, სწორედ ამიტომაც მოიპოვა ტროცკისტისა და ხალხის მტრის სახელი.

სხვათა შორის, ბუხარინმა ორჯერ წაიბორძიკა. მეორეჯერ ისეთნაირად, რომ წელში ველარ გაიმართა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. პირველად ასე იყო: 1929 წელს, მას შემდეგ, რაც სტალინმა გაანადგურა „მემარჯვენე ოპოზიცია“. ბუხარინი საკ კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელი თანამდებობიდან გადააყენეს. თვით ბუხარინის თქმით, სადაც უნდა მემუშავა, სადაც უნდა ვყოფილიყავი, სტალინი თავის ფხიზელ თვალს არ მაცილებდაო. ეს ამცირებდა და შეურაცხყოფას აყენებდა ბუხარინს. ამ დროს იგი გაზეთ „იზვესტიის“ რედაქტორი იყო. სტალინი ბუხარინის წინააღმდეგ დღენიადაგ აქეზებდა მეხლისს — გაზეთ „პრავდის“ რედაქტორსა და საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგეს. თითქოს ესეც არ კმაროდა. ერთხელ სტალინმა ბუხარინს დაურეკა:

— კოლია, წაიკითხე პოკროვსკის სტატია? თუ წაიკითხე, მაშინ თვითონვე გაიგე კიდეც. ქებით ცაში ალვაზევეთ იგი, როგორც ჩვენი საუკეთესო ისტორიკოსი, მან კი თავისი სულელური სტატიით თავი მოგვჭრა. ისტორია, ჩემი ნიკოლაი, მხატვრული ლიტერატურა როდია, სადაც დასაშვებია ამბების განზოგადება და შელამაზება. საძ იღებს ფაქტებს — არქივებიდან თუ ქუჩებში, დედაკაცთა ჭორებიდან? მისი ქება სრულებითაც არ მჭირდება. რა დასანანია, რომ პიროვნების კულტი იწყება არა ხალხთა მასებში, არამედ მას ქმნიან ასეთი ცნობილი ადამიანები... „სტალინის დედა შვილს ბავშვობაში ალერსით სოსოს ეძახდა“. აი სადამდე მივიდა იგი. რას წერს! გთხოვთ პირადად შენ ან რადიკს გამოაქვეყნოთ მასალები ამ სტატიის წინააღმდეგ.

ბუხარინმა გულში მაგრად შეიკურთხა. „განა მის ხელში იარაღი ვარ, რომლითაც სპობს იმას, ვისაც კი მოისურვებს. ოჰ, მგელი ხარ, მგელი, კობა: გინდა მტრის ხელით გაგუდო შენივე მტერი“.

ბევრი ადამიანი უნახავს ბუხარინს თავის სიცოცხლეში, მაგრამ ასეთ მრავალგვარ, თავისი ბუნებით რთულ ადამიანს პირველად შეხვდა. ერთხელ, სულ ახლახან, ოცდათხუთმეტ წელს, სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ბანკეტზე სტალინმა მოულოდნელად სადღეგრძელო ბუხარინს მიუძღვნა:

— ამხანაგებო, მოდით ნიკოლოზის სადღეგრძელო დავლიოთ. მას ყველანი კარგად ვიცნობთ და ვაფასებთ. ვისაც ძველი ახსოვს, იგი ჩვენი ამხანაგი არ არის... მაგრამ ნიკოლოზ ივანოვიჩი მათ არ განეკუთვნება!

გაისმა მქუხარე ტაში. ბუხარინი გაოგნებული იყო. რა მოხდა, რანაირად მოუნდა ჩემი ქება ამ ადამიანს? ხომ არ გროვდებიან ჩემს თავზე ავისმომასწავებელი ღრუბლები?..

აღსრულდა მისი ავბედითი წინათგრძნობა, თანაც სულ მალე. 1936 წლის აგვისტოდან განსაკუთრებით ზინოვიევის პროცესის დაწყებიდან, ბუხარინის სახელი სულ უფრო ხშირად გაისმოდა სასამართლოში. საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის შემდეგ მოგონილი — საიდუმლო ანტისაბჭოური ორგანიზაციის შექმნის ბრალდებით — ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი პარტიიდან გაირიცხნენ და მათი საქმეები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეცა.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 257-261.**

◎ რეზონანსი

# „რევოლუციური გარდაქმნიდან“ — „გარდაქმნილ რევოლუციამდე“

## ქართველ მკითხველთა გამოხმაურება და ექსპერტის კომენტარი რუსულ პრესაში წამოჭრილ კითხვაზე: რომელი სჯობს — კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი?

**(მესამე გვერდიდან)**

*ბოლო ოც წელიწადში შეიცვალა არა მარტო ფასები და შემოსავლები, არამედ მოხმარების მოცულობაც და ფორმაც. მაგალითად, 1985-2004 წლებში ქარხნული წესით გამომცხვარი ხორბლის პურის მოხმარება საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ორჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო ფქვილისა (ხორბლისა და სხვა სახის) პირიქით, თითქმის 1,2-ჯერ გაიზარდა. ქარხნულ პურს მასობრივად ჩაენაცვლა (განსაკუთრებით სოფლად) სახლში გამომცხვარი პური, აგრეთვე სიმინდის (მჭადის), პარკოსნებისა და მაკარონის მოხმარება (ამ უკანასკნელის მოხმარებაც 1,5-ჯერ გაიზარდა, თანაც დაუფასოებელი სახით აღნიშნული პროდუქტის საცალო ფასის რაოდენობრივი პარამეტრების მანეთებსა და ლარებში თითქმის უცვლელობის პირობებში). შემოსავლების შემცირებას მოსახლეობამ „უპასუხა“ არა მარტო მოხმარების რამდენადმე შემცირებით, არამედ კვების პროდუქტების მოხმარებისთვის მზადყოფნის დონის, სამომხმარებლო კონდიციამდე მიყვანის ძალისხმევის საკუთარ თავზე აღებით, რითაც, ფაქტობრივად, გაზრდილი ფასების საოჯახო ბიუჯეტზე დარტყმის მნიშვნელოვანი ამორტიზება მოახდინა.*

*ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაოდენობრივ განზომილებაში, 1985 წელთან შედარებით, სასურსათო კალათის მთელ რიგ ელემენტებზე ფასები ჯერადად არ გაზრდილა (შაქარი, კარტოფილი, ბრინჯი, ყველი, ბოსტნეული...), ხოლო ზოგიერთზე უმნიშვნელოდ გაიზარდა, ან საერთოდ, შემცირდა კიდეც (ხილი, საზამთრო...).*

*გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხრა მეათედზე მეტი ცხოვრობს ოჯახში. თანაც, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესის ინდივიდუალიზაციის გაძლიერების მიუხედავად, თავად მოხმარება უმეტესწილად ხორციელდება ოჯახური ფორმით (უძრავი ქონების ელემენტები, ხანგრძლივი* ***მოხმარების საყოფაცხოვრებო საგნები...). ამიტომ, დინამიკაში მოხმარების (და კეთილდღეობის) დონეთა შედარებისთვის უფრო კორექტული იქნებოდა არა საშუალო ხელფასის, არამედ მთელი ოჯახის (შინამეურნეობის) საერთო შემოსავლების, მსყიდველობითი უნარიანობის შედარება.***

*1985 წელს ოჯახის შემოსავლების სამი მეოთხედი ხელფასებით ყალიბდებოდა. დღეს კი ხელფასი არა თუ აღარ არის ერთადერთი, თუნდაც ძირითადი შემოსავლის წყარო. მის წილად მოდის შინამეურნეობათა მთლიანი შემოსავლების ორ მეხუთედზე ნაკლები. ქალაქადგილებშიც კი ყოველ მესამე შინამეურნეობაში ოჯახის არც ერთი შრომისუნარიანი წევრი არ იღებს ხელფასის ტიპის შემოსავალს. სამაგიეროდ, შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ შემოსავლებს სამეწარმეო საქმიანობიდან, საკუთრების უფლების რეალიზაციიდან, ტრანსფერტებს, რომელთა წილი ამ ოცი წლის წინათ პრაქტიკულად უმნიშვნელო იყო.*

### რა მდგომარეობაა საქართველოში?

| | 1985 | 2004 | [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 5,0 მილიონი | 4,3 მილიონი | 26,0 |
| [illegible] | 5,2 მლნ. კაცი | 4,6 მლნ. კაცი | -12,7 |
| [illegible] | 168 მანეთი | 157 ლარი | -6,5 |
| [illegible] | 67 მანეთი | 28 ლარი | -59,4 |
| [illegible] | 124,7 მანეთი | 62 ლარი | -50,4 |
| 1 კგ [illegible] | 35 კაპიკი | 97 თეთრი | 2,77-ჯერ მეტი |
| 1 კგ [illegible] | 2 მანეთი და 60 კაპ. | 5 ლარი და 80 თ. | 2,23-ჯერ მეტი |
| 1 [illegible] | 1 მანეთი და 20 კაპ. | 1 ლარი და 45 თ. | 20,8 |
| 1 [illegible] | 4 კაპიკი | 10,15 თეთრი | 2,55-ჯერ |
| 1 [illegible] | 40 კაპიკი | 1 ლარი და 15 თ. | |
| [illegible] | 605 ათასი ტონა | 665 ათასი ტონა | 1,0 |
| [illegible] | 912 ათასი ტონა | 180 ათასი ტონა | 5,1-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 680 ათასი ტონა | 23 ათასი ტონა | 29,7-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 155 ათასი ტონა | 38 ათასი ტონა | 4,1-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | | | |
| [illegible] | 1646 ათასი | 1281 ათასი | -24 |
| [illegible] | 552 ათასი ტონა | 98 ათასი ტონა | 5,7-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 14,4 მლრდ. კვტ. სთ | 6,9 მლრდ. კვტ. სთ | 2,1-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 2743 ათასი ტონა | 249 ათასი ტონა | 10,5-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 1577 ათასი ტონა | 426 ათასი ტონა | 3,7-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 16,8 მლნ. დეკალიტრი | 2,7 მლნ. დეკალიტრი | 6,2-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 376 მლნ. 0,5 ლ | 49 მლნ. 0,5 ლ | 8,2-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 1727 ათ. კვ. მეტრი | 129 ათ. კვ. მეტრი | 13,4-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 71 წელი | 72 წელი | 1,0 |
| [illegible] 1000 კაცზე | | | |
| [illegible] | 18,5 | 10,7* | -42 |
| [illegible] | 8,4 | 2,9* | 2,9-ჯერ ნაკლები |
| [illegible] | 1,2 | 0,4* | 3-ჯერ ნაკლები |

შემდეგ. იცვლება მოხმარების სტრუქტურა, სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა (მაგალითად, დღეისთვის საშუალო ოჯახისთვისაც კი ჩვეულებრივი ატრიბუტი გახდა მობილური ტელეფონი, რომელსაც ამ ოცი წლის წინათ საერთოდ არ იცნობდა სამომხმარებლო ბაზარი; შეუდარებლად ხელმისაწვდომი გახდა და გაცილებით გაიაფდა ვიდეოტექნიკა, პერსონალური კომპიუტერები...).

არსებითი ცვლილება განიცადა სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, მოხმარების რეჟიმის, ფასების სისტემისადმი დამოკიდებულებამ. 1980-იან წლებში, მაშინდელი სოციალისტური დოქტრინის შესაბამისად, დოტაცია ეწეოდა პირველადი მოხმარების საგნებს (ძირითადად, კვების პროდუქტებს); ამჟამად ფასებს ძირითადად მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს (ზოგიერთი ტიპის მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების გარდა).

მოკლედ, ცალკეულ სამომხმარებლო საქონელზე ფასების შედარება, ან საშუალო ხელფასით (ოჯახის საერთო შემოსავლებით) ამა თუ იმ საქონლის შეძენის პოტენცია კეთილდღეობის შედარების შესაძლებლობას კი იძლევა, მაგრამ, „ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად“, ჩემი აზრით, მაინც არ ჩაითვლება. — ამას უნდა დაემატოს კიდევ ორნაირი შედარება: **ამჟამინდელი სამომხმარებლო კალათი, შეფასებული მაშინდელი და ამჟამინდელი ფასებით და ამ სამომხმარებლო კალათების შესაძენად საჭირო საშუალო თვიური ხელფასის (ფულადი შემოსავლების) ოდენობა შესაბამისი წლების მიხედვით.**

ჩვენი გაანგარიშებით, სურსათის მხოლოდ 10 ძირითადი კომპონენტის (პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, თევზეული, კარაქი, ყველი, კარტოფილი, ხილი, ბრინჯი, შაქარი) მინიმალური ნორმების მიხედვით ფორმირებული სამომხმარებლო კალათის შესაძენად 1985 წელს საჭირო იყო საშუალო თვიური ხელფასის დაახლოებით მეოთხედი, 2005 წელს კი უკვე ხელფასის ორი მეხუთედი, ანუ თითქმის 1,6-ჯერ მეტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოხსენებული კვების პროდუქტების მინიმალური სამომხმარებლო რაციონით შედგენილი კალათის ღირებულების მიმართ დაქირავებით დასაქმებულთა ამჟამინდელი საშუალო თვიური ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა დაახლოებით 35-40 პროცენტით ნაკლებია ოცი წლის წინანდელთან შედარებით.

*გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა სამჯერ შემცირდა, ხოლო ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ხელფასის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის დაკნინების დაძლევას მხოლოდ ახლახან შევუდექით.*

და ბოლოს. არ შემიძლია არ შევეხო კიდევ ერთ საყურადღებო მომენტს. აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით მხოლოდ სასურსათო საქონელზე, თუმცა ზოგიერთ არასასურსათო საქონელზე ფასები დღეს ნომინალში საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე 1985 წელს. მაგალითად, ოცი წლის წინათ პრესტიჟული საბჭოთა ფერადი ტელევიზორი 690 მანეთი ღირდა. დღეს 690 ლარად (დაახლოებით 385 აშშ დოლარი) გაცილებით უკეთესი სამომხმარებლო პარამეტრებით „დახუნძლული“, საიმედო და ხარისხიანი ტელევიზორის შეძენაა შესაძლებელი. მთლიანობაში, ამჟამინდელი საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა ოცი წლის წინანდელთან შედარებით არასასურსათო საქონლის მიხედვით გაცილებით მაღალია, ვიდრე სასურსათო საქონლის მიხედვით. იგივე მდგომარეობაა ზოგიერთი სახის მომსახურების მიხედვით, განსაკუთრებით კომუნიკაციების სფეროში.

მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით საერთაშორისო სატელეფონო საუბრების ტარიფი დაახლოებით ათჯერ შემცირდა. ყოველდღიური საქმიანი (და არა მარტო) კულტურის ელემენტი ხდება ინტერნეტი... მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სამომხმარებლო ბაზარზე მიმდინარე პოზიტიური ძვრებისადმი მნიშვნელოვანწილად სწორედ იმის გამოა „ინდიფერენტული“, რომ მისი შემოსავლების დაახლოებით სამი მეხუთედი მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სჭირდება, სხვა რამის შესაძენად და „შესამჩნევად“ კი მას ფინანსური და ემოციური რესურსი აღარ ყოფნის.

სწორედ აქედან წარმოიშვება **ვერდაძლეული სინდრომი — წარსულის ნოსტალგია.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სანამ ქვეყანაში დიდია ღარიბთა რაოდენობა, ყოველთვის იარსებებს გარკვეული ნოსტალგია ძველ ფასებზე და, შესაბამისად, — პროექცია ისტორიის კუთვნილებად ქცეული ქვეყნისა და სათანადო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მიმართ.** მდგრადი განვითარების, მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის არსებითი ამაღლებისთვის კი **აუცილებელია დემოკრატიის შეუქცევადობის უზრუნველყოფა და დასაქმების პრობლემის არსებითი გადაჭრა.**

**იოსებ არჩვაძე**

◎ ექო

## მადლობა ესტონეთიდან

ძვირფასო რედაქცია, ყურადღებით ვადევნებ თვალს, ინტერნეტის საშუალებით, თქვენს გაზეთს. გმადლობთ ყველაფრისთვის, კვლავაც წარმატებებს გისურვებთ, უფლის წყალობა არასოდეს მოგაკლებოდეთ.

სწორედ თქვენმა გაზეთმა მომილოცა 1999 წლის შემოდგომაზე პატარა შვილიშვილის — ანა ბარათაშვილის შეძენა, რომელიც იმავე წლის 20 ოქტომბერს თბილისში მოევლინა ქვეყანას, ხოლო წელს, 8 აგვისტოს ანას პატარა ძამიკო — ნიკოლოზ ბარათაშვილი შეეძინა. პატარა ნიკოლოზი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დაიბადა და უდიდესი სიხარული მოგვანიჭა. ახლა უკვე ხუთი შვილიშვილი მყავს.

ღმერთმა ამრავლოს ქართველები... რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყვნენ გაფანტულები დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების გამო.

**პატივისცემით იზო ცარციძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა**
**შემოქმედებითი კავშირის წევრი.**
**ქ. ტალინი, ესტონეთი.**

**განცხადება**

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმიჯის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42.**

**ლიკვიდატორი როლანდ მაღრაძე**

**განცხადება**

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტუდია აუდიენციის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42.**

**ლიკვიდატორი ოთარ ლორთქიფანიძე**

**მ/წ. 30 ნოემბერს 11 საათზე ჩატარდება სს „ავტოტრანსსისტემის“ აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი: ფართის ნაწილის გასხვისება.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ა.**

**სამეთვალყურეო საბჭო.**

**განცხადება**

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არტ იმედის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42.**

**ლიკვიდატორი გიორგი ქავჟარაძე**

**განცხადება**

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მთავარი გაზეთის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42.**

**ლიკვიდატორი როლანდ მაღრაძე**

**განცხადება**

**მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერპრესის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42.**

**ლიკვიდატორი გიორგი ქავჟარაძე**

◎ წვეროსან კლასიკოსთა ცისფერი ოცნება

# რატომ იბოღმებოდა მარქსი რუსეთზე?

**გამიგონია, რომ მარქსსა და ენგელსს აქვთ რაღაც ბოროტი ნაშრომი რუსეთზე, რომელი ნაშრომიც საბჭოთა ხელისუფლების დროს არ გამოცემულა. მაინც რა წერია იმ ნაშრომში?**

**მკითხველის წერილიდან**



წვეროსან „კლასიკოსებს“ სავსებით გასაგები მიზეზების გამო რუსეთის იმპერია არ უყვარდათ და მას „ევროპის ჟანდარმს“ უწოდებდნენ. ამიტომაც „ბოღმიანი“ ნაშრომები რუსეთის შესახებ ბლომად აქვთ. ზოგიერთ მათგანს რომ კითხულობ, გაოცებას ვერ მალავ, რისთვის უყვარდათ ასე მარქსი და ენგელსი კომუნისტურ ხელისუფალთ. მაგალითად, ყირიმის ომის დროს მარქსი საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს კრონშტადტის განადგურებას ურჩევდა. მისი ცისფერი ოცნება იყო ასეთ პოზიციაში ეხილა რუსეთი.

„რა მოუვა რუსეთს დედაქალაქის (პეტერბურგის) კარს მიმდგარი მოწინააღმდეგის არმიით, ბლოკირებული მოკავშირეებით? ეს იქნება გიგანტი ხელებისა და თვალების გარეშე“.

უფროს ამხანაგს არც ფრიდრიხ ენგელსი ჩამორჩებოდა. ნაშრომში „რუსული არმია“ იგი წერდა: „რუსი ჯარისკაცები მთელ მსოფლიოში ყველაზე მოუქნელები არიან. ისინი არც მსუბუქი ქვეითი ჯარისთვის ვარგანან, და არც მსუბუქი კავალერიისთვის. რაც შეეხება კაზაკებს, როგორიც არ უნდა იყოს მათი დადებითი თვისებები, ლოთობა და მძარცველობა მათ მეთაურებისთვის მეტად არასაიმედოებს ხდის... რუსი ჯარისკაცი... ერთნაირი მორჩილებით წავა, თუ მას წყლის ქაჩვას ან ამხანაგის გაროზგვას უბრძანებენ... ერთადერთი, რაც მას სჭირდება, ბრძანებაა, მკაფიო, გასაგები ბრძანება — და თუ ის ამ ბრძანებას არ ღებულობს, შეიძლება არ უკუიქცეს, მაგრამ არც წინ წავა, საკუთარი ჭკუით ვერ იმოქმედებს“.

„კლასიკოსებს“ არც სხვა სლავი ხალხები მოსწონდათ. ჩეხებს, ბულგარელებსა და ხორვატებს ისინი ბარბაროსებს ეძახდნენ, ჩერნოგორიელებს — ქურდებს, ხოლო ყველა ერთად აღებულ სლავს — „ეროვნებებს, რომელთაგან ძნელად თუ ითქმის, რომელი მათგანია ყველაზე მეტად მოკლებული პროგრესისა და ცივილიზაციის უნარს“.

მარქსის დაუფარავმა რუსოფობიამ თვითმპყრობელობასთან ისეთი შეუპოვარი მებრძოლიც კი აღაშფოთა, როგორიც მიხეილ ბაკუნინი იყო. ანარქიზმის მამამ დუელში გამოიწვია მარქსი, მაგრამ ამ უკანასკნელს შეეშინდა და დუელში არ გასულა. დასანანი კია. ბაკუნინს ის რომ მოეკლა, შეიძლებოდა ბევრი რამ ისტორიაში, მათ შორის რუსეთის ისტორიაში, სულ სხვაგვარად წარმართულიყო.

**სერგეი ოსიპოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ საბრძოლო ხელოვნება

# „ფრთხილად, ჯვაროსნები მოდიან!“

## კონტაქტური კარატეს ბანაკები — სახელმწიფო სტრატეგია

**ამ ზაფხულს ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა და სათანადო დონეზე განხორციელდა პროექტი „პატრიოტი“, რომელმაც მართლაცდა თვითმყოფადი პატრიოტული მუხტი შესძინა მასში მონაწილე ახალგაზრდობას. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კარგი იქნება, შეიქმნას ისეთი პატრიოტული ბანაკებიც, რომლებშიც თავმოყრილნი იქნებიან ქართული კონტაქტური კარატეს წარმომადგენლები და, რომლებშიც, შესაბამისი ხელშეწყობის ფონზე, შესაძლებელი გახდება იმ დიდი, მძლავრი პოტენციალის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება, რომელიც ამ ბრწყინვალე საბრძოლო ხელოვნების ქართველ მიმდევრებს აქვთ.**

**თუ გავითვალისწინებთ ქართული კონტაქტური კარატეს უზარმაზარ საერთაშორისო ავტორიტეტს, სულ ადვილი იქნება, ამის მეშვეობით ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ბანაკებიც.**

**სწორედ ამის შესახებ გვესაუბრებიან ქართული კონტაქტური კარატეს მოწინავე ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ავთანდილ შენგელია, ანზორ ჩუბინიძე, პაატა ჭელიძე და კახაბერ მარკოზაშვილი.**

**— რა კონკრეტული სარგებელი შეუძლია მოუტანოს სახელმწიფოს კონტაქტური კარატეს ბანაკებმა?**

**კახაბერ მარკოზაშვილი:** ამაზე ერთი კონკრეტული მაგალითით გიპასუხებთ, რაც ერთ გაზეთში ვთქვი კიდეც. საბრძოლო ხელოვნებათა იდეალების აღორძინების დადებითი ეფექტის საუკეთესო ნიმუშია მსოფლიოს ისეთი მოწინავე ქვეყანა, როგორიცაა იაპონია.

პოლიტიკოსები ხშირად ახსენებენ იაპონურ ეკონომიკურ სასწაულს: მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა, ატომური შეტევებით განადგურებულმა ქვეყანამ დღევანდლამდე არნახული წინსვლა განიცადა სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში და ამ ფენომენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თვით იაპონელთა საყოველთაო აღიარებით, შემდეგია:

როგორც ცნობილია, იმ მოვლენათა გამო, იაპონიაში ჩამკვდარი გახლდათ ეკონომიკა, უმძიმესი იყო კრიმინოგენური ვითარება და, რაც ყველაზე მთავარია, ერი, მთლიანობაში, მორალურად იყო განადგურებული.

ასეთ უმძიმეს პირობებში შეიკრიბნენ კონტაქტური კარატეს გამოჩენილი ოსტატები და მიზნად დაისახეს ერთი ორიენტირით მუშაობა, კონკრეტულად — კონტაქტურ ორთაბრძოლათა აგიტაცია-პროპაგანდა, რათა, ამის მეშვეობით, ხალხში დაებრუნებინათ სახელოვანი სამურაების საბრძოლო სული, რომელიც დაეხმარებოდა ხალხს წარმატებები მოეპოვებინა ცხოვრებისეული მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. ამ მუშაობით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, საზოგადოება ნელ-ნელა უფრო მოწესრიგებული გახდა, დაუბრუნდა პასუხისმგებლური დამოკიდებულება ცხოვრების ყველა საკითხისადმი და, რაც ყველაზე მთავარია, წინა პლანზე წამოიწია მებრძოლის ფენომენის უმთავრესმა მახასიათებელმა — **ღირსებამ,** რომელიც, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შესასრულებელი დავალების ხარისხიანად შესრულების გაიგივებას საკუთარ ღირსებასთან...



რუსეთში კონტაქტურ კარატეს პირადად პუტინი მფარველობს

**— ... და მაინც, რას გვეტყვით კონტაქტური კარატეს ბანაკების შექმნის იდეასთან დაკავშირებით?**

**პაატა ჭელიძე:** ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ ამ იდეას, კარგა ხანია, ხორცი აქვს შესხმული მსოფლიოს ისეთ წამყვან ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, ჰოლანდია... კონტაქტური კარატეს მიმართულებით, საერთაშორისო ასპარეზზე სპორტული შედეგების მიხედვით ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანაც კი, როგორიც თურქეთია, ყოველწლიურად, ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარს ხარჯავს, რათა ადგილზე რაც შეიძლება ხშირად მოეწყოს საერთაშორისო მნიშვნელობის ჩემპიონატები, ტურნირები, შეკრებები და ა.შ, რომელთა მიმდინარეობის დროსაც, საცხოვრებელ და მთლიან საორგანიზაციო ხარჯებს თავად კისრულობს.

ამას მარტივი ახსნა აქვს: მათ კარგად დაინახეს კარატეს განსაკუთრებული როლი სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროში და, იმავდროულად, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისი მძლავრი ელექტორატის ავტომატური, სათანადო კეთილგანწყობის მოპოვებასაც ახერხებენ.

თუ სახელმწიფოდან ქმედითი თანადგომა გვექნება და დავიწყებთ აღნიშნულს, დავუშვათ, კონტაქტური კარატეს საერთაშორისო ბანაკების შექმნით საქართველოში, სათანადო მიზანმიმართული ერთობლივი მუშაობის შედეგად თუ რა დადებით ეფექტს მოვუტანთ ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა მიმართულებებით, ამის დანახვა, რომ იტყვიან, შეუიარაღებული თვალითაც კარგად იქნება შესაძლებელი!

**— როგორც ცნობილია, ჩვენი პრეზიდენტიც, ასე ვთქვათ, კარატეს ოჯახის ღირსეული წევრია...**

**ანზორ ჩუბინიძე:** ორი წლის წინათ მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ კარატესა და, საერთოდ, მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა სამყაროში დიდი რეზონანსი ჰპოვა, როგორც სტრატეგიულ-ტაქტიკური თვალსაზრისით, თითქმის უნაკლოდ ჩატარებულმა ბრძოლამ, რომლის ძირითად ღირსებად უპირობოდ ჩაითვალა მოწინაალმდეგის უბრძოლველად დამარცხება. ამ გამარჯვების უპირველეს შემოქმედს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, განსაკუთრებული პირადი მებრძოლური თვისებების და ხალხის მასების (როგორც თავისებური ჯარის) მართვის შესანიშნავი უნარის (მხედართმთავრის თვისება!) გამოვლენის გამო მსოფლიო კარატეს ორგანიზაციამ საბრძოლო ხელოვნებაში ოსტატობის აღმნიშვნელი შავი ქამარი მიანიჭა!

**— რამდენადაც ცნობილია, ამ გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებულად გაესვა ხაზი ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში ბატონი მიხეილის უშიშარ დამოკიდებულებას მოსალოდნელი რეალური საფრთხის მიმართ...**

**ავთანდილ შენგელია:** კარატეს დიდი მებრძოლები გვასწავლიან: „აზრი აქვს გეშინოდეს იმის, რაც გარდაუვალია — პიროვნული ღირსება, სიამაყე, პატივისცემა საკუთარი თავისა და გარშემომყოფებისა. ეს ისეთი რამ არის, ურომლისოდაც ცხოვრება თავმოყვარე მებრძოლისთვის წარმოუდგენელია! შესაბამისად, მზად უნდა იყო სიკვდილთან შესახვედრად იმის მიუხედავად, თუ რამდენ ხანს მოასწარი ამ ქვეყნად ცხოვრება და რა საქმეები დაგრჩა კიდევ გასაკეთებელი!“ მარტო ეს მიზეზიც იყო საკმარისი ჩვენი პრეზიდენტისთვის საბრძოლო ხელოვნების ოსტატის სერტიფიკატის მისანიჭებლად. თუმცა სახალხო მოძრაობის ლიდერი ავლენდა მებრძოლური თვალსაზრისით აღნიშნულზე უფრო მეტი დონის გამოხატულებას — **თავგანწირვას,** რაც არის კიდეც უმთავრესი მახასიათებელი ნებისმიერი თავმოყვარე კარატისტისთვის: „მებრძოლის გზა გულისხმობს უყოყმანო თავგანწირვას. როდესაც ცხოვრება გაყენებს არჩევანის წინაშე, მეყსეულად ირჩევ სიკვდილს. ეს ნიშნავს — გული გაუხსნა ბედისწერას და გადაარჩინო გარშემომყოფები. ფიქრი იმაზე, რომ კონკრეტული შედეგის გარეშე თავგანწირვა დაუშვებელია, აბსურდულია: **თავგანწირვა, თვითონ არის უმაღლესი შედეგი!“**



**— პრინციპში, რომ ითქვას, კონტაქტური კარატეს ბანაკების მეშვეობით, ამ ორთაბრძოლის უაღრესად დახვეწილ, მრავალსაუკუნოვან აღზრდის სისტემათა არსებობის გათვალისწინებით, მოზარდ, ახალგაზრდა თაობაში მრავალი პრობლემის დადებითად, სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ გადაწყვეტა შეიძლება...**

**კახაბერ მარკოზაშვილი:** ... არამარტო მოზარდ თაობაში! სამი ათასი წლის წინათ დიდმა ჩინელმა ფილოსოფოსმა ჩუან-ძიმ დაწერა ბრძოლის ხუთი კანონი: 1) სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდე, უნდა გწამდეს ის, რისთვისაც აპირებ ამის გაკეთებას; 2) ისწავლე მოკავშირეთა ამორჩევა და მათთან ერთად გვერდიგვერდ ბრძოლა, ვინაიდან, მარტოკაცს ომის მოგება არ შეუძლია; 3) ჭეშმარიტ მებრძოლს ესმის, რომ ზამთარში წარმოებული ბრძოლა განსხვავდება ზაფხულში წარმოებულისგან. ბრძოლაში ჩასაბმელად ის ამისთვის საუკეთესო მომენტს უნდა იყენებდეს; 4) არ შეიძლება, იბრძოლო მთებში ისე, როგორც ვაკეზე. შეაფასე ყველაფერი გარშემო და ისე აირჩიე ბრძოლის საუკეთესო საშუალება; 5) საუკეთესო მებრძოლი არის ის, ვისაც შეუძლია კონკრეტული ბრძოლის მიმდინარეობის წინასწარი ხედვა და მისი მომზადება.

კარატე გვასწავლის ამ ხუთი კანონის პრაქტიკულ ხორცშესხმას.

ფაქტია, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კონტაქტურ კარატეს. თანაც, სულ ახლახან, 10-11 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართა კიოკუშინ კარატეს მიმართულების მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც სახელმწიფოს, პირადად პუტინის უშუალო მხარდაჭერით, თურმე, აქამდე არნახულად მაღალ დონეზე გამართულა...

**კახაბერ მარკოზაშვილი:** — კარატეს „არაოლიმპიურობის“ მიუხედავად, ამ ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს პუტინი პირადად აკონტროლებდა. შესაბამისად, ამ ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის რწმუნებული ცენტრალურ ფედერალურ ოლქში გ. პოლტავჩენკო, ხოლო თანათავმჯდომარე გახლდათ მოსკოვის მერი ი. ლუჟკოვი. შთამბეჭდავი იყო საპრიზო ფონდიც: ინდივიდუალურ კუმიტეში მარტო პირველ ადგილზე გასულ სამ მებრძოლთაგან თითოეულს გადასცეს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ავტომანქანა SOKIA და 30 ათასი აშშ დოლარი...

სხვათა შორის, საქართველოს 7-კაციანმა ნაკრებმა ამ ჩემპიონატზე პლანეტის 40 ქვეყნის რჩეულ მებრძოლთაგან დაკომპლექტებულ ნაკრებებს შორის ღირსეულად დაიკავა მე-3 ადგილი და წინ გაუშვა მხოლოდ მასპინძელთა, რუს კარატისტთა (24 მებრძოლი) და კარატეს ფუძემდებელ — იაპონელთა (15 მებრძოლი) უძლიერესი გუნდები, თანაც, იაპონელებს ვუცემეთ იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი **ნაცუჰარა ნოზომუ** (ლევან პარწიკანაშვილმა) და 90 კგ-მდე იაპონიის ჩემპიონი **ფუჯიი იუსუკე,** რომელთან ორთაბრძოლისას ფინალური გონგის შემოკვრამდე 20 წამით ადრე, მსაჯებმა, რომ იტყვიან „ჩაიჭირეს“ ჩვენი სპორტსმენის — ლევან თუშიშვილის მიერ საშეჯიბრო წესების უხეში, უმნიშვნელო დარღვევა და ჩვენიანის უდავო უპირატესობის მიუხედავად (მან ორჯერ ტატამიდანაც კი გადააგდო მეტოქე), იაპონელი ამ მიზეზით მაინც „გაათრიეს“ შემდეგ ეტაპზე.

ქართული სპორტის ისტორიაში პირველებს — ქართველ კონტაქტურ კარატისტებს დაგვარქვეს საერთაშორისო ასპარეზზე **„ჯვაროსნები!“** ყოველი შეჯიბრის წინ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ასეთ მესიჯს ვუგზავნით: **„ფრთხილად, ჯვაროსნები მოდიან!“** თუ სახელმწიფო დაგვიდგება მხარში, ჩვენი ხუთჯვრიანი დროშის განსაკუთრებული ზეობის მოწმეს გაგხდით მსოფლიო მასშტაბით!

◎ მინიფეხბურთი

# გივი ნოდიას ხსოვნისა

**საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი) ინიციატივით „ქარიშხალას“ სპორტულ კომპლექსში გაიმართა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის გივი ნოდიას ხსოვნის ტურნირი. შეჯიბრებაში სამინისტროების, დეპარტამენტების, სახელმწიფო საუწყებო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გუნდები მონაწილეობდნენ.**

პაექრობებს ინტერესი და დაძაბულობა იმანაც შემატა, რომ მთავარი პრიზისთვის ვეტერანი ფეხბურთელებიც (გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, ცხადაძე, ჩიქოვანი, კვარაცხელია და სხვები) იბრძოდნენ. სწორედ ისინი გავიდნენ ფინალში, მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთო ასვლა ვერ შეძლეს, რადგან გადამწყვეტ შეხვედრაში კონტროლის პალატის მინიფეხბურთელებთან დამარცხდნენ 0:2 და მეორე ადგილს დასჯერდნენ. მესამე ადგილი იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდულ ნაკრებს ხვდა, რომელმაც თბილისის მერიის ნაკრებს სძლია 3:1.

— ტურნირში მონაწილეობით კარგი გამოცდილება მივიღეთ, — მითხრა იუსტიციის გუნდის უფროსმა **იუგა ჭარბაძემ.** — სასჯელაღსრულების საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით, გაისად საფრანგეთში სისტემის მინიფეხბურთელთა თასი გათამაშდება, სადაც მიწვეული ვართ. ჩვენი მინისტრის ბატონ კოტე კემულარიას, სამინისტროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის ზაურ გოშაძისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის შოთა კოპაძის მხარდაჭერითა და დახმარებით მონდომებით ვემზადებით ამ ტურნირისათვის. გავმართავთ ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა უწყების გუნდებთან, ძალოვანი სტრუქტურების მინიფეხბურთელთა პირველობასაც მოვაწყობთ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ საფრანგეთში თავი ვისახელოთ...

რაც შეეხება „ქარიშხალაში“ გამართულ ტურნირს, გამარჯვებულები და პრიზიორები, ასევე ასპარეზობის საუკეთესო ფეხბურთელები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე:** ლევან ნოდია მთავარი პრიზით აჯილდოებს კონტროლის პალატის გუნდის კაპიტანს.



## პარასკევი, 11 ნოემბერი

**08.00** მხ. ფილმი **"ღამის ბადრაგი"** (U) **09.00** "მთავარი" **10.00** სერიალი **"ანასტასია"** **11.00** დოკ. ფილმი "მეფე სოლომონის ქვის ფირფიტა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"ქალი მუშკეტერი"** **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მულტსერიალი "მუმეზას კოვბოები" **16.00** **ფრენბურთელ ქალთა ტრადიციული ტურნირი.** აღმოსავლეთი-დასავლეთი. **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "ღმერთებისკენ სავალი გზა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი **"ანასტასია"** **22.00** მსოფლიო რაგბი **22.35** მუსიკა – ჯგუფი "ელო" **23.25** მხ. ფილმი **"უცნაური სულები"** (U) **01.00** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"**

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერიალი **"ოცნების კოშკები"** **11.00** სერიალი **"სიცრუის უდაბნო"** **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერ. **"მეამბოხე სული"** **16.50** სერიალი **"ოცნების კოშკები"** **18.30** პატრული **19.00** სერიალი **"მეამბოხე სულები"** **19.50** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი **"როცა თავი ღმერთი გგონია"** (18) (დ. დუხოვნი) **02.20** პატრული **02.40** მხ. ფილმი **"სიყვარული იარაღია"** (18)

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.15** სერ. **"საბრალო ნასტია"** **12.25, 16.15, 17.10, 04.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"ოქროს კერპი"** მე-2ს. **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 04.05** ქრონიკა **15.20** სერიალი **"მოჯადოება"** **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი **"ძაღლი მოჩვენება, სამურაის ცხოვრების გზა"** (12) **02.35** სერიალი **"შეხვედრის ადგილი უცვლელია"** მე-5ს.

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერ. **"ქვეყნის კიდეზე"** **10.30** მხ. ფილმი **"მდიდარი რომ ვიყო"** (U) **12.05** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.35** "ფოკუსის ისტორია" **13.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ინგლისი **14.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი **14.50** სერ. **"დიელი და პასკო"** **15.40** სერიალი **"კარაბინერები"** **16.40** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"** **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერ. **"ქვეყნის კიდეზე"** **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი **"კარაბინერები"** **21.45** "რუსთა ველი" - ვ. დრაგანოვი **22.15** კრიმ. სერიალი "CSI" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფილმი **"გამტაცებელთა კლუბი"** (U) (ელის ევანსი) **00.45** მხ. ფილმი **"მაგარი პოლიციელი"** (18) (სტ. ბოლდუინი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20, 23.00, 01.30** Style-TV **12.45** მხ. ფილმი **"ბეიმერი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ. **"29 პალმა"** (U) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** სათავგადასავლო ფილმი **"მეათე სამეფო"** **12.00** ბოევიკი **"სასიკვდილო იარაღი"** **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი **"მიტოვებული"** **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "ხელხვავი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** ინდური ფილმი **"პატარძალი და ცრურწმენა"** **00.15** კომედია "საყიდლები **გვიან ღამით"**

◎ გამოფენა-გაყიდვა

# ქველმოქმედება – ღვთიური საქმე

**საგამოფენო დარბაზი „ჰობი“ ამჯერად ერთობ ჰუმანური და სასიკეთო ღონისძიების ხორცშესხმის ადგილად მოგვევლინა — გაიხსნა საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდის „SOCO“-სა და საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდ „GIEV“-ის ერთობლივი აქცია — საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, რომელიც უპატრონო ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად ჩატარდა.**

ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია — საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „SOCO“ საქართველოს პირველი ლედის — სანდრა რულოვსის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1997 წლიდან არსებობს. ფონდის საქმიანობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. მისი მიზანია ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა.

ფონდი დასახული მიზნების განსახორციელებლად აქტიურად იღვწის და სპეციალურ პროექტებს ახორციელებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ხელს უწყობს საქართველოში სპეციალური პროგრამების შესრულებას, მართავს საქველმოქმედო ღონისძიებებს.

საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი „GIEV“ დაფუძნდა 2001 წლის 5 ნოემბერს ქართველი და თურქი ბიზნესმენების, „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების კოლექტივისა და მშობლების მიერ.

ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგის განვითარებას, გაუწიოს დახმარება ხელმოკლე ოჯახებს, დაწყებით და საშუალო სკოლებს, ლიცეუმებს, უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, დაუნიშნოს სტიპენდია წარმატებულ და მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტებს, უზრუნველყოს ისინი სამედიცინო მომსახურებითა და საცხოვრებელი ფართით, გაუწიოს დახმარება კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.

გალერეა „ჰობში“ გამართული აქცია „SOCO“-სა და „GIEV“-ის პირველი თანამშრომლობის შედეგი როდია. ორივე ფონდის საქმიანობა ხომ უპოვართათვის დახმარების ხელის გაწვდენისა და სიკეთის თესვისკენაა მიმართული.

გამოფენა „GIEV“-ის პრეზიდენტის — ექრემ შაჰანის მიმართვითა და მოწოდებით გაიხსნა:



„მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ პატივი დაგვდეთ და „SOCO“სა და „GIEV“-ის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე მობრძანდით. ჩვენი ფონდი ცდილობს დაეხმაროს უპატრონო ბავშვებს. დღესაც, ჩვენ ფონდ „SOCO-სთან ერთად მიღებული შემოსავლით გაჭირვებულებს შევეწევით. წარმოდგენილი ნივთები ხელნაკეთია და შესრულებულია ჩვენი დაწესებულებების მოსწავლეთა მშობლებისა და ფონდის წევრების მიერ. იმედია, შეგროვებული თანხით ცოტათი მაინც გავუნათებთ ბავშვებს მომავლის გზას. ეს სულ მცირედია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. მომავალში დაგეგმილია უფრო მასშტაბური და სოლიდური ღონისძიებების ჩატარება. იმედია, აქ მობრძანებული ბიზნესმენები დაგვეხმარებიან და შევძლებთ ეს საქველმოქმედო მოძრაობა უფრო გავაფართოოთ“, — განაცხადა ექრემ შაჰანმა.

სიტყვა გადაეცა საღამოს მეორე ორგანიზატორს, ფონდ „SOCO“-ის დირექტორს სანდრა რულოვსს:

„მადლობელი ვარ ფონდ „GIEV“-ის, რომელიც ამგვარი აქციების გზით შარშან და 2 წლის წინაც დაგვეხმარა. წელს ასეთი ღონისძიების ჩატარება გადავწყვიტეთ. შემოსული თანხის ნაწილს გადავცემთ დამწვრობის ცენტრს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ დავეხმაროთ მის პატარა პაციენტებს. იქ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ 3 კვირით შემოიფარგლება, არადა, ბავშვებს ძვირადღირებული მედიკამენტები და მკურნალობა ესაჭიროებათ“.

პირველმა ლედიმ აგრეთვე მადლიერებით აღნიშნა სარეაბილიტაციო ცენტრ „ბავშვთა გარემოს“ ბავშვების ღვაწლი წარმოდგენილი ნახატების შექმნაში. მან დამსწრე საზოგადოებას გულუხვობის გამოჩენისა და შენაძენით ამ ჰუმანურ ღონისძიებაში საკუთარი წვლილის შეტანისკენ მოუწოდა.

ორგანიზატორების შემდეგ აქციის მნიშვნელობასა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე „GIEV“-ის საპატიო თავმჯდომარემ მესუთ ბოზქირმაც ისაუბრა:

„კაცობრიობა სიკეთის ნიშნით შეიქმნა. რა თქმა უნდა, ადამიანის საწყისი არის სიკეთე და სიყვარული, შემდეგ კი მას მშობლებისაგან გადაეცემა სხვა გრძნობები, როგორიცაა თანაგრძნობა, გულისხმიერება. ადამიანებს შორის სიყვარულის გამომხატველი არის ურთიერთთანადგომა. რამდენადაც უყვარს ადამიანს თავისი მოყვასი, იმდენად ეხმარება იგი მას. ღმერთმა სხვადასხვა ეროვნების ხალხი შექმნა. მათი მოვალეობაა ერთმანეთს დაეხმარონ. სწორედ ამის მაგალითია „GIEV“-ისა და „SOCO“ის დღევანდელი აქცია. გულითადი მადლობა ქალბატონ სანდრას, რომლის გულისხმიერების წყალობით ჩაეყარა საფუძველი დღევანდელ ღონისძიებას“.

ქართველი და თურქი ხალხის ურთიერთდახმარებისა და თანადგომის აუცილებლობაზე, ქველმოქმედებაში პირველი ლედის შეუცვლელ როლსა და ინიციატივაზე საკუთარი აზრი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა — ერთან თეზგორმაც გამოთქვა, რომლის შემდეგაც საღამოს ოფიციალური ნაწილი დასრულებულად, ხოლო გამოფენა-გაყიდვა გახსნილად გამოცხადდა.

ორ დარბაზში წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ნიმუშები, სუვენირები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები და ტკბილეულობა.

გამოფენილი ნივთების დასათვალიერებლად ბიზნესმენსა და ოფიციალურ პირებთან ერთად საქართველოში რუსეთის, ინგლისის, ისრაელის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების ელჩების მეუღლეებიც შეიკრიბნენ. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედა ქალბატონი გიული ალასანია.

გამოფენა-გაყიდვა 3 დღეს გასტანს, ხოლო როგორც ჩვენთან საუბარში ფონდ „GIEV-ის პრეს-მრჩეველმა და ჟურნალ „ახალი ხიდისა“ და „მეგობრობის“ რედაქტორმა ექრემ დინდაროლმა აღნიშნა, ამგვარი აქციების ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა და მას გაგრძელება უსათუოდ მოჰყვება.

**ნინო ბერძნიშვილი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თამარ სირბილაძე: სამაგიეროდ დანაშაულობათა რიცხვი შემცირდება...

## საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო გამოთქვამს წინადადებას მარიხუანის ლეგალიზაციის შესახებ

**ალბერტ ერემიანი, „გაზეტა“ (რუსეთი), 10 ნოემბერი.**

**ნარკომანიის პრობლემა საქართველოში სულ უფრო შემაძრწუნებელ მასშტაბს იღებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით, რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობა 4 მილიონია, რეგისტრირებულია ნარკომანიით დაავადებული დაახლოებით 200 ათასი კაცი, ნარკოტიკების მუდმივი მომხმარებელი კი ქვეყნის ყოველი მერვე მცხოვრებია. თანაც, მათ განეკუთვნებიან ყველა თაობის ადამიანები — მოზარდებით დაწყებული და 50-60 წლის მოქალაქეებით დასრულებული. ამ მომაკვდინებელი პრეპარატების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცავმა ორგანოებმა ჩააბეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, გახსნეს „ცხელი ხაზი“ და დანიშნეს პრემია ათასი ლარის ოდენობით მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის, თუმცა, ვითარების გამოსწორება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.**

შეიგნო რა, რომ პრობლემის გადაჭრის ტრადიციული მეთოდები წარმატებას ვერ მოიტანს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულმა ნარკოპოლიტიკის შემმუშავებელმა სახელმწიფო საბჭომ გამოიტანა დასკვნა, რომ შესაძლებელია რესპუბლიკაში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაცია. „ათასობით ნარკოტიკებზე დამოკიდებულ მოქალაქეს არ სურს მკურნალობის კურსის გავლა და ისინი მიმართავენ უკიდურეს ზომებს, თვით დანაშაულსაც კი სჩადიან, ოღონდ კი სადმე იშოვონ ნარკოტიკული პრეპარატები. დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს ასეთ დანაშაულობათა რიცხვის შემცირებას“, — განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ სირბილაძემ.

„იქნებ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში კეთილი სურვილები ამოძრავებთ, მაგრამ პირადად მე ვერ წარმომიდგენია, რომ საქართველოში მივიღოთ ისეთი კანონი, რომელიც მოახდენს ნარკომანიის ლეგალიზაციას“, — აღნიშნა თავის მხრივ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. იგი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში ამ კანონპროექტის წარდგენის შემთხვევაში, მას დეპუტატები არ მიიღებენ.

მარიხუანის ლეგალიზაციის პერსპექტივა არც ნარკოლოგიური დისპანსერების წარმომადგენლებმა მოიწონეს. ექიმ-ნარკოლოგთა აზრით, ასეთი კანონის მიღებას უთუოდ შეეწინააღმდეგება მოსახლეობაც, განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანები.

შეგახსენებთ, რომ მარიხუანის გაყიდვა შუა 1990-იანი წლებიდან ლეგალიზებულია ჰოლანდიაში, კანადაში კი, 2003 წლიდან ამ ნარკოტიკის შეძენა შესაძლებელია მაღაზიებში, ოღონდ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით.

**განცხადება**

**შპს.** „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ და „Boskalis International bv“-ი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სამშენებლო და სატრანსპორტო გადაზიდვების კომპანიებს, შემდგომში ფოთის საზღვაო ნავსადგურის დამცავი მოლოს რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ შემდეგი სამუშაოების ჩასატარებლად:

1. დახარისხებული ქვების კურსებიდან ფოთის დასასაწყობებელ ტერიტორიამდე ჩამოტანა.
2. სატრანსპორტო გზისა და დასასაწყობებელი ტერიტორიის მშენებლობა.
3. სასაქონლო ბეტონის მოწოდება ბრიტანული სტანდარტების BS 5328 მიხედვით.

საინფორმაციო შეხვედრა შედგება 2005 წლის 16 ნოემბერს 4 საათზე, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ოფისში.

დამატებითი კითხვებისათვის მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონებზე: 7-01-09, 7-01-35.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი ანდრეი კირილენკო და ენგურჰესის მშენებლობის უფროსი, ცნობილი ჰიდროტექნიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი მიხეილ ცისკარიშვილი (დღეს მისი დაბადების დღეა). ენგურჰესი, 1982 წელი.

მოგვაწოდა ოთარ ჭითანავამ.

## ცოტაც გავიცინოთ...

**თვითმფრინავის** სალონში სხედან პარაშუტისტები, რომლებიც პირველად უნდა გადმოხტნენ. თან ორი ინსტრუქტორიც ახლავთ.

— აბა, რას შვრებიან ჩვენი ლომები, ნერვიულობენ? — ეკითხება უფრო გამოცდილი ინსტრუქტორი მეორეს მას შემდეგ, რაც თვითმფრინავმა პარაშუტისტთა გადმოსახტომ სიმაღლეს მიაღწია.

— რა ვიცი, მათ სახეებს ცვლილება არ ეტყობა.

— პაერს?!



* * *

— **ნაკლებს** უნდა დალიოთ, — ეუბნება ექიმი მიხოს. — სისხლი, რომელიც ანალიზისთვის აგიღეთ, უცებ აორთქლდა.

* * *

**ვირტუალური** ნაცნობობა ორ პერიოდად იყოფა: პირველ ფოტოგრაფიამდე და შემდეგ.

* * *

**კომუნისტების** დროა. ცოლი ქმარს პარტკომში უჩივის, — თავის მამაკაცურ მოვალეობას არ ასრულებსო.

პარტკომის მდივანი ქმრისგან განმარტებას ითხოვს.

— უწინარესად, უნდა გითხრათ, რომ იმპოტენტი ვარ, — თავს იმართლებს ქმარი.

— უწინარესად, თქვენ კომუნისტი ხართ! — მკაცრი და შეუვალია პარტკომის მდივანი.

* * *

— **ამხანაგო** ლეიტენანტო, სადილი მხოლოდ ნახევარი ასეულისთვის გვეყოფა!

— გასაგებია! ესე იგი, შეტევის შემდეგ ვისადილებთ!

## ყურადღება!

### ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

**ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის** (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2005 წლის მე-5 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას. ამ ნომრებში გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების ნინო ჩიქოვანისა და ვლადიმერ ღლონტის სტატიები.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ აგრეთვე კვალიფიციურ ავტორებს.

მომავალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერით გავრცელდება.

ტელ: 899 53 76 16.




## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## ლარის კურსი

### 10 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1269 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7950 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1111 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0623 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3906 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3942 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5658 ლარი. |

## სადაც ჩვენ არა ვართ

# დამნაშავეა... ლიმონათი?!

**მინდა, მოგითხროთ ამბავი, რომელიც ჩემს უახლოეს ნათესავებსა და ახლობლებს გადახდათ თავს:**

**იმერეთში, ზესტაფონის რაიონში, არის საოცრად ლამაზი ადგილი. სანახშირე — ასე ეძახიან აქაურები პატარა დასახლებას, სადაც ისინი ცხოვრობენ, — სხვათა შორის, საკმაოდ მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრებით.**

ერთი წლის წინათ სოფელში ხანდაზმული კაცი გარდაიცვალა. მოგეხსენებათ ქართული წეს-ჩვეულებები, და ზუსტად ერთი წლის შემდეგ ოჯახში სუფრა გაიშალა. წლისთავის პურ-მარილზე მთელი სოფელი მიიწვიეს. ამას დაერთო მრავალრიცხოვანი ნათესაობა და საკმაო რაოდენობის ხალხმა მოიყარა თავი.

ბუდუ ბაბუამ (ასე ეძახდნენ გარდაცვლილ მოხუცს) კინაღამ მთელი სანათესაო გაიყოლა იმქვეყნად: საქმე ის არის, რომ ყველა, ვინც სუფრასთან იჯდა, მოიწამლა!

იმსჯელეს, იკამათეს და დაადგინეს, რომ დამნაშავე არც მეტი, არც ნაკლები — ლიმონათი იყო! ეს ლიმონათი კი შეიძინეს ქ. ზესტაფონში, სადაც ლიმონათის საამქროების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიან.

— იმ დღეს ისედაც შეუძლოდ ვიყავი, ერთი ჭიქა ლიმონათი დავლიე თუ არა, დამეწყო საშინელი პირღებინება, თავბრუ მეხვეოდა და ფეხზე ძლივს ვიდექი, მეგონა, ვკვდებოდი, — ჰყვებოდა ერთ-ერთი „დაზარალებული“ (სხვათა შორის, ის ჩემი ლვიძლი დეიდაა — გულნაზი მალლაკელიძე), რამდენიმე დღის მანძილზე ავად ვიყავი, მაციებდა და კუჭის ტკივილი მკლავდა...

მოკლედ, თითქმის ყველა, ვინც ამ წლისთავს დაესწრო, ავად გახდა, და ყველა ერთსა და იმავეს უჩიოდა. ერთ ქალბატონს კი გადასხმებიც დასჭირდა.

წარმოიდგინეთ ტრადიციული ქართული სოფელი, სადაც მეზობლები ერთმანეთს ხვდებიან, „გამარჯობა“ ავიწყდებათ და დაახლოებით ამგვარ დიალოგს მართავენ:

— გულიკო, რავა ხარ, შე ქალო, გამოკეთდი, თუ ისევ კუჭი გაქვს აშლილი?

— ისე მეისპოს იმ ლიმონათის გამომშვები, რავარც მე ვარ ამ დღეებში, იმას არ ელირსოს მეორედ ლიმონათის დალევა და საჭმლის ჭამა!

საბედნიეროდ, ეს ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, და ახლა იქაურები ბევრს ხუმრობენ და იცინიან იმაზე, რაც მოხდა.

ალბათ, მეც არ გავაზვიადებდი ამ ამბავს, მსგავსი შემთხვევები ყოველ ნაბიჯზე რომ არ ხდებოდეს!

მაინც, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!

ნუთუ არ შეიძლება, რომ კერძო „საზოგადოებრივი კვების“ ობიექტებმა ელემენტარული სანიტარიული ნორმები მაინც დაიცვან?

თუ მაინცდამაინც ვინმეს სიკვდილს ელოდებიან?!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

## კონტაქტები

# ნაირ-ნაირები, ჭიქა-საინები

### საქართველოს მე-2 საერთაშორისო კვების მრეწველობის გამოფენა

**გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს მე-2 საერთაშორისო კვების მრეწველობის გამოფენამ — INTERFOOD GEORGIA-2005. გამოფენა 12 ნოემბრამდე გასტანს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“. ეს გამოფენა საბრენდო გამოფენათა მსოფლიო ქსელში შედის. ორგანიზატორები არიან — დთს-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოფენების და კონფერენციების წამყვანი ორგანიზატორი, ბრიტანული საგამოფენო კომპანია ITE GROUP PLC და მისი ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში ITECA KAVKASIA LTD. ეს ორგანიზაცია საქართველოში 6 სპეციალიზებული გამოფენისა და კონფერენციის მონაწილეა, გამოფენა ტარდება საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს მემამულეთა კავშირისა და „სამტრესტის“ ოფიციალური მხარდაჭერით.**

გამოფენაში მონაწილეობას იღებს 10 ქვეყნის 20 წამყვანი კომპანია, რომლებიც წარადგენენ საკუთარ პროდუქციასა და მომსახურებას შემდეგ სექტორებში: კვების პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, ინგრედიენტები და საკვები დანამატები, გადამმუშავებელი მოწყობილობები, შეფუთვა და შესაფუთი მოწყობილობები, სამაცივრო და სავაჭრო, რესტორნების და ბარების მოწყობილობები. გამოფენის მონაწილეთა შორის არიან როგორც ერთობლივი, ისე ცალკეული ქვეყნების კომპანიები.

ბოლო წელიწადნახევარში საქართველოს კვების მრეწველობის საერთო მოცულობამ 222,9 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 30,9 პროცენტით აღემატება 2003 წლის მაჩვენებელს. ამასთანავე, ყველაზე დიდი პროგრესი შეიმჩნევა ხორცის გადამმუშავებელ მრეწველობაში — 104,1 პროცენტი, ლუდის ინდუსტრიაში — 96,1 პროცენტი, ხორბლის გადამუშავებში — 84,3, თამბაქოს მრეწველობაში — 77,4 პროცენტი. 2004 წელს ამ სფეროს უმსხვილესი კომპანიების პროდუქცია 2003 წელთან შედარებით 23,5 პროცენტით გაიზარდა. 2004 წელს ღვინის ექსპორტი 11,5 პროცენტით გაიზარდა, კონიაკისა კი — 63-ით. 65-მა ქართულმა საწარმომ განახორციელა ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი 22 ქვეყანაში.

სამი დღის განმავლობაში INTERFOOD GEORGIA-2005-ს, სავარაუდოდ, 5000 პროფესიონალი სტუმარი ეწვევა. გამოფენაზე დასწრებით მათ საშუალება მიეცემათ, გაეცნონ კვების მრეწველობის უკანასკნელ ტექნოლოგიებსა და წარმოების მეთოდებს, გააბან საქმიანი კავშირები როგორც ამ ინდუსტრიის საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ წარმომადგენლებთან.




ITE GROUP PLC წლიურად 200 საერთაშორისო გამოფენისა და კონფერენციის წამყვანი ორგანიზატორია განვითარებადი ბაზრის მქონე 20 ქვეყანაში, ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ნავთობი და გაზი, მშენებლობა და ინტერიერი, მოგზაურობა და ტურიზმი, ტრანსპორტი, კვების მრეწველობა, პოლიგრაფია, რეკლამა და შეფუთვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციები, დაცვა, სპორტი და დასვენება, ტანსაცმელი და მოდა, ჯანდაცვა და მრავალი სხვა.

გამოფენა გახსნა და სტუმრებს მიესალმა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე — **გიორგი მახარაშვილი.** — გამოფენა მეტად მნიშვნელოვანია სწორედ საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის, — თქვა მან, — ამ დარგში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, გამოცდილების გაცვლა თან სდევს ხოლმე საერთაშორისო გამოფენებს, დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას აგრარულ სექტორში.

სტუმარ კომპანიებს შორის შევხვდი ჰოლანდიიდან ჩამოსულ მეწარმეს **გიორგი ბურჯანაძეს.** იგი ჰოლანდია-საქართველოს ერთობლივი კომპანიის დირექტორია. 15-16 წელია, ჰოლანდიაში ცხოვრობს. ჰყავს ორი შვილი. თბილისში ცხოვრობენ მამა და ძმა. აი, რა მითხრა მან: — ადრე სხვა სფეროში ვმუშაობდი, ამჟამად ბიზნესით ვარ დაკავებული. ჩვენი ფირმის პროდუქცია — კვების პროდუქტები და უალკოჰოლო სასმელები ძირითადად ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში გააქვთ. ახლა ვცდილობთ, ყოფილი დსთ-ის ქვეყნებშიც შევიდეთ. ადრე იშვიათად ჩამოვდიოდი აქ. ახლა უკვე თვეში ერთხელ მიწევს ჩამოსვლა, ყოველთვის სიახლეები მხვდება და ეს მე ძალიან მახარებს.

კასპელმა მეწარმემ **თამაზ ნიპაიშვილმა** მოიწონა გამოფენის ხელმძღვანელთა და ხელშემწყობთა ორგანიზატორული საქმიანობა, თქვა, რომ ადრე კვების მრეწველობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ახლა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. იგი, როგორც მეწარმე, წარმატებით თანამშრომლობს USAID-ის მიერ ორგანიზებულ აშშ კომპანიასთან, რომლის დირექტორიც ბატონი რიჩარდ ჰურელბრიკია. კომპანია დაეხმარა მას საკუთარი ვებ-გვერდის მომზადებასა და პროდუქციის გასაღებაში.

გამოფენა როგორც მეწარმეების, ისე ბიზნესით დაინტერესებული ადამიანების დიდ ინტერესს გამოიწვევს.

**ნაზი იმნაიშვილი**

## ყაჩაღობა

# ნაქურდალის გაყოფისას თანამზრახველი მოკლეს

**ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე, სასაუზმე „ფაცხაში“ ნიღბიანი პირები ყაჩაღურად შეიჭრნენ. ისინი თავს დაესხნენ ამ სასაუზმის მფლობელს ნარგიზა ბაბაიანს, რომელსაც მობილური ტელეფონი და ბინის გასაღები გასტაცეს. წინააღმდეგობის გაწევისას ბაბაიანი ყელის არეში დანით დაჭრეს, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.**

ბოროტმოქმედები გატაცებული გასაღებით ბაბაიანის ბინაში შევიდნენ, სადაც სტუმრად მყოფი ცოლ-ქმარი ანდრონიკ და კარინა ოგანეზოვები დახვდათ. ქურდებმა ისინი ეგრეთ წოდებული „სკოჩით“ გაკოჭეს, შემდეგ კი ძვირფასეულობა შეაგროვეს და სტუმრების მობილურ ტელეფონებთან ერთად წაიღეს.

„ცხელ ხაზზე“ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად თბილისის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამართველოსა და ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, აეროდრომის დასახლებაში, გეოდეზიის ყოფილ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები გრიგოლ იაკოველი. სწორედ მის ბინაში ინახებოდა ბაბაიანის ბინიდან გატაცებული ძვირფასეულობა. ასევე პოლიციამ მისი ბინიდან ამოიღო მარიხუანა და პისტოლეტ „მაკაროვის“ ოთხი ვაზნა.

დადგინდა, რომ ბაბაიანის თავდასხმისას და ბინის ქურდობისას იაკოველთან ერთად იმყოფებოდნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრები ჯანი ნარმანია და თბილისელი ძმები — გიორგი და ლევან ჩორგოლაშვილები.

ბაბაიანის მკვლელობისა და მისი ბინის გაქურდვის შემდეგ დაჯგუფების წევრები ნადავლის გაყოფისა და „ოპერაციის“ ცალკეული დეტალების განხილვის მიზნით ჩორგოლაშვილების ბინაში შეიკრიბნენ. ნივთების გაყოფაზე მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რა დროსაც ერთ-ერთმა წევრმა ჯანი ნარმანია დაჭრა იმ „მაკაროვის“ პისტოლეტით, რომლის ტყვიები პოლიციამ იაკოველის ბინიდან ამოიღო. ბოლოს, დაჭრილი თავის არეში საკონტროლო გასროლით მოკლეს და კვალის დაფარვის მიზნით იქვე, მე-10 ქუჩაზე გადაათრიეს.

ნარმანიას გვამის დათვალიერებისას პოლიციამ მისი შარვლის ჯიბიდან ბაბაიანის ბინიდან გატაცებული ძვირფასეულობის ნაწილი ამოიღო. გიორგი და ლევან ჩორგოლაშვილები კი პოლიციას ამ დრომდე ემალებიან, მიმდინარეობს მათი და ასევე, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების ძებნა.

**ლელა მანავლიშვილი**

## საეკლესიო კალენდარი

# ღირსი სერაპიონ ზარზმელი



**11 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია ღირს სერაპიონ ზარზმელს იხსენიებს. ნეტარი და ყოვლადქებული წმინდა სერაპიონ ზარზმელი, სიმდიდრითა და ქველმოქმედებით ცნობილი, კლარჯელი აზნაურის შვილი იყო. მშობლები მორწმუნეები იყვნენ. მას ორი ძმა ჰყავდა.**

სერაპიონს სიყრმიდანვე ჰქონდა მეუდაბნოეობის სურვილი. მღვდლად კურთხევის შემდეგ, სერაპიონი თავის ძმებთან ერთად სამცხეში წავიდა მონასტრების ასაშენებლად...

ამ მხარის მთავარი იყო კეთილმსახური ფეოდალი გიორგი ჩორჩანელი. ერთხელ ნადირობისას, გიორგი ჩორჩანელმა ნახა უსიერი ტყის თავზე აღმართული კვამლი, გაუკვირდა და მაცნე გაგზავნა ამბის გასაგებად: მას აუწყეს ორი საკვირველი ბერის შესახებ. გიორგი დიდი პატივით გაეშურა მამებისაკენ, მდაბლად მოიკითხა, თაყვანი სცა ფერისცვალების წმინდა ხატს და კურთხევა ითხოვა ბერებისაგან... გიორგი ჩორჩანელის დახმარებით წმინდა სერაპიონ ზარზმელმა ააშენა ეკლესია...

ზარზმის მონასტრის ძმათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. როცა ამ ქვეყნიდან მისი წასვლის ჟამი მოახლოვდა, იხმო ძმათა კრებული, დამოძღვრა ისინი და წინამძღვრად მღვდელმონაზონი გიორგი დაუდგინა.

წმინდა სერაპიონ ზარზმელი საკურთხეველში, ზიარების შემდეგ გარდაიცვალა. ის დიდი პატივით დაკრძალეს საკურთხევლის აღმოსავლეთით.

რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, წმინდანის ძმისწულმა ბასილ ზარზმელმა, ღირსი სერაპიონის წმინდა ნაწილები, ღვთის ბრძანებით, ახალგაკეთებულ ქვის ლარნაკში ჩაასვენა და „გადაასვენა საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისასა“...

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**



მეუღლე ხათუნა, შვილები ბაჩო და ბექა, დედა მზია მაისურაძე, და ლიანა, მანანა, მამიდა ციცო რამიშვილი, სიძე გელა როსტიაშვილი, სიდედრი ანა, დისწულები გიორგი, რატი, ცოლისძმა გოდერძი აკოფაშვილი ოჯახით, მამიდაშვილები მაია, თამრიკო, ბიძა ირაკლი მირიანაშვილი, დეიდაშვილები იუწყებიან

შოთა ჯემალის ძე რამიშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 13, 14 XI, 16 სთ-ზე. დაკრძალვა 15 XI, 14 სთ-ზე. მისამართი: გიორგი სააკაძის ქ. №26 (ნაძალადევი).

---

მეუღლე ეთერ ახვლედიანი, შვილები ავთანდილ, ელგუჯა, დარეჯან, გულიკო სილაგაძეები, რძლები თამარ ათანელიშვილი, ნინო იარალიშვილი, სიძეები ნოდარ ჭელიძე, ვახტანგ წიკლაური, შვილიშვილები ნოდარ, ლევან, სალომე სილაგაძეები, გვანცა, ნინი ჭელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ სერგოს ძე სილაგაძე

პანაშვიდი 13, 14 XI, 16 სთ. ატენის ქ. 6/8, გამოსვენება 15 XI, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ილია ჩაჩანიძეს მამის

გივი ჩაჩანიძის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ციალა, შვილები ლამზირა, მერაბი, ლევანი, ძმა ხუტა, და ლიანა შვილებით, შვილიშვილებით იუწყებიან

გორდე ტარასის ძე მესხიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 13, 14 XI, 17 სთ. დაკრძალვა 15 XI, 15 სთ-ზე. მისამართი: წალენჯიხა, სტალინის 12.

---

მეუღლე ლალი ჭანტურიშვილი, შვილები ნესტან, მანანა, სიძეები გიორგი ვარძელაშვილი, თორნიკე ახვლედიანი, შვილიშვილები თეონა, ლიზი, სანდრო, ომარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ დავითის ძე რატიანი

დაკრძალვა 12 XI, 14 სთ-ზე. მის. ყაზბეგის ქ. №19 (ფილარმონიის პირდაპირ), V სადარბაზო, II სართ.

---

შვილები ავთანდილ, ვანო, შვილიშვილები ირაკლი, ვახტანგ, თამარ, შოთა, თეონა, გეგა იზორიები, რძლები ციალა პაპაშვილი, მედეა მუჯირი, რუსუდან კვაჭაძე, ძმისწულები მანანა, ირინე, შოთა გვასალიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა კონსტანტინეს ასული გვასალია-იზორია

პანაშვიდი 10, 11 XI, 16 სთ. დაკრძალვა 12 XI, 14 სთ. მუხიანი I მ/რნი, ნონეშვილის გამზ. V კორპუსი, IV სადარბაზო.

## დღის კალენდარი 11 ნოემბრისთვის

მზე: ამოდის 06.45, ჩადის 16.43
მთვარე: ამოდის 11.28, ჩადის 01.07

**წლის 315-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 50 დღე.**

### დაიბადნენ:

**1524 — პიერ დე რონსარი,** ფრანგი პოეტი.
**1729 — ლუი ანტუან დე ბუჰენვილი,** პირველი ფრანგი მეზღვაური, რომელმაც მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.
**1821 — ფიოდორ დოსტოევსკი,** რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1881 წელს.
**1898 — რენე კლერი,** ფრანგი კინორეჟისორი, გარდაიცვალა 1962 წელს.
**1899 — ალფრედ ჰიჩკოკი,** ამერიკელი კინორეჟისორი, პროდიუსერი.
**1928 — კარლოს ფუენტესი,** მექსიკელი მწერალი.
**1939 — ბესიკ ხარანაული,** პოეტი.

### გარდაიცვალნენ:

**565 — იუსტინიანე I,** ბიზანტიის იმპერატორი.
**1884 — ალფრედ ედმუნდ ბრემი,** გერმანელი მეცნიერი, „ცხოველთა ცხოვრების“ ექვსტომეულის ავტორი.
**1946 — ნიკოლაი ბურდენკო,** ცნობილი რუსი ქირურგი.
**1983 — არნო ბაბაჯანიანი,** კომპოზიტორი.
**1986 — ვიაჩესლავ მოლოტოვი,** საბჭოთა ეპოქის პარტიული მოღვაწე.
**1996 — ვანგა,** ბულგარელი წინასწარმეტყველი ქალი.

### მოვლენები:

**1790 წელი** — ინგლისში ჩინეთიდან პირველად ჩაიტანეს ქრიზანთემები.
**1905 წელი** — დაიწყო სევასტოპოლის გარნიზონის მეზღვაურთა აჯანყება ლეიტენანტ შმიდტის ხელმძღვანელობით.
**1919 წელი** — დიდ ბრიტანეთში პირველად შესრულდა ორწუთიანი დუმილის რიტუალი ომში დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ.
**1925 წელი** — ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ლუი არმსტრონგმა თავისი პირველი ფირფიტა ჩაწერა.
**1942 წელი** — მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დაიპყრეს სამხრეთ საფრანგეთი.
**1965 წელი** — როდეზიის (თანამედროვე ზიმბაბვეს) პრემიერ-მინისტრმა იენ სმიტმა ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა.
**1975 წელი** — პორტუგალიამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ანგოლას.
**1987 წელი** — ვან გოგის ნახატი „ზამბახები“ რეკორდულ ფასად — 53.6 მილიონ დოლარად გაიყიდა.
**1997 წელი** — საქართველოში მიიღეს კანონი „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**მეცნიერებისა და მშვიდობის საერთაშორისო კვირეული.**
**პოლონეთი — დამოუკიდებლობის დღე.**
**აშშ — ვეტერანების დღე.**
**ფინეთი — მამების დღე.**
**კანადა — მიცვალებულთა ხსოვნის დღე.**

მედიანიუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.